

ია მერაბიშვილი - პოეზია

ლიკა ჭელიძე
დავით ხარატიშვილი } პროზა

თამარ გულიტაშვილი -
დათია ბადალაშვილის
მოთხრობაზე

ამირან გომართელი -
გალატეონის ერთი ლექსის
საიდუმლო

კონსტანტინე ზ. გამსახურდია -
„დიდოსტატის მარჯვენის“
შესახებ

ჰარუჯი მურაქამი -
„ბითლზთან“ ერთად

ნაცვლი წახსურია

საქატი
1852
N3 2024



ცისკარი

№3//2024

ლიტერატურული – საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომარტელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ჟურნალი გამოსდის
საქართველოს
კულტურისა და სპორტის
სამინისტროს სელშეწყობით



საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
AND SPORT OF GEORGIA

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

სარჩევი

პოეზია		ჰაითხულობთ ჟღასიას	
ნატალი დარასელია	3	ამირან გომართელი	51
ია მერაბიშვილი	10	„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“	
პროზა		კონსტანტინე ზ. გამსახურდია	55
ლიკა ქელიძე	14	„დიდოსტატის მარჯვენის“ გაგებისათვის – ნიცმეანური და თეოლოგიური რეცეფციები	
<i>მინიატურები</i>			
დავით ხარატიშვილი	19		
გაუჩინარებული ზღვის მოლოდინში			
საყმაწვილო ლიტერატურა		ახალი თარგმანი	
აკაკი დაუშვილი	26	ჰარუკი მურაკამი	65
წვიმის წვეთი პაკი		„ბითლბთან“ ერთად ინგლისურიდან თარგმნა <i>ნინო თოხაძემ</i>	
ლიტერატურული ფასტივალი „ჩაჩი“ – 2024	35		
ხრიტიან-ასეისტიან		რეპორტაჟი ჯორჯის იქითა საქართველოდან	
თამარ გელიტაშვილი	42	თამარ გელიტაშვილი	81
დათია ბადალაშვილის „ევა, იანვარა და იასამანი“		კლარჯეთული ვოიაჟი	

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

ნატალი დარასელია



●
 ამოდი, თევზო!
 ამომხედე!
 ამ მტკვრის ფსკერიდან
 ამომიტანე რამე ამბავი!
 არ მომერიდო!
 გამომხედე
 როგორც მეზობელს,
 რომელიც შენთან მოსულია თავი ხახვისთვის!
 შენი ფარფლები სადედოფლო პენუარივით
 მომაცვი ტანზე, მომაზომე!
 ამოდი, თევზო!
 წყლის ზედაპირს
 ვურტყამ ლავინებს,
 ქართლს თუ ჰყავს დედა
 ჩემი დედა შორს რატომ არის?
 შენთან მოსული
 გადამმალე და დამივინყე –
 ყოფა უმტკვარო.
 ლურჯ ტალღებს
 ისე შეეთვისა
 მთვარის ლიცლიცი,
 ირგვლივ ხმებია.
 ყინვებია
 და ქარებია.
 მიდი-მოდიან მეგობრები
 გამტყდარი ფიცით
 და მერე სხვათა ჩრდილებს ისე ეფარებიან
 რომ ვრჩები მარტო,
 მტკვრის სიღრმისკენ გადასროლილი
 რგოლებისა და ანკესების
 უცხო მდევარი.
 მე გკითხავ თევზო :
 – შენ ისა ხარ, ფსკერის მეუფე?!

შენ წარბს შემისრი
 და ამრეზით მეტყვი: მე ვარო.
 ამოდი, თევზო!
 ამომხედე!
 მტკვრის სხვა თევზებთან
 ერთად შეკარი ჩემი ჩარჩო,
 წყვილი ლაყუჩი,
 მითხარი, წყალი რატომ მიხმობს,
 რატომ მაქეზებს?
 რატომ მთავაზობს
 ერთ გასროლას და უმაყუჩო
 იარაღივით, ჩიტის ნისკარტს
 რატომ მიმიზნებს?
 ვირწევი.
 ცხვირზე მილიტინებს
 სუნი ქვირითის,
 თითქოსდა, ცდილობს რომ თევზივით ღრმად ჩამაყვინთოს
 და მერე მალლა ამომიშვას წამოყვითლებულ
 სოფლის ქალივით,
 ვინმეს ქვრივივით...
 ამოდი, თევზო, კონა შვების
 სათხოვნად მოსულს
 ნუ გამაბრუნებ განბილებულს,
 შენი ფარფლები
 მომაცვი როგორც სადედოფლო კაბა, ავსული
 ვდგავარ მტკვრის პირას, მთვარის შუქზე ყვითლად ვპარპალებ...

●

უძონო მკერდო!
 მაჯავ, უქარვო!
 მიაბზე, ქარო,
 რას გაუმარჯოს?
 ხმას უნოტებოს,
 დღეებს მშფოთვარეს,
 ულალო კისერს,
 მაჯას უმარჯნოს!
 მიაბზე, ქარო,
 დედის მარჯვენის
 რა ჯანი გხიბლავს,
 რა სიბობოქრე?
 ამ გამხდარ მკლავებს
 როგორც მარჯანი
 რად ადევს თივის
 ხმელი თილისმა?
 ამ ქალს ცხოვრება
 რატომ აჯავრებს
 უსიზმრობაში
 მკვდარი შვილის ხმით?
 მაშ, ქარო,
 ახლა რას გაუმარჯოს?

მაჯას გალეულს,
 დღეებს გაურჯელს,
 ცხოვრებას,
 როგორც ჩიტის გალიას
 შედუღებულ კარს რომ
 გაუგლეჯს!
 უმარგალიტო ყელს,
 არანატიფს!
 შუბლს გაუმარჯოს,
 ტყვია დასახლელს!
 ცრემლს, შეგროვებულ
 უანდამატეს
 შვებას,
 ცხრა მთას რომ გადაგასახლებს!
 ზურგს!
 ბლაგვი ხანჯლით
 ასჯერ აკაფულს!
 თვალს მოტყუებულს,
 და ყურს დაგმანულს!
 მაშ, გაუმარჯოს
 იმ ცივ ნაკადულს,
 მასთან რომ
 შველი ჩაიგომანებს!
 წყლისთვის მოყოლილ
 სიზმრებს,
 არაკებს!
 ქარის გასაძლოლ
 მძიმე დანაკარგს,
 როცა კარს უკან
 ალაპარაკებ
 მტერს და მოხვედება სიტყვა, დანა – კარს!
 მაშ, გაუმარჯოს,
 ცრემლით მორეცხილ
 ყელს,
 სისხლში ჩამბალ გულს – გლიცინიას!
 როდესაც სხვათა დაღატკ მოვერცხლი,
 ის სხვები დგანან და გიცინიან
 ...
 ზურგს!
 თვალებს!
 მაჯას!
 ნაჭრილ მარჯვენას!
 გა უ მარ ჯოს!

ნუ იჩითხავ!

თუ ხედავ ბავშვებს,
 წვრილი ქვებით მუჭა გავსებულს,
 ფეხზე რეზინის ბოტებით და დიდი სვიტერით,
 ლოყალაჟღაჟა გოგონებს და ბიჭებს ჯოხებზე

მობმული ბორბლით,
 ნუ იკითხავ, თუ ვინ არიან!
 ნუ განსჯი, ძალის დანახვაზე თუ დაუსტვენენ
 და თუ ყიჟინით, ერთიანად მდინარისაკენ
 იზამენ პირს და ზურგს გაქცევენ.
 თუ ხედავ ბავშვებს ჭყინტი ყველით და მჭადით ხელში,
 ხახვის ბოლქვებით,
 თუ თითებს ხახვის არომატულ სუნთქვით ორთქლავენ,
 ნუ დასვამთ კითხვას, რად ტირიან, რატომ მოთქვამენ.
 ნუ დასვამ კითხვას, რატომ დგანან ეზოს კუთხეში,
 გამხდარ მკლავებზე რატომ სცხიათ ტონა ტალახი
 ან ერთმანეთზე, როგორც ხვალი კვიცის გავაზე
 რატომ იშენენ მტვრიან ხელისგულს,
 რატომ ივსებენ თბილ უბეებს მწვანე ბალახით
 და მშობლის ხმაზე მყისიერად რად იმტვრევიან.
 ამ საღმრთო ბავშვებს, ვილაც დიდთა მუცელში მყოფებს,
 როცა ხმამაღლა დაიწყებენ მშიერ ოდათა
 მღერას, ამ ბავშვებს მიწისა და ცისთვის გაყოფილთ,
 ვინც სისასტიკის ხელმა მონათლა,
 ვისაც შიოდა, ამცივნებდა და ეს ცხოვრება
 ყოველ ნაბიჯზე წინ წასულებს უკან ისროდა –
 ნუ ჰკითხავ, რადგან უეჭველად ემახსოვრება
 ბავშვური ღიმი – უპატრონო მარადისობა.

●
 ჩემოდანი!
 ჩაიდნიდან
 ბოლო ჭიქა ქართულ ჩაის,
 შავი ჩაის მაგარ ნაყენს,
 ვდგამ სიზმრების თეთრ ლამბაქზე.
 იყო ხანი, ეს სიზმარი
 ჩემს თვალებთან ჩაივლიდა,
 მაგრამ ახლა ნაყინივით
 დნება, დღეებს მიაქვს სადღაც
 და მე ლამეს სიამაყით
 ვინწვენ მკერდზე და ძილს ვინწერ
 წიგნებიდან, ზღაპრებიდან,
 ლექსებიდან, ფოლკლორიდან.
 აქ სამია. იქ – შვიდია.
 აქ – თბილისი. იქ – ფლორიდა.
 ლურჯ ეკრანზე ვხატავ ფრინველს,
 ვასობ ბუმბულს – სიტყვებს ფრთიანს.
 ძილი! – ვამბობ, წამნამები
 კანკალებენ და მითრთიან...
 თითქოს ცრემლი სტაფილოა,
 მიწის ღარში არ ეტევა.
 დრომ კი დაგვყო, ბაბილუა,
 თბილისად და მანჰეტენად.
 მაგრამ ეს ლექსრაკეტები,
 იმდენ რამეს აკეთებენ,

მოფრინავენ ფლორიდიდან,
 მოფრინავენ მექსიკიდან
 და მე შენგან შვილის ნაცვლად
 სამი სტროფი ლექსი მინდა.
 ეს ღამე კი, ო, ეს ღამე,
 მონამლული ჰაშიშით,
 ათას ზღაპარს დამასიზმრებს,
 ათას ქალაქს მომატარებს,
 ვერ მივასწრებ თვითმფრინავენს,
 ორთქლმავლებს და მატარებლებს,
 მხოლოდ ლექსით, მხოლოდ ლურჯფრთა
 ბუმბულებით მოჩითული
 მოვალ, ალბათ, აშშ-ში!
 ცრემლი, თითქოს, სტაფილოა!
 მინის ღარში არ ეტევა,
 დაგვყო ამ დრომ, ბაბილუა,
 თბილისად და მანჰეტენად.

ნათია ჯალიძკა

ჩემი ბუნკერი, ჩემი ურნა, ჩემი სანაგვე
 პარკი აივსო. ახლა დროა,
 რომ ჩემი ტროას
 ცხენი აღმართებს შევუყენო!
 მე ამ აღმართებს
 ვარდისფერი გზისკენ მიმავალს,
 ო, მე ამ აღმართს ისე ვალმერთებ,
 რომ ვერ მაჩერებს დაწყობილი ჩემ წინ ნაღმები.
 მე ვეკვრი ქუჩას – აკრძალული კედლის სტენსილი,
 განწირულია ჩემი მიმალვა.
 პირთამდე სავსე პარიკებით, ნიღბით, მიმიკით,
 ათასნაირი ხარახურით...
 შიში. ხმაური.
 ეს ვარდისფერი გზა შვილივით როცა მიმიკრავს
 გულზე,
 ვჩერდები და ჩემს სავსე ნაგვის ურნაზე
 რკინის ტყუილებს ისე ნაზად გავარახუნებ,
 თითქოს ვუკრავდე გარგრის ზურნაზე.
 ვარდისფერი გზის ბოლოს ის დგას...
 ის კი არ მიცდის,
 მე ვუცდი იმ დღეს, იმ ქარს, მისკენ რომ დაუბერავს,
 ის მეუბნება:
 შენ შენს შიშზე უნდა ზრუნავდე
 ისე, როგორც შენს პირველ შვილზე,
 უნდა ზრუნავდე:
 საკუთარ თავზე.
 ის ვარდისფერ სიზმარს მასიზმრებს...
 ის უშველებელ ხელს მიათრევს ჩემი სანაგვე
 ურნის ფსკერისკენ
 (მე კი ვხედავ ტყეებს ფოთლოვანს.

– რა დაჰკარგვიათ, ნეტავ, ამ ირმებს?).
 ის ძალიან ჰგავს დედინაცვალს, თავის გერისკენ
 რომ გაიწევა და დედობრივ სითბოს მიახლის,
 რომელიც არის ამ გერისთვის რალაც სიახლე,
 რალაც აქამდე ვერნაგემი.
 მისი გემიდან
 წყალს უბრუნდება ყველა თევზი, ყველა დელფინი.
 ის ყოველ ჯერზე საკუთარი ნაგვით მუზეუმს
 მიგებს და მერე მიმითითებს გადმოფენილი
 არტეფაქტების სიმრავლეზე.
 საექსპონანტო
 ნიმუშებივით
 შიშებს გაფენილს
 კედლებზე, ქერზე, ლიობებზე,
 ისე მაჩვენებს,
 რომ მე ვოცდები, დამარხული ჩემი ოცნება
 ისე დგას, როგორც ნეოლითის ბრინჯაოს კაცი.
 ჩარჩოებშია მოქცეული ჩემი ბავშვობა:
 ხელში გამხმარი პურის ყუით, ქვიშის ტიტრებით,
 ტყემლის ყვავილით მორთულ ტორტებით,
 საცაა ისიც დამინახავს და ატირდება,
 ატირდება და ხის ჩარჩოში ატორტმანდება.
 შიშები – მინას შეხიზნული ბოლქვი ტიტათა,
 რომ ვერ ამოჭრა მინის ბელტები...
 ის მთელ ვარდისფერ შენობაზე ცდილობს მომაცვას,
 ცდილობს, გარედან შემახედოს ჩემი ამ მოცვის
 ყანისკენ. და ჩემს მწირ ცხოვრებას, როგორც ციტატას
 გადმომანოდებს სიზმრებიდან.
 ის მწვანე წრეში
 მაყენებს და ჩემ ირგვლივ ანთებს ვარდისფერ კოცონს,
 რომლის ენებიც ცამდე სწვდება...
 რომელიც ნატკენ მუხლისთავებზე მიაღერებს და ისე მკოცნის,
 როგორც მშობელი ნაქცეულ შვილს...
 ის ჩემს სანაგვე ურნას ცლის ისე, რომ ამ ნაგავს ცხვირწინ მიტოვებს,
 ტოვებს წყენებს და სინანულებს, ცოდვებს, შეცდომებს,
 არაფერს ამბობს, არ სვამს კითხვებს,
 მაგრამ მასწავლის
 თუ თავად როგორ ვიქცე კითხვად, რომლის პასუხიც
 თავად ვარ.
 ის დგას ვარდისფერი აღმართის ბოლოს.
 აღმართი!
 პარკი აივსო. ახლა დროა,
 რომ ჩემი ტროას
 ცხენი აღმართებს შევუყენო!
 მე ამ აღმართებს
 ვარდისფერი გზისკენ მიმავალს,
 ო, მე ამ აღმართს ისე ვაღმერთებ,
 რომ ვერ მაჩერებს დანყობილი ჩემ წინ ნაღმები.
 მე ვეკვრი ქუჩას – აკრძალული კედლის სტენსილი,
 განწირულია ჩემი მიმალვა.

●
 მოგაგენი!
 ჩემო გემის
 უხილავო კაპიტანო!
 მოგაგენი, ჩემი ჟოლოს
 გული შენვე მოგიტანე!
 უმნიფარი ეკლის ნაყოფს
 მზემ სხივები მომაჭირა.
 ცისფერ წყლებში მონანავე
 გემზე ჟოლოს მოვაჭრე ვარ:
 ვყიდი გულში აყვავებულ
 ეკლის ნაყოფს, ჯერ უმნიფარს,
 უხილავი მეზღვაურის
 დამწვარ მკლავზე მთვლემს და მძინავს.
 ოკეანის მლაშე სუნი
 მახვევს თავბრუს და თვალს მიბნედს,
 მაგრამ მე ჩემს უხილავ გემს
 საიდუმლო რიფებისკენ
 მივდეგ!
 მივდეგ!
 სავსე გობებს
 ჟოლოს ნითელ სუნად ნაშობს
 ვახარისხებ, ვამეგობრებ,
 როგორც ძვირფას სათამაშოს
 ვაგდებ ზღვაში, სადაც თევზთა
 მოლაპლაპე მეჯლისია,
 სადაც ფორმა უთევზესი
 საუკუნოდ მოსჯილი მაქვს.
 და მეც ვიხევ ამ ლაყურებს,
 ჩემო გემის კაპიტანო!
 ოლონდ, სადმე გაფაჩუნდი,
 რომ ეს გული მოგიტანო
 უმნიფარი ეკლის პირმშო,
 მოტორტმანე სისხლის ზღვაში.
 ცხელი სევდა, ცივი შიში
 რომ თევზივით გადავხარშო
 და ამ წყლების მლაშე გემო
 გავატანო წყალს, გადაღვრილს,
 კაპიტანო, ჩემო, გემის?!
 თქვი, რა გკლავს ან რა განაღვლებს?!
 სანამ გული,
 დაშაქრული
 მივეც ქილებს,
 როგორც ჟოლო
 სამურაბე
 და მოვხუფე ღამურების
 ფრთებით.
 გიყრი ჟოლოსფერი
 გულის ნატეხს, გულის ყუას
 ფერხთით,
 რომ მე, როგორც მსხვერპლი,
 მონადირემ მოგიტყუო...



ია მერაბიშვილი

წერილი საუთარ თავს

მაპატიე, ჩემო თავო, რომ არ მიყვარხარ,
რომ, შენ გარდა, ყველა შევიყვარე,
მიგატოვე და გამოგკეტე,
ცოცხალი დაგტოვე აქამდე.
არ ჩამოიხსნა პოეტის ჯვარი.
ჯერ არ დამდგარა მესამე განთიადი,
არ შეგიკრთია შენი გარდამომხსნელი შენს გაციებულ
ტანზე შეხებით,
შენ წაგრაგნილი ჯერაც არ წევხარ,
შენი სინათლე არ გარდასულა მარიამის უკერველ
ტილოზე.

დროს ასცდი თითქოს, ვერც დროს ითმენ,
სხეულს დაჰყავხარ ჩამორჩენილი, ანდა წინმსწრები.
გამოასახლე ყველა შენგან!
უსახლკარონი მერე იგრძნობენ,
რა ცეცხლი ჰყავდი,
რა კედლებით იფარებოდნენ,
რა მშვიდი ძილით აძინებდი,
არც დაუშვიათ, მაგ გულის გარდა, სხვაც არსებობდა.
არ უნახავთ შენგან ლალატი.

გაეცალე, აღარავის არ დაენახო,
შებრუნდი შენი წილი გზისაკენ,
არ გყავს ენქიდუ, მარტომ ნახე უკვდავების ლურჯსანახები.
თავს შეიკეტე, წერე, შექმენი,
არ წაგიკითხავენ,
ვერ გაუძლებენ სიტყვის სიდიდეს, შენს მაღალ სათქმელს.

დილაა, ყველა ფეხზეა უკვე,
 ნაბიჯის ხმაზე დედას სცნობ მხოლოდ,
 მამა მწუხრამდე გემშვიდობებათ,
 ამ ნაწილს მუდამ აკლდები ხოლმე,
 რადგან ღამეებნათენები დილა გაძინებს.
 შენი ტკივილი, ანუ შენი და,
 მანამ იჯდება გაყინული, სანამ ვინმე არ გამოუცვლის,
 არ შემოსავს ჩვილი ბავშვივით,
 არ განბანს უკუმოქცეულ და ლექიან წყალში.
 ბარტყივით აფჩენს პატარა ბაგეს,
 რომელიც წლებია, შეეგუა მუჭა-მუჭა ჩაყრილ, დიდ აბებს,
 მისი ხორხი რბილი ხნულია, მზეჩამდგარი და გაუხარელი.
 მასში შენი ცრემლები სკდება,
 მარცვალ-მარცვალ ლაგდებიან, ღვივდებიან ჩუმი ცრემლები.
 მათ გვერდით შავად იშლებიან
 სარჩო-საბადებელივით დატეხილი და მთელ კვირაზე გადათვლილი
 თეთრი ლუკმები.
 დას სთხოვ შენდობას, უდანაშაულო დამნაშავე, ამ ყველაფრისთვის.

არ იმსახურებ თბილ ოთახს, ყავას, არც ცხელ სადილს,
 მარხვის დღეებში გამოზოგილ ხმიადებს მამის,
 მან კი არ იცის მძიმედ მარხული შენი დღეები,
 მომშეული სულის სიგამხდრე...
 შენ ვერც ერთ სამსახურს ვერ იგუებ,
 პირველივე კვირა შეგიკლავს,
 პირველივე დღეს გადაჰყვები.
 ნატრობ, დაგტოვონ თეთრ ფურცლებთან
 ან მოგაბარონ გაზეთი, წიგნი,
 იკითხო, სანამ თვალის ჩინი გაქვს,
 სანამ ამ შრომას ხურდებს უხდიან,
 მაგრამ ამ საქმეს არ მოგანდობენ,
 უნდა განაგრძო სინდისის ქენჯნა,
 რომ ორათეულწელშესრულებულს არ შეგიძლია, რამე გქონდეს შე-
 ნი ძალებით.
 ახლა კი უნდა დაელოდო, როდის მოგკრავენ ნაკითხ თვალებს
 მკაცრი მსაჯული – რედაქტორები,
 საზღაურს როდის გინყალობებენ
 სისხლის ფასად შექმნილ ლექსებში.

მოგიძულებენ იმის გამო – შენი თავი ხარ,
 რომ ამ ლექსებს წერ,
 გაღწევა გსურს და მაინც რჩები,
 ვერრით გამოწვეს შენი თიხა თვისი ყალიბით.
 განედრიკე მათ, რომ არ დაგხრან მშვიდად, ნელი-ნელ.
 შეეკეცე შენი გულის კარედი,
 მას, ერთის გარდა, ვერავინ განჭვრეტს.
 გწამდეს მაშინაც, როს დაგძახიან:
 „აი, შენი ღმერთი!
 რომელმაც დაგტოვა,

აი, შენი ყოვლადმონყალე,
სახიერი შენი მშობელი,
მინის პირზე რომ დაგაკრა, ყველა ზედმსვლელის ანაბეჭდით
რომ დაიბეჭდო.

მაინც გიყუარსა?“
მათ ღმერთიც ხომ მთლიანად ადამიანი ჰგონიათ,
მათსავით მოკლე, უდღეური და საბრალობლად დასაზღვრული,
ანგარი და გულნაკლოვანი,
მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, სულ სხვა არის მისი სიმართლე.
გაუძლო და არ მონყდე, იქნებ,
შეინახე და დაიმარხე შთაბერილი მარადი სუნთქვა.
გადანმინდე თვალთაგან ფერფლი, დასიცხული უდაბნოს მტვერი.
ამოეკანრე ეკლიან რტოებს, არ დაურჩე ძეძვებში ხნულებს
და ახვეტე შენი მარცვალი, არ იპოვი მინას ვიდრემდე.
ამოგიტანენ, გინახავენ დანიწკნულ ფესვებს,
სხვა იმედებზე ჩაჭიდებულ ნერვის ღეროებს,
გალეულსა და მკვდარსავით ნატანჯს.

კიდევ ერთი ლექსი დანერე,
ერთი სათქმელით დაშორდი წერტილს.
შენ ასეთ წერილს სხვა ვინ მოგწერდა?..
არ ჩამოიხსნა პოეტის ჯვარი
და მაპატიე, რომ არ მიყვარხარ,
რომ, შენ გარდა, ყველა შევიყვარე.

სიზმრები

ჩემი ოთახის წყვილი კედლები ვარდისფერია,
მაგრამ ყოველვამ ფითრ სიზმრებს ვლანდავ.
წამწამს მასხედან მძიმე ხილვები,
სიცხადეში რომ ვერ გავიხილო,
თვალეში მწარედ რომ შემესოს ეკლიანი ნახევარწრენი.
ახლადაჭრილ მწვანე მდელოებს ზეციური ცვარით ნამავენ,
ჩემს ჭაობში კი გუბედ დგანან მტკნარი ცრემლები.

●
შეუძლებელია, მშობიარობის ტკივილივით დაივინყო უშობელი
ტკივილი.

ის გეხორცება,
ნაფოტებად მიმოიყრება სისხლის მდინარით
და შერჩება თითქმის უკვდავ ძვლებს,
ყველაზე დიდხანს რომ უყურებს მინა-სარკოფაგს.
თითქოს არა აქვს გასასვლელი შენს მთლიან სხეულს,
ვით უნაკერო სუდარას, ურღვევს.
შენ ელი, როდის მოვა ის ერთი,
ბასრი თითებით შენი მკვდარი უშობლები რომ გამოგიდევნოს.

გამოცვიძება

დამძიმდებიან დღეები და არ შეუმცირდებათ წონა.
 ვამზადებ თავს მყოფადისათვის,
 რომელშიც მომკლავენ,
 უხილავ ხელებს ხვიალებით შემომაჭდობენ
 და დამცინავი ღრანტეებიდან ამომძახებენ:
 „დალიე შენი მოკლე სიცოცხლე,
 ჩაიპირქვავე მშიერ ცხედარში,
 ვერ ჩაგეტევა, რადგან, როგორც შენს ზღაპრებშია,
 სწორედ ის სული გიდგას, გასუქებს,
 სინამდვილეში მხოლოდ თინა ხარ,
 ძირს დაგაქცევ და აღარ იქნები.
 დაამინე შედგმული კიბე
 და ჰორიზონტზე იარე მხოლოდ, აქ არ არსებობს ვერტიკალი.
 გამოაცალე შენს ლექსებს ზეცა,
 წერე ღირნიან მინის კადრებზე,
 უკედლებო ბნელ სარეცელზე,
 ღმერთის გამობაზე და ბოროტის სიცრუეებზე,
 თავისუფლების ჩარჩოებით მოვარაყებულ სხვა მონობაზე.
 შენი ცრემლ-სისხლით გაპოხილი პერგამენტები ცეცხლს შეუკეთე
 და ამ სახმილში გამოიწვევა შენი ლალატი, ალბათ იფიქრებ.
 თავს ნუ ინვალებ,
 შენი იმედი კონწიალობს წყმედის შიშთვილზე.“

გამოვიღვიძე.
 კვალად ენთო ოთახში ძაფი,
 თავის დუმილში ჩალვენთილი,
 ცრემლით მომწვარი.
 ჩემს თეთრ სარეცელს შეშრობოდა ნაგვემი სიმწრის.
 ფილტვებს შემშრალი ორი ზოლი სიყრმიდანვე იყო საშიში,
 დედის უთქმელად გამოვიცვლი სამოსს გველივით,
 რომ არ გავცივდე, ვიავადო მხოლოდ სხეულით.
 დედამ ტუჩებთან მომიტანოს წყალი, რადგანაც წყალი ვითხოვე,
 რადგანაც დამწვავს ნაღვლიანი ღრუბელი პირზე.
 გაქრა ზმანება, ქირქილი და ბოროტის ქირდვა.

სკამზე ეფინა, ვით ხის ტოტზე, ჩემი სამოსი,
 მხოლოდ ლურჯ ჰაერს ვეკიდე და მივირწეოდი.

ლიკა ქელიძე



„მცნება მუქვსა“

- ეს სად არის?
- გუშინ გაიყვანეს. აღარ შემოუყვანიათ...
- რაო, რას ამბობდა? არ მომიკლავსო?!
- არაო.
- ყველა ეგრე არ ამბობს?!
- ჰო, თითქმის ყველა...
- რას ფიქრობ, მოკლავდა?
- ვერ...
- რატო რა...
- ვერა-მეთქი, შეემევი!
- და, შენ რას აკეთებ აქ?
- ობობის ქსელისგან უნდა გავწმინდო აქაურობა.
- ამდენი როგორ დაგროვდა?..

- ობობა ჰყავდა.
- რა ობობა?
- ბუზებს აჭმევდა. ვერ მოვკლავო, - ამბობდა. ესეც სულიერია და ვერ მოვკლავო.
- რამდენი ხანია, რაც დახვრეტას ელოდებოდა?
- სამი წელი.
- სამი წელი ობობას უვლიდა? ობობა ცოცხლობს მაგდენს?
- ცოცხლობს, ალბათ, მე რა ვიცი, რომელი ზოოლოგი მე მნახე.
- ობობას რო ეკბინა, ხო მოკლავდა?
- მე რა ვიცი, რომელი ზოოლოგი მე მნახე-მეთქი!
- ობობაც ვერ მოკლა, აბა?

- ვერ...
- შეეშვი, იყოს ეგ აბლაბუდები... იყოს!..

ნახიჯები

ჩემი და-ძმა მგლებმა შეჭამეს. მე ახლა ცალად დავეხეტები დედამინაზე. დედაც, ალბათ, რომელიმე მხეცმა შეინირა. ხანდახან მგონია, რალაც დიდი დავაშავე, ასე ობლად რომ შემომარჩინა ამ ქვეყანას ღმერთმა. ფეხებში ვებლანდები ადამიანებს. მუხლებს ზემოთ მხოლოდ მაშინ შემიძლია დავინახო, თუ დაიხრებიან და თავზე ხელს გადამისვამენ. თვალეში სიყვარული და სევდა ჩაუგუბებიათ. ჩემთვის კი თითქოს მხეცებიც თავად არიან და ოჯახიც მათ მომიკლეს. მაღლიერი მზერით

ვპასუხობ. არაა საჭირო, სხვა მხეცების მაგივრად თავი დამნაშავედ იგრძნონ, საკუთარი ცოდვებიც ეყოფათ.

ჩემს სამყოფ ლუკმას ყოველთვის ვიშოვი, იოლად გვიგდებენ ძვლებს ობლად დარჩენილ ძაღლებს. ერთი კარგა მოზრდილი ძვალი მთელ დღეს გადამაგორებინებს. სულ ვფიქრობ, იქნებ იმ მხეცისაა, ჩემი და-ძმა რომ შეჭამა. ვხრავ და ვაყოლებ ძაღლურ ფიქრებსაც და გულსაც.

ადამიანები იშვიათად მეცოდებიან, თუმცა დღეს ერთ ძნელად დასავინყებელ ამბავს შევესწარი.

მამა და პატარა ბიჭი შემომხვდნენ. ბიჭუნამ თავზე ხელი გადამისვა და ამიტომ ავხედე. მამამისიც დაიხარა და გაუგებარ ენაზე მითხრა რაღაც. აქ, სადაც მე ვარ, სულ სხვა ენაზე მელაპარაკებიან, მეფერებიან და მსაყვედურობენ. ახალგაზრდა კაცს სახეზე ნაძალადევი ღიმილი აუფარებია და მონდომებით ცდილობს ბიჭუნას მიჰბადოს ჩემს მოფერებაში.

გული მომიკვდა. ძაღლს გული თუ მოგიკვდა, ესე იგი, მართლა ძნელად შესაგუებელ უსამართლობას შეესწარი. ბიჭუნას გამხდარი ხელები აფულოკე და ძუნძულით გავერიდე. თვალებგაცისკროვნებული უყვებოდა მამას რაღაცას და თან ჩემკენ იშვერდა ხელს. მიძიმედ ადგამდა ფეხებს, უფრო სწორად, ცალ ფეხს. მეორე ფეხის მაგივრად ისეთი რამ შეუბნევიათ, ძვალისგან გამოსახრავად ვერ გამოდგება. კარგად ეტყობა, ჯერ ვერ შეჩვევია. მამაც ცდილობს, ფეხი აუწყოს მისი არსებობის მთავარ მიზანს. ახლა ისეთი გზები გახდომია საძებარი, სადაც ხეიბარმა ბავშვებმა უნდა იარონ ისე, რომ ცხოვრებას ფეხი აუწყონ. ამ ფიქრებში გართულს მხოლოდ ერთი სანუგეშო დამრჩენია – შემძლია ოთხივე ფეხით ვიძუნძულო, ჩემს სამყოფ სარჩოს კი სულ გადმომიგდებს ვინმე და თუ ძაღლი ადამიანის ერთგული მეგობარია, მეგობრად სწორედ ამ პატარა, უცხო ქვეყნიდან მოსულ ბიჭს ავირჩევდი. ზუსტად ვიცი, ბიჭუნას ფეხი რომელიმე მხეცმა მოა-

ჭამა, ალბათ, უფრო დათვმა. ამიტომ გავუგებდით ერთმანეთს. უკეთესი იქნებოდა, მეც გვერდით გავყოლოდი და თუნდაც კოჭლად მომეჩვენებინა თავი.

მამიდაჩემის კინო

გავიზარდე და კი მივხვდი, ცხოვრება ერთი დიდი ფილმია და ჩვენ, ყველანი, მისი პერსონაჟები ვართ. ზოგჯერ თავი მთავარი პერსონაჟიც კი გვგონია, თუმცა მეორეხარისხოვანი როლის კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ფილმის რეჟისორი უამრავ ადამიანთან ერთად წყვეტს, ვინ ითამაშოს ფილმში და ვის რომელხარისხოვანი როლი ერგოს, თუმცა მამიდაჩემი ის ქალია, ბავშვობიდან ერთპიროვნულად რომ წყვეტდა ჩვენს როლებს, უფრო სწორად, ვის გვეცქირა ფილმისთვის და ვის არა.

ანუ მამიდაჩემი კინოს მოლარე იყო.

ბავშვობაში ძლევამოსილ პერსონაჟებზე თუ დავფიქრობდი, უპირობოდ მამიდაჩემი იყო სუპერმენიც, ბეტმენიც და ჯოკერიც. ჩემს შემთხვევაში, ბანქოს ჯოკერიც, რომლითაც ყველას ვუგებდი და კინოს შენობაში ბილეთის გარეშე ვესწრებოდი ყველა ფილმს.

თუ კარგად დავფიქრებდი, მამიდაჩემი და კინო ერთად შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში. შემოსვლა არც ერქვა, ალბათ, მე შევიჭერი მათ ყოველდღიურობაში – პატარა და კიკინებიანი გოგო, რომელიც თითქმის ყოველდღე მამიდას სამსახურში მივდევი.

მამიდაჩემი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს. კინოს შენობა ჩემს დაბადებამდე აღმოცენდა იქ და დღემდე თავმომწონედ დგას. უცნაურად საინტერესო შენობაა, პირველი დანახვისთანავე ხვდები, მისი კარის შეღებით დიდ ამბებში რომ ამოყოფ თავს. მაშინ კი, ჩემს ბავშვობაში, მით უმეტეს, უზარმაზარი შენობა მეგონა, ის კიბე კი, რომელიც ცენტრალურ შესასვლელამდე უნდა აიარო – დიდი და დამღლელი.

ახლა, როცა შემთხვევით მოვხვდები ამ შენობასთან, მეცინება – კიბეები სულ რამდენიმე საფეხურია, არბე-

ნითაც ვერ დაიღლები, თუმცა, როცა პატარა ხარ და გულიც გამალებით გიცემს, ყველა კიბე მაღალი და მრავალსაფეხურიანი გეჩვენება.

ჰოდა, ასე მოვხვდი კინოში, მამიდაჩემის კინოში და უფრო კონკრეტულად, ამ კინოს შენობის ერთ კონკრეტულ ოთახში, რომელსაც ერთი კარი და ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა, პატარა გისოსებით. ისეთი ფორმის ფანჯარა იყო, კინოს ბილეთების მისაწოდებლად რომ გამოდგებოდა მხოლოდ. ვერ გამოაღებდი და ვერ შეისუნთქავდი იმ პატარა და საკურორტო ქალაქის მარგებელ ჰაერს, თუმცა მაშინ პატარა კიკინებიანი გოგოსთვის ეს ფანჯარა იყო სარკმელი დიდების სამყაროში, საიდანაც უფროსები ფულს გვანვდიდნენ და მე, როგორც მამიდაჩემის ნდობით აღჭურვილი პირი, ბილეთს ვანვდიდი. თუ კარგად დავფიქრებდი, სახეები არც მახსოვს ამ ადამიანებისა, რადგან იშვიათად თუ ვინმე შემოიხედავდა საკმაოდ დაბლა ამოჭრილ სარკმელში, თითქოს მხოლოდ ხელები უნდა დაგვენახა ერთმანეთის. რამდენჯერ გავიგონე, პატარა თითებმა მომანოდა ბილეთიო. გავიზარდე და ჩვევად მაქვს, ადამიანებს ხელებზე ვუყურებ და ასე ვიმახსოვრებ, ხმებს ვიმახსოვრებ. სახეები კი არ მამახსოვრდება ან მალევე იშლება მეხსიერებიდან.

კინოს დაწყებამდე ათი წუთით ადრე მოაწყდებოდა მაყურებელი სალაროს და შემდეგ ვინმე დაგვიანებული თუ შემოვივლიდა ხოლმე. ამიტომ დარბაზიდან ფილმის ხმას გავიგონებდი თუ არა, უცერემონიოდ და უნებართვოდ ვტოვებდი მამიდაჩემის ოთახს და გავრბოდი დარბაზისკენ.

ნითელი, მძიმე ფარდები იყო კარი ამოუცნობი სამყაროსკენ. ძლივს ვერეოდი, გამეწია და შევმძვრალიყავი. და ჩემ წინ გადაიშლებოდა დიდებული სანახაობა – სრული სიბნელე და სიბნელეში უშველებელი ეკრანი, ჭრელაჭრულა კაბებიანი და ნაირ-ნაირი სიმღერებიანი ინდური ფილმით. რამდენჯერ მიცდია ამერბინა ეკრანთან და ფილმში

შევმძვრალიყავი, თუმცა მამიდაჩემი საკმაოდ ჭკვიანია და თავიდანვე გამოგონილი ამბებით გამომიჭედა თავი, რომ ეკრანის უკან მხოლოდ გადამღებ ჯგუფს გადავანყდებოდი და რეჟისორი აუცილებლად მეჩხუბებოდა სცენარის არევისთვის. ამიტომ მეშინია ბავშვობიდან რეჟისორებისა. ყარაბას-ბარაბასი წარმოვიდგინე ბავშვობაში რეჟისორის პროტოტიპად და ასე შევიშინე თავი წვერებიანი ადამიანებითაც, თუმცა მაშინ ყველაფერი ფერადი, უცნაური და საინტერესო იყო. შიშებსაც უფრო იოლად ვერეოდი და მხოლოდ სახალისო ამბებს მივყვებოდი ბოლომდე.

მიხვდებოდი, ალბათ, საბოლოოდ მწერალი გამოვედი. მამიდაჩემის კინომ იმდენი რამ შემძინა, უხერხულიც კი იქნებოდა, სხვა რამ პროფესია ამერჩია.

ერთ დღესაც სახლში საუბარს მოვკარი ყური. მამიდაჩემი დედას ეუბნებოდა, ახალი ქართული ფილმი გამოსულიყო ეკრანებზე და სწორედ იმ დღეს იმართებოდა პრემიერა, ამიტომ ჩემ წაყვანას ნამდვილად ვერ მოახერხებდა. მამიდაჩემის წასვლამდე ხმა არ ამომიღია, მსახიობებისგან წასწავლი მქონდა, როგორ მეთამაშა უწყინარი ბავშვის როლი და მშვენივრად გავართვი თავი, მანამ, სანამ ჭიშკრის გაღება სცადა. არსაიდან იქ გავჩნდი, ლამაზად მოქარგული კაბით და ხელი ჩავკიდე. ვიცოდი, ხელის ჩაკიდება ყველაზე მეტად აუჩვილებდა გულს და არაფრის დიდებით ხელს არ გამიშვებდა. მორჩილად წამიყვანა კინოში.

პირველად იყო, სალაროსკენ რომ არ გავიქეცი. ვერაფრით დაფუთმობდი ჩემს ადგილს ვინმეს. ისე საინტერესოდ ფლერდა მამიდაჩემის ჩურჩულით ნათქვამი ამბავი ახალ ფილმზე, პირდაპირ წითელ ფარდებს ვეცი და სრულიად ჩაბნელებულ დარბაზში სკამზე წამოვსკუპადი.

დარბაზი ხალხით გაივსო. მე მაშინ ვერაფრით მივხვდი, რატომ დაარქვა მწერალმა ორი სათაური ნანარმოებს და რატომ ეზარებოდა ყველას ამ ნანარმოების წაკითხვა მთელი ფილმის მანძილზე. ვერც იმ მწერალს გაეგო ამ

ამბის რამე, ამიტომ ჯიუტად გადავწყვიტე, რომ მე თუ ოდესმე მწერალი გამოვიდოდი, აუცილებლად დავწერდი ისეთ წიგნს, რომლის ნაკითხვაც ხალხს არ დაეზარებოდა.

პრემიერამ, რა თქმა უნდა, დიდებულიად ჩაიარა. წლები გავიდა და ისევ ისეთი ალფრთოვანებით საუბრობს ყველა ამ ფილმზე, დღემდე ჩემი საყვარელი ფილმია. გამომცემელსაც სულ იმ ძალიან დაკავებულ დირექტორს ვადარებ და ხშირად ჩემს თავსა და ფიქრებზე ბევრი მიცინია.

იმის შემდეგაც უამრავი კარგი ფილმი აჩვენეს კინოში. ხალხი ხან ბევრი იყო, ხან – ცოტა, თუმცა მე სულ მქონდა ადგილი დარბაზში. მამიდაჩემი შუა ფილმის დროს გვერდით მომიჯდებოდა და მეც მხრებში გავიმართებოდი ამაყად. მინდოდა ყველას დაენახა, ვის გვერდით ვიჯექი და როგორი საპატიო ადამიანი უცქერდა ფილმს ჩემთან ერთად.

წლები გავიდა და ცხოვრებამ ათასგვარი თავგადასავალი დამახვედრა ყოვედლიურად. კინოსთვის ველარ ვიცლიდი, რადგან უკვე თავად ვიყავი ფილმის პერსონაჟი და საკუთარი ცხოვრების რეჟისორიც, ამიტომ იშვიათად თუ ჩავიდოდი იმ პატარა საკურორტო ქალაქში, თუმცა, ყოველი ჩასვლისას გული კინოს შენობისკენ მიმიწევდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდი, აღარც მამიდა მუშაობდა იქ და აღარც ფილმებს აჩვენებდნენ.

ადამიანებს კინოსა და თეატრისთვის აღარ ეცალათ, აღარც ისე ხშირად ილიმოდნენ და შუქიც კი არ იყო, ფილმი ჩაერთო ვინმეს, თუ მაინც მოიძებნებოდა ვინმე ყოვლისშემძლე, რომ იმ რთულ პერიოდში პურის ფული კინოს ბილეთში გადაეხადა.

მოგვიანებით, რომელიღაც ჭკუათმყოფელს მოუფიქრებია და კინოს შენობა გაუყიდა. მახსოვს, როცა ეს ამბავი გავიგე, გამიხარდა, განვითარების პერსპექტივა დავინახე. ვიფიქრე, ახლა აყვავდება ჩვენი კინოს შენობა, ძველებური სიდიადე რას მიქვია, იმ ეკრანს სულ ნაპერწკლებს გააყრევინებს ახა-

ლი მეპატრონე-მეთქი. გულის სიღრმეში იმის იმედიც კი გამიჩნდა, მამიდა რუტინულ და უინტერესო სამსახურს თავს დაანებებდა და ისევ კინოს მიაშურებდა. დარდი ერთი მქონდა, მე რომ გავიზარდე, იქნებ ორივე ველარ დავტეულიყავით იმ პატარა სალაროში, თუმცა მოვიფიქრებდი რამეს.

ასე იმედიანად გავაგრძელე ცხოვრება, სანამ ერთ დღესაც ისევ არ ვესტუმრე ჩემს პატარა ქალაქს. ნათესავი გარდაიცვალა და მე ყველა ყოფითი საქმე გადავდე ვალის მოსახდელად, რომელიც ყველას გვაქვს ერთმანეთთან სიცოცხლეში, თუმცა, თუ გარდავიცვალეთ, უკეთ გვიხდიან ამ ვალს.

ქართველები დიდად უცნაური ხალხი ვართ, ვტირით დაკრძალვაზე, უკან მობრუნებულს ტირილს გვიკრძალავენ და მეტიც, სარიტუალო დარბაზისკენ მიგვიძღვება ჭირისუფალი. ასე მოხდა მაშინაც, მეც გავყვევი მორჩილად დანარჩენებს რიტუალების სასახლისკენ. გზად ვერაფრით გავიხსენე, სადაა ამ ქალაქში რიტუალების სასახლე თუ არა, სახლი მაინც. თავს ვუსაყვედურე, თითქმის ვუბრძანე, რომ უფრო ხშირად უნდა ჩამოვიდე აქ, რომ ყველა კენჭი ვიცოდე სადაა, თორემ ახლა ამ ხალხს რომ ჩამოვრჩე, ველარც მივაგნებ, სად წავიდნენ.

გზა არცთუ დიდი იყო, თუმცა ინტუიციით მივხვდი, რომ კინოს სახლი გზად შეგვხვდებოდა და ჭირის სუფრაზე მიმავალს გამეღიმა, გამახსენდა მთელი ჩემი ბავშვობა და გული ამომვივარდა სიხარულით, შორიდან მაინც შევაგლებდი თვალს ბავშვობის მოგონებებს.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო – ჩემ შემთხვევაში გამართლდა.

მანქანების კოლონა ჭირისუფალმა სწორედ კინოს სახლთან გააჩერა. გულში ვფიქრობდი, იქნებ ხმამაღლა წამომცდა ჩემი ფიქრები და ამიტომ გაგვაჩერეს, იქნებ სულაც მამაზეციერმა ნიშანი მისცა აქ გაჩერების, რომ ერთი სულელი გოგოს აკვიტებული სიხარული რეალურად აქციოს-მეთქი.

მანქანიდან გადმოვედი და ჰაერი ჩავისუნთქე. კინოს შენობა ვარდისფრად

შეელება ახალ მეპატრონეს. გულში შევაქე, გამოუცოცხლებია აქაურობა-მეთქი. დიდად ვერ მოვიწონე ეს ვარდისფერი, რაღაც სწორედ ინდურ ფილმისფერს წაგავდა, მაგრამ, რას დავეძებდი, მთავარია, სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეცყო აქაურობას, თუმცა, დიდხანს არ დამცალდა ეს ფიქრები. ადგილზე გავშეშდი. ჭირისუფალი კინოს შენობის კიბეებს აუყვავა. ერიჰა, რაღაც ახალ ტრადიციას უყრიან საფუძველს, ალბათ, ჩემი ნათესავები და გასვენების შემდეგ ფილმს გვაჩვენებენ ან სულაც უყვარდა ცხოვრებულს და უბრალოდ შევჩერდით-მეთქი. რა არ ვიფიქრე, მწერალი თუ ვარ, ათასი ამბავიც შემიძლია გამოვიგონო და, სანამ სინამდვილე გავარკვიე, მართლაც ლამის ათას გამოგონილ ამბავს მოვუყარე თავი.

არადა, ძალიან მარტივად ყოფილა საქმე. ახალ მეპატრონეს კინოს შენობა რიტუალების სასახლედ გადაუქცევია. სასახლეს კი ნამდვილად ჰგავდა, თუმცა არა გასვენების სუფრის სასახლეს. ჭირი იქა, ლხინი უნდა ყოფილიყო აქა. იმ შენობაში სულ ზეიმი იყო, იქიდან გამოსული ადამიანები უკეთესები იყვნენ. არც ჭირის სუფრიდან გამოსულებს ვერჩი რამეს, თუმცა ჭირი მაინც იქით გვირჩვენია ადამიანებს, სხვაგან, თვალსმოფარებულ ადგილას. ვარდისფრად შეღებილ კინოში, სადაც ის ლამაზი ხავერდისნაჭრიანი სკამები აულიათ და ორ დაბალფეხა სკამზე გადებული ძელები შემოუწყვიათ გრძელი ხის მაგიდებისთვის, ჭირის სუფრა ყოვლად უადგილოდ მეჩვენა.

მანამ კი ფეხდაფეხ ავყევი საზოგადოებას კიბეებზე, მძიმედ ვადგამდი ნაბიჯებს. მოლაღატესავით გავხედე სალაროს ფანჯარას. წარმოვიდგინე, რომ ოდესღაც ამ ხალხის ხელებს ბილეთებს ვანვდიდი, ახლა კი იქვე წყალი გადაავლეს ხელზე (ტრადიციიან) და ასე შეგვიშვეს შენობაში, რომელსაც იმ წუთას სახელსაც ვეღარ ვარქმევდი. აღარსად იყო დიდი წითელი ხავერდის ფარდები, მაგრამ ერთი კი ადგილზე დამხვდა,

პატარა სცენისთვის და დიდი ეკრანისთვის ვერაფერი მოეხერხებინა „ჭკუათმყოფელს“ და დაუტოვებიათ ისე.

ერთხელ, ცნობილი რეჟისორის პანაშვიდზე ვიყავი, სულ სხვა და უფრო დიდ ქალაქში. კინოს შენობიდან გაასვენეს და დიდი ეკრანის წინ სცენაზე იყო დასვენებული. მაშინ ცოტა ხნით რეჟისორობა მომინდა, რომ ასეთი პანაშვიდი მქონოდა ოდესმე. ხარბია ადამიანის გული და გონება, თორემ რაღას დავინახავ, მკვდარი თუ ვიქნები?! სულაც არავინ რომ არ მოვიდეს პანაშვიდზე, მაინც მშვიდად და ღიმილით ვინვები სასახლეში. თუ მიცვალებული ილიმება, ცუდის ნიშანიაო, არა, არ ვიქნები გალიმებული. პირქუში მკვდარი ვიქნები, გაულიმარი. მართალია, ვეღარც ამას დავინახავ, თუმცა, იმ დიდი რეჟისორის გასვენებაში ძალიანაც მომინდა დიდი ეკრანის წინ სცენაზე სასახლეში გალიმებულს ყოფნა. კიდევ კარგი, რეჟისორობა არ გადავწყვიტე. ამ პატარა ქალაქში ჭირის სუფრაც და სცენაზე სასახლით ყოფნაც ერთ სივრცეში იქნებოდა და საკმაოდ შემაშინა ამ ფიქრებმა.

შორს წამიყვანა ამბის თხრობამ. ასეა, ვინცებ ერთ ამბავს და ვცდილობ ბევრი პატარა ამბავი მოვაქციო შიგნით, რადგან ჩვენ, ადამიანებს, არასოდეს გვყოფნის დრო ამბები ცალ-ცალკე მოვყვით, თავიდან გადავიტანოთ, თავიდან ვიგრძნოთ ემოციები. იქ, იმ ბავშვობის დანგრეულ მოგონებებად ქცეულ სასახლეში, მივხვდი, ცხოვრება ერთი დიდი კინოა, ზოგჯერ არასწორი რეჟისორით და სცენარისტით, თუმცა, ყოველთვის შეიძლება ამბების თავიდან დანერა.

მე რომ ოქროს თევზი მყავდეს და სამი სურვილი მაჩუქოს, აუცილებლად ვინატრებდი:

კინოს შენობაში წითელი ხავერდის დიდ ფარდებს, მამიდაჩემის სალაროს ღია სარკმელს და ისეთი წიგნის დანერას, ყველა რომ წაიკითხავდა.

დავით ხარატიშვილი



გაუჩინარებული ზღვის მოლოდინში

– აქაური ხარ, შვილო? – თითქოს მომეყურაო, ბგერები თითქმის დაუსხლტნენ ჩემს ყურთასმენას. იმ წამს ქუჩაში მარტო ვიდექი. საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო კორპუსის შესასვლელთან ჩრდილს ვაფარებდი თავს. სალამოს ექვსი სრულდებოდა, თუმცა მაინც საშინლად ცხელოდა. აგვისტო თავისივე მწველი მზის ქვეშ დროულად გამდნარიყო, მაგრამ არც სექტემბერი თმობდა მცხუნვარების პოზიციებს. მე კი ვიდექი ჩრდილს შეფარებული და სანატრელ ექვს საათამდე წამებს ვითვლიდი.

შეყვარებულს ველოდებოდი, მწვანეთვალეზა ნინიას. ბიბლიოთეკაში მუშაობდა და სამუშაო დღეს ზუსტად ექვსზე ამთავრებდა. როგორც ყოველთვის, კინოს სახლთან ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ თუკი ჩემი სამსახური-

დან ადრე მოვახერხებდი გამოპარვას, მოლოდინი არ მასვენებდა და პირდაპირ გუდიაშვილამდე მობოდიანებდა მოთმინებადაკარგულს. ავეყუდებოდი ძველისძველ მძიმე ხის კართან და მის გამოჩენას ველოდი. ნინიაც ზუსტად აქ გაეცანო. მაშინაც სამკითხველოს შესასვლელთან ვიდექი, თუმცა მართლა ნიგნისთვის ვიყავი მოსული და, კითხვისგან დაღლილი, სუფთა ჰაერზე ვისვენებდი. სამაგისტრო ნაშრომზე ვმუშაობდი და თითქმის ყოველდღე ვსტუმრობდი გუდიაშვილის პირქუშ ხეივანს. ბიბლიოთეკის ფასადის ქონგურებისგან მუდამ ამრეზილ შემოხედვას ვგრძნობდი, ზედ რომ ქედმალლობა ეხატათ, თითქოს იმ ცოდნით რასაც იცავენ, თვითონაც დაბრძენებულანო. მუდამ სირცხვილის ამოუცნობი გრძნობა მეუფლებოდა იქ ჩავლისას

და ერთი სული მქონდა, ამ ამპარტავანი კედლებისათვის თავი შემეფარებინა. აი, შიგნიდან კი ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, თითქოს საკუთარ თავს სარკიდან გავხედეო, ცხვირში წიგნის სურნელი შემილიტინებდა და ჰაერში ამიტაცებდა. მეჩვენებოდა, რომ იმ გაუზომავი სიბრძნის მცოდნე, რასაც წიგნთსაცავი საუკუნეების მანძილზე სათუთად ინახავდა, ნაუკითხავადაც გავხდებოდი, როდესაც ამ გაყინულ კედლებს შორის ამოვყოფდი თავს, მაგრამ როგორც კი მათ ტყვეობას თავს დავაღწვდი, ეს განცდა უმალ თავს მანებებდა. ისევ საკუთარი სიმცირით გამოამპარავებული კიდევ უფრო მცირედ მეჩვენებოდა თავი და ჩქარი ნაბიჯიც იქიდან სასწრაფოდ მიმაქანებდა. ამიტომაც იყო, გუდიაშვილის ქუჩის არქიტექტურული სიმშვენიერე ჩემს თვალს რომ გამჰპარვოდა და ამ წარმტაცი სურათის დამკვირვებელი მხოლოდ მას შემდეგ გავხდი, რაც ნინია გავიცანი, იმის მერე აღარაფრის შემშინებია...

საჯარო ბიბლიოთეკაში სამაგისტრო ნაშრომამდეც ხშირად დავდიოდი. ლექციებს შორის საკმარის დროს თუ გამოვიჭერდი, ფეხით ჩამოვივლიდი უნივერსიტეტიდან და წიგნის კითხვით ვირთობდი თავს. ხან რომელ თავგადასავალს მივედებოდი და ხანაც სამეცნიერო ლიტერატურაზე ვიმტვრევდი გონების ლაყვარლოვან ფანჯარას. მოკლედ რომ ვთქვა, საჯარო ბიბლიოთეკა მუდამ ჩემი, დროის უსასრულოობისგან დევნილი ყარობი მოციქულის შემფარებელი იყო და ამიტომაც ვიყავი გაკვირვებული, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, ნინია არასდროს შემინიშნავს.

მწვენე თვალების მერე, მისი ხვეული და ნაბლისფერი თმა შევამჩნიე, რომელიც მუდამ გაშლილი და დაუვარცხნელი, თუმცა მაინც მოხდენილი ჰქონდა. იშვიათად თეთრი ღერები, თითქოს საგანგებოდ მოკაზმულივით ერია და ტალღოვან დალალებს სადღესასწაულო სუფრაზე მოქარგულ ორნამენტებივით გასდევდა. თეთრი პირიდან შემოცინება იცოდა, მაგრამ თუ კარგად გიცნობდა მაშინ, თავიდან კი

მისი ღიმილი არ მღირსებია, მხოლოდ თვალებით შემიპყრო, პირველნამიერი აღელვებით ჰაერში ამაფრინა, მთელ სამყაროდ გადაიქცა ორი ზურმუხტის მარცვალი, თვალის თეთრ ფენას გაქრობამდის რომ ავიწროვებდა, მერე კი... მერე ბევრი აღარაფერი მახსოვს, სანამ კარგად არ გავიცანი და გავაცნობიერე მისი ახლოს ყოფნა.

შუბლზე დიდი შრამი ჰქონდა. თმებიდან ცხვირამდის სივრცეს თითქმის ორ ტოლ ნაწილად ჰყოფდა, თუმცა ესეც კალმით ნახატი, თითქოს საგანგებოდ გადაუჭრიათო, ხატოვან ფორმას ინარჩუნებდა. მაღალი ძაბვის ელექტრულ სიმბოლოს ჰგავდა, ზოგს მენის ზევსისეული გამოსახულება რომ ჰგონია. გაბრაზდება ღმერთი, შეყრის ცაზე ღრუბლებს და შუბივით ისვრის დედამიწაზე მენის ტეხილებს, სრულიად უმიზნოდ, გაუაზრებლად ფანტავს ელექტრულ მრისხანებას და ვაი მას, ვისაც ის დაეცემა.

ნინიას შრამი კი არც ზევსთან ყოფილა კავშირში და არც მაღალ ძაბვასთან. მისი წარმომავლობა სრულიად უბრალო ბავშვურ გაუფრთხილებლობას უკავშირდება, რომელიც სამუდამო დალად დააჩნდა მის მშვენიერ სხეულს, თუმცა მხოლოდ უარყოფითი როდი მოუტანია ამ ტრავმას. ეს ნაიარევი მისი და მერე უკვე ჩემი მუსიკალური გემოვნების შემოქმედი გახდა, ან კი სხვაგვარად როგორ იქნებოდა?!

ნინია ზოგადად მძიმე როკს და უფრო ხშირად AC/DC-ს უსმენდა. როგორც მეხივით გავარდნილი შრამი ყოფდა მის შუბლს ორ ტოლ ნაწილად, ისე მაღალი ძაბვის ნიშანი ამ ჯგუფის სახელს წყვილად ანაწევრებდა და ეს სახელიც ხომ თავად გამყოფს უკავშირდებოდა (AC/DC - მუდმივი დენი/ცვლადი დენი). ჩართავდა Hight Voltage -ს (სიმღერის სახელი, რომელიც მაღალ ძაბვას ნიშნავს) და საცეკვაოდ მოემართებოდა, ხოლო ცეკვისას ენერგიული მოზღვავების წუთებში მაღალი ძაბვის აღმნიშვნელი შრამი უწითლდებოდა, თითქოს ანგუს იანგი (AC/DC-ს გიტარისტი) თა-

ვისი ელექტრო-გიტარის ელექტრული ჟღერადობით მართლაც მალალ დაბვას გადასცემდა მოცეკვავე ნინიას... და არა მარტო ცეკვისას, შრამი ყოველთვის წითლდებოდა განსაკუთრებული მღელვარების წუთებში. თოვლივით თეთრი ჯერ ვარდისფრად იფეთქებდა, სიცოცხლის ფერებით მორცხვად შეიმოსებოდა, მერე უფრო გათამამდებოდა, ჩემი ალტაცებული მზერა აგულიანებდა და უკვე მოურიდებლად მენამულისფრად იღებებოდა, მხოლოდ უფრო განსაკუთრებულ, მღელვარედ ამღვრეულ და დელიკატურზე ინტიმურ ნამებში ხდებოდა ვარდზე წითელი, ქარზე თამამი და ღრუბელზე მკაცრი, სიშიშვლებზეც უფრო მორცხვი ხდებოდა, ვხედავდი როგორ ფეთქავდა ფერებად შემკრთალი, შიგნიდან დუღდა და... და ერთი სული მქონდა, როდის ამოხეთქავდა, გასკდებოდა და მდულარი ნამით დამიცვარავდა სანახაობით ალგზნებულ სახეს, სისხლით დამაცხრობდა ვნებით ამღვრეულს. მეც ძალას არ ვიშურებდი, მონდომებას ვუმატებდი და ძალას ვაორკეცებდი, ცეცხლზე ნავთს ვასხამდი სეირის მოლოდინით გამმაგებული, მაგრამ შრამი მხოლოდ ადგილზე ბობოქრობდა, ფერებად გადაივლიდა მის ფაფუკ კანზე მღელვარების ქარიშხალი და ძალისაგან გამოცლილ სხეულს კვლავ წარსულის დალად, დროით გამოთლილ თეთრ ქანდაკებად დააჩნდებოდა.

მუსიკა ძალზე უყვარდა ნინიას, ისევე როგორც მე და, როდესაც მასთან შესახვედრად მივიჩქაროდი ან კიდევ სადმე ველოდებოდი, გულში ყოველთვის რალაცას ვლილინებდი. ეს თავისთავად ხდებოდა. გონება მუსიკას გამოიხმობდა სანუკვარი წუთების შესახვედრად და მელოდიაც თავისით დაჰქროდა გონებაში, ხან ტუჩებსაც აიყოლებდა და ბგერებსაც ძლივს აკავებდნენ მიბჯენით ჩამდგარი კბილები. მაშინაც გული მუსიკის ხმაზე თრთოდა. ექვსი სრულდებოდა და სიმღერაც კულმინაციისკენ მიიწვედა, რომლის გვირგვინიც ნინიას გამოჩენა უნდა გამხდარიყო. თვალწინ მედგა მისი მოცინარი სახე ჩემი დანახ-

ვისას, სხვა კი გარშემო, სიცხის გარდა, არაფერი მანუხებდა, თუმცა რალაც ხმამ მაინც მოახერხა ჩემი გამორკვევა.

– ბატონო? – კითხვითვე ვუპასუხე, თუმცა თქმისთანავე ვინანე, რადგან მერეღა გავარჩიე კითხვის არსი, თუმცა მისი პასუხი – „დიახ“, მხოლოდ გულში ჩავილაპარაკე და დაველოდე, კითხვის მომცემი მას როდის გამიმეორებდა.

მოხუცი ქალი იყო. იქვე დაბალ სკამზე იჯდა. იქამდეც ხშირად მენახა, თუმცა მისი ხმა არასდროს გამეგონა. სიცხის მიუხედავად, მთლიან ტანზე შავი ძაძები ემოსა და ასე გამოიყურებოდა მუდამ, რაც კი მისი თავი მახსოვდა. შვილმკვდარ დედას ჰგავდა, თუმცა მისი თვალები არასდროს შემენიშნა, სულ თავჩალუნული იჯდა და გლოვის საყოველთაო ქანდაკებას მაგონებდა, თავზე წაკრული რიდეც თვალებზე ჩამოფხატებოდა, ადამიანური ფერები კი მხოლოდ თავსაბურავიდან ჩამოშლილი ქათქათა თეთრ კულულებზე ეტყობოდა, ისიც მაშინ, თუკი თმის სამაგრი მოეშვებოდა და ხშირი თმაც დაიხსნიდა თავს ტყვეობისაგან. წინ პატარა დახლი ჰქონდა გაშლილი და წვრილმანებით ვაჭრობდა. შავებით მოსილი ფერად ზიზილო სათამაშოებს ყიდდა. მოხალული მზესუმზირა, მიწისთხილი და შაქარყინულიც ჰქონდა, თუმცა მასთან მისული მუშტარი კი არასდროს მენახა, ამიტომაც ჩემს გონებაში მგლოვიარე ქანდაკებად დარჩენილიყო და მისი შეკითხვაც მოულოდნელობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქუჩის შემთხვევითობას.

მაშინ პირველად დავინახე მისი სახე. როდესაც კითხვა შევუბრუნე, კარგადაც შევათვალეიერე. ისევე თავის პატარა სკამზე იჯდა. სიცხის მიუხედავად შიშვლად არაფერი უჩანდა, გარდა სახისა, ხელზეც კი ლანდევით თხელი შავი ხელთათმანი წამოეცვა, რომლის მიღმაც თეთრი კანი თავის სიმკვეთრეს მორცხვობდა. და ალბათ სახესაც ვერ დავინახავდი, საგანგებოდ რომ არ ამოეხედა. დანაოჭებული კანი ჰქონდა, ყვრიმალეები ჩანითლებოდა და მის გარშემო დაღარულ ნაკვთებზე ოფლის

ნაკადულები მოწვეთავდა. პატარა და კობტა, ჩამომხმარი, ოდნავ ჩამონვეტილი ცხვირი ჰქონდა, ტუჩები კი ისე მოეკუმა, ბალიშები სულ მთლად დაემალა. თუმცა ყველაზე თვალშისაცემი მისი თვალები იყო. თითქმის გამჭვირვალე, გაცრეცილი მზერა ჰქონდა. ცისფერზე უფრო თეთრი თვალებით იცქირებოდა და თითქოს სადღაც შორს, თვალუნვდენელ ჰორიზონტს გაჰყურებდა.

კითხვა რომ შევუბრუნე, კისერი მოიღერა, ზედ შემოკრული რიდე, ოდნავ ქვევით მოქაჩა, თითქოს ახრჩობდა და თავს უშველაო, ვინრო ყელი ოდნავ გაინთავისუფლა, ნიკაპი შეჭმუნა, ცხვირიც ოდნავ ჩამოუგრძელდა, მერე კი ისე მკითხა, ზედაც არ შემოუხედავს, ისევ სადღაც შორს ქაშუეთის ეკლისიის მიღმა იცქირებოდა:

– სოხუმელი ხარ-თქო?

– დიახ, აქაური ვარ, – გამზადებული პასუხი წამოვისროლე და ისევ სანანებელი გამიხდა, ადგილზე გავშრი და იქაურობა დაეჭვებული მზერით მოვათვალიერე. ნამდვილად თბილისში ვიყავი, გუდიაშვილის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკის წინ ჩემს შეყვარებულ ნინიას ველოდებოდი და ეს ქალი კიდევ მეკითხებოდა, აქაური – სოხუმელი ხომ არ ხარო?

თავიდან ვიფიქრე, რომ მიცნო. ჩემი მშობლებიდან იცნობდა რომელიმეს ან საერთოდ ორივეს და იქიდან დამაკავშირა ჩვენს სანუკვარ მონატრებად გადაქცეულ ქალაქთან-მეთქი, მაგრამ შეპასუხება ვეღარ გავბედე.

ქალი მართალი იყო და ჩემი პასუხიც ტყუილი არავითარ შემთხვევაში გამოდიოდა. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანას თბილისში სოხუმის დაცემის შემდეგ მოვევლინე, მაინც დევნილად ვითვლები. უფრო მეტიც, ეროვნებით აფხაზი ვარ, თუმცა გვართ ეს ძნელი მისახედრია, რადგანაც იგი მეგრულსაც ჩამოჰგავს, ამიტომ ეთნიკური წარმომავლობის დამალვა არასდროს მიჭირდა... ან კი რა დასამალიაო, იტყოდა მამაჩემი და ბევრიც დაეთანხმებოდა, მაგრამ ეს კონსპირაცია, თავისთავად ხდებოდა,

ჩემი გვარის გაგონებაზე, ყველას მეგრელი ვეგონე და არც უარყოფდი ამ შეცდომას, თუმცა მამაჩემს მუდამ სანყენად მიაჩნდა ჩემი „ქართველობა“ და ამაზე სულ მწარე საუბარი გვქონდა.

როდესაც რუსულმა მხარემ საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება მოახდინა, მაშინ მამაჩემი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა დასაოჯახებელი ლეიტენანტი უკვე მალალ თანამდებობაზე მოხვედრილიყო და ძალოვან უწყებაში სიტყვაც თამამი ეთქმოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ ქართულ მხარეზე გადასვლა არჩია და თბილისში დევნილის სახელით გადმოსახლება მოუწია. როგორ ვიფიქრო, ჭკვიანურად მოიქცა, უკეთეს მხარეს არჩია ხელის მოთბობა-მეთქი, როცა მთელი წელიწადი ქართული დროშის ქვეშ ომობდა. აფხაზები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მათ ზურგს რუსეთის წითელი არმია ამაგრებდა, ამიტომაც ძალები აფხაზთა მხარეს უფრო მეტს იწონიდა. ჯერ კიდევ გაგანია ომი მძვინვარებდა, როდესაც მამაჩემი აფხაზურმა მხარემ მოლაღატედ გამოაცხადა და მისი ცხედარისთვის ჯილდოც დაანესა, მაგრამ მისი გვამით ხეირი ვერავინ ნახა. გადარჩა, თუმცა სამშობლოში, თავისი ხალხის მიწაზე მოლაღატედ დარჩა. მეც კი არ ვიცი, ასე რატომ მოიქცა კაცი, რომელიც სახელს მედამ უფრთხილდება და დღემდე სათუთად აშენებს მის შეუბღალავ პირამიდას... აქ კი იცოცხლე, დაუფასეს, მედლებითა და ორდენებით დაამშვენეს, გმირის წოდებაც ჩაუსხეს მის რეპუტაციას საძირკველად. ქართულ ძალოვან უწყებაში კარგი სამსახურიც შეახვედრეს, თუმცა ზუსტად ვიცი, მთელი წლები უშიშროების სამსახურები ქუდზე აზიან და ყველაფერს უქექავენ, აქაოდა თვალი ცრემლმა არ დაუბნელოს, დედ-მამის საფლავი არ მოენატროს და რამე არ მიქაროსო, მაგრამ მამაჩემი ფრთხილი კაცია, ეჭვის საბაბს არავის აძლევს, ქართული გმი-

რის წოდებით ამაყად დააქვს ორმაგი ეროვნება, ასეც უწოდებს ხოლმე, როცა ორ ქიქას გადაკრავს, რალა აფხაზი და რალა ქართველიო, მუდამ სიამაყით წარმოთვამს ხოლმე ამ ორი ეთნოსის ერთიანობას, თუმცა ეს სხვებთან, ჩემთან კი ყველაფერი სხვანაირადაა...

როგორც ვთქვი, ქართველობა კარგად გამომდის, გვარიც ხელს მიწყობს და გარეგნობაც არ მოითხოვს განსხვავებას და, მე თუ მკითხავთ, გასარჩევი არაფერია, მაგრამ მამაჩემი მუდამ მოითხოვს ჩემგან, ვიყო აფხაზი უპირველესად და არავინ სხვა. უნდა, რომ მე თბილისში დაბადებულ და გაზრდილ კაცს ამკიდოს ტვირთი, რომელიც ღალატით დააგდო მშობლიურ მიწაზე, მიატოვა, მაგრამ ისიც საშვილოსნოს სურნელივით თან გამოჰყვება, მოძულეებულ შინაურ კატასავით მოუშორებელ ჭირად ექცა და ჩემზე გადმოკიდება გადანყვიტა. არადა, მე ხომ აფხაზობისა არაფერი გამეგება. მხოლოდ მაშინ, როცა დათვრება, დამიჯდება გვერდით და რალაცეებს ჩამჩურჩულებს სოხუმის მშვენიერების შესახებ, იქაურ ზღვას იგონებს, რომელიც თურმე ყველაზე განსაკუთრებული ყოფილა მსოფლიოს ზღვათა შორის. არადა, ისიც ხომ უბრალოდ შავია, როგორც ბათუმში, კი ნამდვილად ასე იქნება... იმასაც ვერ ბედავს, რომ აფხაზური მასწავლოს, მე კი ცურვაც არ ვიცი და ყველა ზღვა ჩემთვის დაგუბებული წყალია მხოლოდ, ხოლო სოხუმი აფეთქებული შავთეთრი ქალაქია, რომელიც აფხაზებს ასეთი მოსწონთ, მხოლოდ თავისთვის – თუნდაც გაცამტვერებული...

ეს ქალი კი რას მეკითხება? სოხუმელი ხარო, თან აქაურიო... რალაც ვერ უნდა იყოს რიგზე. გაოცებული შევყურებ მის მშვიდ სახეს, ახლა შავი პერანგის საყელოს ისწორებს, თუმცა მეჩვენება, რომ კი არ სცხელა, არამედ ყელს ითავისუფლებს, რომ სიტყვები თამამად ამოუშვას.

– შენ კი არ გეხსომება, ახალგაზრდა ჩანხარ, მაგრამ იქნებ გადმოცემით იცოდეს რამე, – ისევ არ მიმჩნევს

და გაშტერებით გასცქერის ქაშუეთის ეკლესიის მხარეს, თითქოს იქ რომც არ ვყოფილიყავი მაინც მოძებნიდა, თავად გამოიგონებდა მსმენელს და ამ სიტყვებს ეტყოდა, – ადრე იქ ზღვის ნაპირი იყო, – ამბობს და გამომხმარ ხელს გუდიაშვილის ქუჩას ბოლომდე აყოლებს, ერთი მოძრაობით მიწასთან ასწორებს ბიბლიოთეკის შენობებს და სადღაც შორს, გუდიაშვილის ბაღის მხარეს შეშდება, – ნაპირზე პალმები და მაგნოლიები ხარობდნენ... სად ნავიდნენ, სად დაიკარგნენ? რატომ დაანგრიეს სასტუმრო „აფხაზეთი“ ან ბულვარის თეთრი ლამპიონები რატომ აღარ ანათებენ? შენ ხომ არ იცი, სად ნავიდა ზღვა? სად გაუჩინარდა?

მკითხა, მაგრამ ისევ არ მოუხედავს ჩემკენ, თავის დახატულ სურათს გაშტერებით მიჩერებოდა. ხმაზე ეტყობოდა, რომ არც იმედი ჰქონდა, ჩემგან რაიმე სასიკეთოს ან საერთოდ ხმას თუ გაიგონებდა. შეიძლება, ის თავისი გამოგონილი მსმენელიც კი ვეგონე, რომელსაც მხოლოდ სიტყვას თუ მიუგებდა... და ასეც იყო, მისთვის სათქმელი არაფერი მქონდა, თუნდაც ამ წარმოდგენაში აყოლა და უცოდველი უფიცობის გამო მხრების აჩეჩვაც კი, მის გამასხარავებად მეჩვენებოდა, ამიტომაც მდუმარედ ვიდექი და ქალის გაშეშებულ მზერას შევცქეროდი. ახლა მხოლოდ ნინიას გამოჩინა თუ გადამარჩინდა.

– როდესაც ზღვამ გაუჩინარება გადანყვიტა, ჩემი შვილები, ჩემი ორივე ბიჭი მის გადარწმუნებას ეცადნენ, – ქალს ორივე თვალიდან ცრემლის წვეთები ჩამოუგორდა, თუმცა არც ხმა აჰკანკალებია და არც მზერა შეურხევიან, – ორივემ მის მოსაბრუნებლად, გადასარწმუნებლად შებედავს ამღვრულ ტალღებს... ზღვა კი მიდიოდა, თავს შეყენებული შტორმით, ხალხზე შემომწყრალი მრისხანე ფიქრით ტოვებდა ჩვენს სანაპიროს... ბავშვებმა კი, რომ ვერ დაითანხმეს, ალბათ, თან გაყვნენ განანყენებულს, არც მათ უნდოდათ სოხუმი ზღვის გარეშე და მასთან ერთად დასავლეთისკენ შებედავს თვა-

ლუნვდენელ ჰორიზონტს... უზღვოდ კი ნაპირიც ხომ ვერ იქნებოდა, ისიც გაქალაქდა, პალმები გახმა, მაგნოლიები დაჭკნა, ბულვარის ლამპიონი გზას ხომ ვერ გაანათებდა?! მას მერე ვზივარ და ველოდები, იქნებ, გული მოუღბეს, ჩვენსკენ მობრუნდეს შემომწყრალი, დაუბრუნდეს მიტოვებულ სანაპიროს და ბავშვებიც თან მოიყოლოს... მაშინ პალმებიც გაიხარებენ, მაგნოლიებიც უწინდებურად გაშლიან ყვავილებს, განათდებიან თეთრი ლამპიონები და ლანდად ქცეული ბულვარიც გამოსახულ იერს შეიძენს... ნამდვილად ასე იქნება... ოღონდ დაბრუნდეს...

– რატომ არ მომწერე, აქ თუ მელოდებოდი? – ნინიას ხმა გუდიაშვილის სიცხით გათანგულ სიმყუდროვეში მეხივით გაისმა და თავისი ბობოქარი შემოქანებით თავისკენ მიმატრიალა.

– მინდოდა, კიდევ ერთხელ მენახა, მოულოდნელობისგან ელვასავით როგორ აინთებოდი, – ჩვეული გადაპრანჭული ხატოვანებით ვუპასუხე, თუმცა ამჯერად შემრცხვა, რადგან ზღვის მომლოდინე დედაკაცზე ფიქრი არაფრით მტოვებდა, თითქოს ბრალს მდებდა, ზღვაზე ფიქრი შენ რად მიატოვე, ასე მარტივად რად შეელიეო.

– შიგნით მაინც შემოსულიყავი, ამ სიცხეში აქ რომ დამდგარხარ, – შემოღიმებით მოსაყვედურა და ხელსახოცით ჩემს შუბლზე ოფლის წვეთების წმენდას შეუდგა.

– აგერ ქალბატონთან ვსაუბრობდი, – უაზროდ ვიმართლე თავი და ისევ იმ მხარეს მივტრიალდი, სადაც ქალი მეგულეობდა, თუმცა ადგილზე არ დამიხვდა, მისი დახლი და პატარა სკამიც სადღაც გამქრალიყო. ნუთუ სიცხით დამზრალს ყველაფერი მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და ისევ ნინიას, ამჯერად საშველად მავედრებელი მზერით მივაჩერდი.

– ნორა დეიდას? – მკითხა და გუდიაშვილის ქურჩას გაღმა ქაშუეთის ეკლესიისკენ გახედა.

– სახელი არ უთქვამს, – ამოვილულულუე და მეც იმ მხარეს მივტრიალდი.

ქალს ყველაფერი აებარებინა. ცალი ხელით გასაყიდი საქონლით სავსე ცელოფნის პარკს მიათრევდა, მეორეში კი დაკეცილი დახლი და სკამი ეჭირა. ჯერ კიდევ იქვე ათიოდე ნაბიჯის მანძილზე წელში ოდნავ მოხრილი მილასლასებდა. ქვაფენილზე ისე ადგამდა ფეხს, თითქოს მართლაც ზღვის სანაპიროს ნასიპლოდებზე გადასვლა გაჭირვებიაო.

– ზღვა მოიკითხა? – მკითხა ნინიამ და დავინახე მის ბაგეს ღიმი როგორ შეეპარა.

– მოიკითხა, – ოდნავი წყრომით ვუპასუხე, – თუმცა არა მგონია, მისი ამბავი სასაცილო იყოს.

ვუსაყვედურე და დავინახე, როგორ შეკრთა ნინიას შრამი და სისხლით აიმღვრა.

– ადრე ჩვენთან მუშაობდა, სულ ცოტა ხნის წინ ნავიდა სამსახურიდან. ჭკუიდან შეცდაო, ამბობენ. მაგრამ, მგონია, რომ მის ადგილზე ეს ნორმალური იქნებოდა. ყველას ხომ თავის გზა აქვს, მისი კი აქეთ უხვევდა... ორივე შვილი აფხაზეთის ომში დაელუპა, თვითონ ქმართან ერთად აქეთ გადმოსახლდა. საჯარო ბიბლიოთეკაში მიიღეს სამუშაოდ გამოცდილი ბიბლიოთეკარის რეპუტაციით და თითქოს გამწარებულ ცხოვრებასაც აგრძელებდა მშვიდად, მაგრამ ერთი თითქმის შეუმჩნეველი უცნაურობა ჭირდა, რასაც მხოლოდ შემდეგლა მიხვდნენ ჩვენი თანამშრომლები. როდესაც აქ, ამ შენობიდან გამოდიოდა და მარჯვნივ ქაშუეთის ეკლესიისკენ გაიხედავდა, უცაბედად შეკრთებოდა, თითქოს მოჩვენება დაინახაო, ნანახს წამიერი უხმო შექანებით შეიცხადებდა, თუმცა გული უცბადვე დაუმშვიდდებოდა, ჩახრიდა თავს და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გაქანდებოდა. ყველაფერი კი მერე გამოამკარავდა, როდესაც ბიბლიოთეკიდან აქ, ეზოში გადმოჯდა და იმ სურათს, რომელიც ასე აშინებდა, გაშტერებით დაუნყო ცქერა. მისმა ქმარმა ჩამოხსნა ფარდა ყველაფერს. რომ ველარ მოთოკა და ვერაფერი გააგებინა, აქ მასთან ხეტიალსაც შეეშვა, ჩვენ კი მის თანამ-

შრომლებს, ინტერესით რომ ვაკვირდებოდით მათ უჩუქარ კინკლაობას, გული გადაგვიშალა, ტვირთად აწვა და ლოდი მოიხსნა, დამშვიდდა საბრალო... თურმე სოხუმშიც ბიბლიოთეკაში მუშაობდა. სამსახურიდან რომ გამოვიდოდა, მარჯვენა მხარეს ზღვა ხელის გულივით მოჩანდა, როგორც აქ – გუდიაშვილის ქუჩა და შემდეგ იქით – ბალი ეკლესიასთან... ჰოდა, გული ვერ მიაჩვია უმისობას, ზღვა რომ აღარ ჰქონდა და შვილებიც ზღვასთან ეგულეობდა, არ ეთმობოდა, წარმოდგენას ვერაფერს უხერხებდა და ვერც რეალობას ეწინააღმდეგებოდა, სხეულით აქ იყო, სულით კი იმ ზღვის ნაპირებს ტკეპნიდა, მისი შვილები სამუდამოდ ტყვედ რომ დაიტოვა. ბოლოს ველარ გაუძლო და მთელი გონებით იქ გადასახლდა...

ამას წინათ, ერთმა ახალმა თანამშრომელმა ალალი გულით უთხრა, ზღვა თუ გინდა დეიდა, ბარათაშვილზე უნდა ჩახვიდე და იქიდან დადის ავტობუსით, ნომერიც უსწავლებია, ბოლო გაჩერებაზე ჩამოხვალ და ზღვაც იქ დაგხვდებაო, ნორასაც დაუჯერებია და წასულა. მერე ავტობუსის მძღოლი გვიყვებოდა ყველაფერს, როდესაც გავიგეთ ამ ახალი თანამშრომლისგან, ქალი გავაგზავნე, ზღვა მოიკითხაო და ესეც მთელი დღე აღარ გამოჩნდა, მართლა დავინტერესდით. გავიკითხეთ, ამ ნომერზე შავებში ჩაცმული ქალი ვარკეთილში ზღვის დასახლებამდე ვინმეს ხომ არ გამოგყოლიათო. პირველივე აღმოჩნდა, ვინც იდგა, კი მე წავიყვანეო. ზღვას-

თან რომ გავჩერდი და ჩამოვიდა, დრო მქონდა და უნებურად ვაკვირდებოდი, რას იზავდა, სხვა მაინც იმ უკაცრიელში არაფერი ხდებოდაო.

მშვიდი შემართებით მიიკვლევდა აღმართს შავებში გამოწყობილი დედაკაცი. მამაცად ებრძოდა უტყუობით გათამამებულ ქარიშხლებს, რომლებიც თავსაბურავის ქვეშ დამალულ მის ფითქინა დალალებს ეტანებოდნენ, თუმცა შერხევის მეტს ვერას აკლებდნენ. მწვერვალზე ასული კი დიდხანს მშვიდი მზერით გასცქეროდა თბილისის წყალსაცავს, რომელსაც დედაქალაქურმა ამპარტავნებამ ზღვის სახელი შეატოვა. ქარი სახეში სცემდა და კაბის კალთებს განზე უფრიალებდა, მაგრამ არავინ უწყოდა მის გონებას რა ფიქრი პატრონობდა.

ავტობუსის მძღოლმა, მეორე წრეზე რომ დავბრუნდი, გაჩერებასთან დამხვდაო. რომ ამოვიდა, ისე მითხრა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: რალაც შეშლიათ, ზღვა ასე არ დამცირდებოდა, გუბედ გახდომას ცად აორთქლებას ამჯობინებდაო. მხოლოდ ეს თქვა დაჯდა და დადუმდა...

და დადუმდა წინაც... და მე დავინახე როგორ ჩაცხრა მისი შრამი წითელ ფერთაგან და როგორ შეისხა თეთრი სუდარა... როგორ ჩადგა მის მწვანე თვალებში შავი ზღვა, ზღვა, რომელიც იქამდე არასდროს მენახა და როგორ შებედა ამ ზღვას ქაშუეთის ეკლესიისკენ მიმავალმა შავად მოსილმა დედაკაცმა.

პაკი დაუშვილი

წვიმის წვეთი ჰაი



წვიმის წვეთი ჰაი და ფრთხილად ჰაი ჰაი ჰაი

პაკი მდელიზე გაშლილ ულამაზეს ყვავილებს აღტაცებით შესცქეროდა. უცებ გვირილაზე ფრთხილად პეპელა დაფრინდა, ხორთუმიტ ნექტარი ამონოვა და ვარდკაჭაჭაზე გადაფრინდა.

პაკის პეპელა ძალიან მოეწონა, მიუახლოვდა და უთხრა:

– ძალიან ლამაზი ხარ. რა გქვია?

– პელო, – დარცხვენით უპასუხა პეპელამ.

– სახელიც ლამაზი გქონია, – გულწრფელად თქვა პეპელას მშვენიერებით მოხიბლულმა პაკიმ.

– წვიმის წვეთო, რა გქვია? – დაინტერესდა პელო.

– პაკი! – ამაყად უპასუხა წვიმის წვეთმა, – მეც მინდა შენსავით ყვავილიდან ყვავილზე ვიფარფატო.

– გინდა, ერთად ვიფრინოთ?

– პელო პაკის გვერდით დაეშვა,

– ზუგრზე შემაჯექი.

– არ შეგანუხებ?

– არა, რას ამბობ. სიამოვნებით მოგატარებ ჩვენს მშვენიერ მდელს.

პაკი პელოს ზურგზე ფრთხილად შეაცოცდა და პეპელა ჰაერში აფარფატდა. ჯერ შროშანზე დაჯდა, იქიდან სამყურაზე გადაფრინდა, იქიდან ყოჩივარდაზე, მერე ენძელასა და ზამბახს ეწვია და არც სამყურა დაივიწყა.

უეცრად ქარი ამოვარდა და პეპელა მარწყვის ბუჩქებში შეაგდო. პელო ცალი ფრთით ეკალს გამოედო, ფრთის ნაწილი ჩამოეხია და მიწაზე დავარდა. საბრალო პეპელა ბევრს ეცადა, თუმცა ვეღარ აფრინდა.

– რა მეშველება, აწი როგორღა უნდა ვიფრინო? – დაინუნუნა სასონარკვეთილმა პელომ.

პაკიმ ყაყაჩოს ერთი ფურცელი გამოართვა, პელოსთან მიარბენინა და ანუგეშა:

– ფრთის მაგივრად მიიმაგრე.

– კი მაგრამ, ფოთოლი ფრთაზე რა-ნაირად მივიმაგრო?

მათ საუბარს ბუჩქებში გაბმულ აბლა-ბუდაში მჯდარი ობობა ბუჯო უსმენდა.

– მე ჩემს მაგარ, გამძლე ძაფს მოგცემთ და ყვავილის ფურცელი პელოს ფრთას მივაკეროთ, – თქვა ბუჯომ.

– ძალიან კარგი, მაგრამ ნემსი არ გვაქვს, – დადარდიანდა პელო.

ობობა ბუჯომ იქვე მოზუზუნე ბზიკს დაუძახა:

– კეთილო ბზიკო ზუკო, ლამაზი პეპელა პელოს ფრთა ჩამოეხა და ველარ დაფრინავს. ფრთაზე ყაყაჩოს ფურცელი უნდა მივაკეროთ, ნემსი კი არ გვაქვს. იქნებ ნესტარი გვათხოვო?

– ბზზ, ბზზ! – ბზიკმა ზუკომ ერთხანს იფრინა, მერე ნესტარი ობობას გაუნოდა, – ბზზ, ბზზ! შეკერეთ, ოლონდ სწრაფად, დრო არ მაქვს.

ობობამ ქსელი, რომელიც ჰაერზე ძაფად იქცა, ნესტარს გაუყარა. პაკიმ ფოთოლი პელოს ფრთაზე მიადო, ბუჯომ კი გაკერა. პეპელამ ფრთა დაიქნია და აფრინდა.

– დიდი მადლობა, თქვენ რომ არა, ველარასოდეს ვიფრენდი. ცაცხვის ფოთოლზე კვერცხები დავდე და სადაცაა პატარა მუხლუხოები გამოიჩეკებიან. ისინი კი შეუჩერებლად, ძალიან ბევრს ჭამენ.

პეპელა პელო გამოემშვიდობათ და ცაცხვისკენ წაფარფატდა.

– მუხლუხოები მართლაც ბევრს ჭამენ, – თქვა ობობა ბუჯომ, – ღორმუცელები არიან. მერე კი გარშემო პარკს შემოიქსოვენ და იძინებენ, გამოღვიძებულები კი უკვე პეპლებად არიან გადაქცეულები.

პაკი მუხლუხოებით დაინტერესდა და ცაცხვის ხისკენ გაეშურა.

მუხლუხოები გამოჩეკისთანავე მართლაც ჭამას შეუდგნენ, რამდენიმე დღეში დიდი ღიპები დაიდეს და სხეულის გარშემო აბრეშუმის ძაფით პარკები შემოიქსოვეს. პაკი პელოს ეხმარებოდა და გაუმაძღარ მუხლუხოებს ფოთლებს უმარჯვებდა.

მაღე აბრეშუმის ძაფის პარკებიდან ლამაზი პეპლები დაიბადნენ და მდელოს ხალისით მოედგნენ.

წვიმის წვეთი ჰაი და ნაქალაქი ნიაკო

პაკის რაკრაკის ხმა ჩაესმა.

– ეს რა სასიამოვნო ხმა ისმის? – ჰკითხა პაკიმ ობობა ბუჯოს.

– ეს ნაკადულია. მთებში დამდნარი თოვლისგან გაჩნდა. ახლა სხვა ნაკადულებს შეუერთდება, მერე ერთად მდინარეში ჩაიღვრებიან, იქიდან კი ზღვებსა და ოკეანეებს შეერევიან.

– წვიმის წვეთებივით მოგზაური ყოფილა, – გაელიმა პაკის, – წავალ, ნაკადულს მოვინახულებ, – პაკი რაკრაკის ხმას მიჰყვა და ტყიდან გამოსულ, მინდორზე ჩამომავალ ნაკადულს მიადგა.

– შენ ხარ ნაკადული? – იკითხა პაკიმ.

– კი, მე ნიაკოს მეძახიან, მდინარისკენ მივიჩქარი, – უთხრა ნიაკომ.

– მეც წამოგყვები, – შეეხვეწა მხიარული ნაკადულით მოხიბლული პაკი.

– წამოდი, ერთად კარგ დროს გავატარებთ, – გაუხარდა ნიაკოს.

ნაკადულმა წვიმის წვეთი პატარა ტალღაზე შემოსვა და ქვევით, მდინარისაკენ წაიყოლა. ნაპირზე ლამაზი ყვავილები, ცხოველები და ფრინველები შემოხვდათ, რომლებიც ნიაკოს ესალმებოდნენ და უღიმოდნენ.

ტახმა, ირემმა, კურდღელმა და დათვის ბელმა ნაკადულიდან ანკარა წყალი სიამოვნებით მოსვეს; იხვებმა, ბატის ჭუკებმა, ჩიტებმა მხიარულად იჭყუმპალავეს. ნიაკოც პასუხად ყველას უღიმოდა, კისკისებდა, სხმარტალებდა და პაკის თავს აწონებდა.

უცებ ცურვის მოყვარულმა წავმა ლოდი მოაგორა და ნაკადულს გზა გადაუღობა. უნდოდა ნაკადული დაეგუბებინა და მხარულით ეცურავა. ნიაკო ლოდს რამდენჯერმე დაეტაკა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

– პაკი, მდინარემდე ველარ ჩაგიყვან, ლოდის გადაგორების ძალა არა მაქვს, – მოუბოდიშა ნიაკომ.

– ნაკადულის წვეთებო, უკან მომყვით! – შესძახა პაკიმ, – თუ ლოდს ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას დავეცემით, ვერ გაგვიძლებს და ლო-

დი შუაზე გასკდება. ხომ გაგიგონიათ ბრძნული გამოთქმა: „კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილს სცემს მარადაო“.

პაკი ლოდს თავით ისეთი გამეცებით შეეჯახა, რომ დაბორილდა, მაგრამ ნიაკოს გადასარჩენად უკან არ დაიხია. ნაკადულის წვეთებიც მონდომებით ასკდებოდნენ ლოდს. სახემოლუშული ნავი დაფიქრებით შესცქეროდა წვეთებს. ლოდი გაიბზარა, ნაკადულიც მიანვა ერთხელ, მეორედ... ნავმა ასე თავგამეტებით მებრძოლ წვეთებს რომ უყურა, სინდისის ქენჯნა იგრძნო, ლოდს თვითონაც მიანვა და ნატეხები წყალში გადაყარა. გათავისუფლებულმა ნიაკომ წინ კისკისით გასწია. ნაკადული თანდათან განივრდებოდა. მალე მთები გამოჩნდა, მთის ძირას კი დიდი მდინარე მიედინებოდა. ნაკადული და მდინარე ერთმანეთს სიხარულით შეეგებნენ.

– ნაკადულო ნიაკო, შენ და შენისთანა ნაკადულები მაძლევენ ძალას, – მაღლიერებით უთხრა მდინარემ.

– ეს ჩემი მეგობარია, წვიმის წვეთი პაკია, ჩემთან ერთად მოგზაურობს, – ნიაკომ მდინარეს პაკი გააცნო.

– სასიამოვნოა, წვიმის წვეთო, შენი გაცნობა. ახლა კი ზღვისკენ გავწიოთ! – დაიჩხრიალა მდინარემ.

– რა კარგია, – თქვა პაკიმ.

მდინარემ ერთხანს მთებში იდინა, მერე პატარა ქალაქს ჩაუარა, პატარა ქალაქს კი დიდი ქალაქი მოჰყვა, სადაც მდინარე ადამიანებს ბოთლებით, ცელოფნის პარკებითა და სხვა ნარჩენებით დაებინძურებინათ. ნიაკომ პირვანდელი სიანკარე დაკარგა და არასასიამოვნო სუნი იგრძნო.

– ასე ვინ გაგაჭუჭყიანა? – ჰკითხა პაკიმ მდინარეს.

– ადამიანებმა! არ ვიცი, ასე რად მექცევიან. ყოველთვის სუფთა წყალს ვასმევდი, სიცხეში ვაგრილებდი, სანაპიროზე გვიანობამდე სეირნობდნენ. მერე კი ჩემ მახლობლად ქარხანა ააშენეს და დიდი მილით ჭუჭყიანი წყალი მომიერთეს. ადამიანები დაუფიქრებლად მესროდნენ ბოთლებს, ქილებს, ცელოფ-

ნის პარკებს და სხვა ათასგვარ ნაგავს.

– თოლია! – შესძახა პაკიმ, – ყველა ცხოველსა და ფრინველს გააგებინე, რომ მდინარე ნაგვისგან გავათავისუფლოთ, თორემ ნაკადული ნიაკო და მდინარე სიბინძურეში დაიხრჩობიან.

მალე ყველა ის არსება მოადგა მდინარეს, ვისთვისაც ნიაკოს წყურვილი მოუკლავს და მის ანკარა წყალში თამაშით გაგრილებულა. ნავების დიდი ჯგუფი სწრაფი ცურვით შემოვიდა ქალაქში. ადამიანებმა ცხოველებისა და ფრინველების საქმიანობას რომ შეხედეს, ახალა მიხვდნენ, როგორ შეუბრალებლად ექცეოდნენ არა მარტო მდინარეს, არამედ საკუთარ თავსაც. დიდი ხანია აღარავის მოუსურვებია მდინარის პირას გასეირნება და დასვენება, რადგან ირგვლივ ნაგვის სუნი იდგა. ადამიანებმა, სანამ გამწმენდ და ნადგარებს დადგამდნენ, ქარხანა გააჩერეს, ნავებით მდინარეში შეცურეს და გასუფთავება დაიწყეს. ერთობლივი შრომით სალამო ხანს მდინარე ძველებურად გაკრიალდა. ყველა კმაყოფილი იყო, ქალაქი ზეიმობდა.

წვიმის წვეთი პაკი და

მზესუმზირა მზისა

ღრუბელზე ჩამომჯდარმა პაკიმ მზის მცხუნვარე სხივებისგან გადამხმარი უნაყოფო მიწა დაინახა.

– ეტყობა, აქ დიდი ხანია არ უწვიმია, – თქვა პაკიმ და წვეთებს, ნიავექარ სისის, ჭექა-ქუხილ ბახვასა და ელვა ლილიტას შეატყობინა, – მცენარეებსა და ადამიანებს დავეხმაროთო!

უცებ ქარიშხალი ამოვარდა, იელვა, იჭექა და შხაპუნა წვიმამაც დასცხო. მიწიდან წვიმის სასიამოვნო სურნელი ავარდა. ყველა სულდგმული ხარობდა. მხოლოდ მოწყენილ მზესუმზირა მზისას ჩაექინდრა თავი უღონოდ.

– რატომ ხარ მოწყენილი, წვიმის მოსვლა არ გაგიხარდა? – ჰკითხა გაკვირვებულმა პაკიმ.

მზესუმზირამ თვალი გაახილა, პაკის შეხედა და უხალისოდ უპასუხა:

– ხანგრძლივმა გვალვამ არაქათი

გამომაცალა. წვიმა მიყვარს, მაგრამ აღარაფერი მახარებს. გვალვის გამო ფურცლები ერთიანად დამცვივდა, სიცხემ კი გვირგვინში ჩამალული ჩემი შვილები გაახმო, – მზესუმზირამ თავი მიწაზე დადო, თვალები დახუჭა და, მიუხედავად პაკის მცდელობისა, აღარ გაუხელია.

დაღონებული პაკი გზას უნდა გასდგომოდა მზესუმზირას გვირგვინიდან სუსტი ხმა რომ გაიგონა;

– ცოცხალი ვარ, მიშველეთ!

პაკი გვირგვინთან მივიდა, საიდანაც მზესუმზირას ერთი მარცვალი სანყალობლად უმზერდა. წვიმის წვეთმა ჯერ კიდევ ცოცხალი მარცვალი გვირგვინიდან ფრთხილად ამოაძრო, მერე პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ჩარგო და მიწა მიაყარა.

წვიმის წყალობით მომდევნო დღეებში ცოტა აგრილდა, ლამლამობით სუსხმა მოუჭირა. პაკიმ მზესუმზირას თესლს გასათბობად ფოთლები დააფარა.

ერთხელ პაკიმ მისკენ მომავალი მწვანე ხოჭო დაინახა და თესლის დასაცავად მოემზადა.

– გამარჯობა, – უთხრა ხოჭომ, მის წინ გაჩერდა და უღვაშები ააცმაცუნა.

– მზესუმზირის მარცვალს არ შეგაჭმევინებ, – ხელები მომუშტა პაკიმ.

– არც მინდა, – მშვიდად თქვა ხოჭომ, – მე მცენარეებს არ ვჭამ, მავნებელი არა ვარ. პირიქით, მათ ფესვებზე დაბუდებულ მატლებსა და მუხლუხოებს ვანადგურებ.

– მართლა? – გაიკვირვა პაკიმ.

– მისმინე! თესლის გარშემო მიწა უნდა გააფხვიერო, რათა სარეველა ბალახი არ ამოვიდეს და მზესუმზირას საკვები არ წაართვას. ამაში მე დაგეხმარები, – თქვა ხოჭომ და მაშინვე მიწის გაფხვიერებას შეუდგა.

პაკიმ ხოჭოს მადლობა გადაუხადა.

– კიდევ შემოგივლი, – თქვა ხოჭომ, ფრთები დაიქნია და გაფრინდა.

მესამე დღეს ნედლმა ყლორტმა ფხვიერი მიწიდან თავი წამოყო:

– გამარჯობა პაკი, ეს მე ვარ, მზისას შვილი. ზევით, მზისკენ უნდა ავი-

დე, – თქვა მზესუმზირას ყლორტმა.

– შენც მზისას დაგიძახებ, კარგი? – უთხრა პაკიმ.

– კარგი, – სიხარულით დაეთანხმა მზისას.

ყლორტი გამალებით იზრდებოდა და ძლიერდებოდა. პაკი მუდამ მის გვერდით იყო, ეშინოდა ვინმეს არ დაეზინებინა, ბოროტი ჭიებისგან, ანცი კალიებისა და ხარაბუზებისგან იცავდა. ყლორტს მალე აქეთ-იქიდან ფართო, მწვანე ფოთლები ამოუვიდა. ბოლოს კენწეროზე ყვითელი გვირგვინი გაუჩნდა, საიდანაც პატარა მზესუმზირას მარცვლები ამოინვერნენ. პაკის მზის სხივები – პინკინა და თინიც ეხმარებოდნენ და მზესუმზირა ზევით და ზევით აჰყავდათ.

ერთხელ მზესუმზირამ წვიმის წვეთში თავის თავს მოჰკრა თვალი.

– ძალიან ვგავარ მზეს, იქნებ მეც მზე ვარ? – თქვა მზესუმზირამ.

– არა, მზე ერთადერთია.

– მართლა?

– შენ შეგიძლია ღამე გაანათო?

– არა.

– შეგიძლია ხილი დაამწიფო? მიწიდან ყლორტი ამოიყვანო და გაყინული არსება გაათბო?

– არა.

– შეგიძლია ცისარტყელა გააჩინო?

– არა, არც ეგ არ შემიძლია.

– მართალია, მზე არ ხარ, სამაგიეროდ მზეს ძალიან ჰგავხარ და ძალიან ლამაზი ხარ.

პაკი მზესუმზირას გვირგვინში ჩაუჯდა, მასთან ერთად აღიოდა მზისკენ და პატარა მარცვლებთან ერთობოდა.

ბოლოს, როცა მზესუმზირა იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ ვერავინ დაჩაგრავდა, პაკი გამოეთხოვა და პინკინასა და თინისთან ერთად ღრუბლებში აფრინდა.

წვიმის წვეთი პაკი და
თათრი დათვის ბალი ბაბო

პაკი ღრუბლიდან ყინულითა და თოვლით დაფარულ მიწის ზედაპირს

დასცქეროდა, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. თვალს ვერ მოჰკრავდი მინას, სიმწვანეს, გზებს და შენობებს, მხოლოდ ლურჯი ოკეანე ეხეთქებოდა თეთრ უდაბნოს. პაკი, მეგობრებთან ერთად, ყინვისგან ლამაზად მოხატულ ფიფქად იქცა. ყოველ ფიფქს ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმა ჰქონდა. ღრუბლებიდან ჩაფარფატებული ფიფქები სითეთრეში იკარგებოდნენ. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა, არც არანაირი ხმები არ ისმოდა.

„არქტიკაში, დედამინის ყველაზე ჩრდილოეთით, მზეს ძალა არა აქვს და თუ ვერ ავორთქლდი, ღრუბლებში როგორღა დავბრუნდები?“ – შეფიქრიანდა პაკი.

უეცრად თეთრი დათვის ბელი წამოადგა თავს. ძალიან ლამაზი და საყვარელი იყო. ნაღვლიანი თვალები სიკეთით უბრწყინავდა. პაკის ცოცხალი არსების დანახვა გაუხარდა.

– მე ბაკო მქვია, – გაეცნო ბელი.

– მე პაკი. მარტო რატომ ხარ? – გაიკვირვა პაკიმ.

– მარტო იმიტომ ვარ, რომ მონადირეებმა დედა მომიკლეს, ჩემი და-ძმა კი თან წაიყვანეს. ჩვენ ყინულის გამოქვაბულში მხიარულად ვცხოვრობდით, – ბელს ცრემლი მოადგა, – მონადირეებს გამოვექეცი და მას მერე ასე მარტოდ დავეხეტები.

პაკის თეთრი დათვის ბელი ძალიან შეეცოდა და გულწრფელად უთხრა:

– გინდა, მე ვიქნები შენი მეგობარი?!

– მინდა! – გაუხარდა ბელს, – მალე დალამდება და კიდევ უფრო აცივდება. აი, ამ თოვლის გორაკში ბუნაგს გამოვთხრი და თბილად დავიძინოთ.

ბელს წინა თათებით ბუნაგის გამოთხრა არ გასჭირვებია, რადგან ამას პირველად არ აკეთებდა. ბუნაგში მალე დათბა და პაკი ისევ წვეთად იქცა. ბელი გაკვირვებული შეაცქერდა.

– ლამაზი ფიფქი ვიყავი? – ჰკითხა პაკიმ.

– ახლაც ლამაზი ხარ! – მოკლედ მოუჭრა ბაკომ.

ბაკო და პაკი მყუდროდ მოეწყვნენ.

წვიმის წვეთი ბელს უყვებოდა ტყეებზე, მინდვრებზე, ფერად-ფერად ყვავილებზე, პეპლებზე, ჩიტებზე, კამკამა ნაკადულზე. ბაკო შეეცადა პაკის ზღაპრული ნათქვამი ცხადად წარმოედგინა, მაგრამ ოცნებებში წასულს ტკბილად ჩაეძინა. პაკიმ ბუნაგის შესასვლელში უცნაურ ნათებას მოჰკრა თვალი. წვიმის წვეთმა გარეთ გაიხედა და გაოცებისგან შეჰყვირა. ცა მწვანედ, ლურჯად, იასამნისფრად, ნითლად ციმციმებდა. ფერები ერთმანეთში გადადიოდა და ახალ ფერებს წარმოშობდა. ასეთი რამ არსად ენახა.

– ეს ჩრდილოეთის ციალია, – უთხრა გამოღვიძებულმა ბელმა, – ამ ფერებს მზის ქარი წარმოშობს. ეს დედამ მასწავლა. გაგიმართლა, რადგან ზაფხულში ჩრდილოეთის ნათება იშვიათობაა, უფრო შემოდგომასა და ზამთარში იცის.

– მეგონა, ამ სითეთრეში ასეთ სილამაზეს ვერ ვნახავდი, – ჩაილაპარაკა პაკიმ.

– აქ, არქტიკაში, ცხოვრება ძნელია. გასართობიც ბევრი არაფერია, – მოწყენით თქვა ბაკომ.

– ქალაქში წავიდეთ, იქ შეგიძლია ზოოპარკში იცხოვრო. ბევრი მეგობარი გეყოლება. შენზე კეთილი ადამიანები იზრუნებენ, – ურჩია პაკიმ.

– როგორ უნდა წავიდეთ ქალაქში? – დაინტერესდა ბაკო.

– სამხრეთისაკენ გავცუროთ, იქ ბევრი თბილი ქალაქია.

– კარგი, ამაზე ვიფიქრებ, – დაპირდა ბაკო.

ინათა თუ არა ბაკო და პაკი ბუნაგიდან გამოვიდნენ.

– მოდი, დამალობანა ვითამაშოთ, – შესთავაზა პაკიმ.

– ეგეთი თამაში არ გამიგია, – ბაკომ მხრები აიჩეჩა.

– ძალიან ადვილია, – გაამხნევა წვიმის წვეთმა.

პაკიმ ბაკოს თამაში ასწავლა. დასამალი ადგილები თითქმის არ იყო და ბელი ხან ბუნაგში შეძვრებოდა, ხან კი თოვლის გორაკის უკან იმალებოდა. წვიმის წვეთს კი აბა, რას იპოვიდა?!

– აღარ მინდა დამალობანას თამაში, მოდი, თოვლის გორაკზე ვიცურაოთ, – თქვა ბაკომ.

გორაკზე მართლაც ხალისით ისრიალეს და ბევრიც იმხიარულეს.

– კარგი, ქალაქში წავიდეთ. ჯერ აისბერგით გავცურავთ, – თქვა ბაკომ.

– მერე? – დაინტერესდა პაკი.

– აისბერგი რომ დადნება, მერე ხის კასრით გავაგრძელებთ ცურვას, – თავდაჯერებით თქვა ბაკომ.

– აქ კასრს რა უნდა? – გაიკვირვა პაკიმ.

– ადრე აქ არქტიკის გამოსაკვლევად მეცნიერები მოვიდნენ. მათ მიერ მიტოვებული ორი ქოხი დღესაც დგას. შიგნით კასრია, რომელიც ორივე მხრიდან დახურულია და წყალში არ იძირება. ესეც დედამ მითხრა.

ქოხში მართლაც აღმოჩნდა პატარა ხის კასრი, რომელიც ბაკომ ადვილად ასწია. მერე ოკეანის პირას გავიდნენ. ბაკომ დაკვირვებით მიმოიხედა.

– ხედავ, მყინვარზე რამხელა ნაპრალია გაჩენილი? ეს ყინულის მთა მალე მყინვარს ჩამოტყდება და აისბერგად იქცევა, – თქვა ბაკომ და კასრი ნაპრალებზე გადააგდო, – პაკი, ჩამეჭიდე, – ბაკო მარჯვედ გადაეწყო ნაპრალს.

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ. ყინულის მთა ხმაურით გაიპო, თეთრ უდაბნოს მოსწყდა და ატლანტის ოკეანეში შეცურდა. ასე დაიწყო ბაკოსა და პაკის მოგზაურობა.

რაც უფრო სამხრეთისაკენ მიიწევდნენ, ოკეანე სულ უფრო და უფრო თბებოდა და აისბერგიც თანდათან დადნა, ბოლოს კი მთლად გაქრა. მამაცმა მოგზაურებმა ახლა კასრით განაგრძეს ცურვა. მალე მწვანე სანაპირო გამოჩნდა, თუმცა ახალი განსაცდელი მოეწინათ, უცებ უზარმაზარი ტალღები წამოვიდა.

– კარგად ვცურავ, მაგრამ ამხელა ტალღები არასოდეს მინახავს, – თქვა შეშინებული ბაკომ.

კასრმა ტალღებს ველარ გაუძლო და მუხის ფიცრებად დაიშალა. ბედად, მათ ცხვირწინ დელფინი ამოხტა და მეგობ-

რებს იმედიანად შესძახა:

– მაგრად ჩამეჭიდეთ, ნაპირზე გაგიყვანთ.

ბაკომ და პაკიმ შვებით ამოისუნთქეს.

– ეს დელფინია, ის ყველას ეხმარება... – გახარებულმა თქვა ბაკომ.

– ესეც, ალბათ, დედამ გასწავლა, – პაკის გაელიმა.

ბაკომ დელფინს სახელი ჰკითხა.

– ბენტის მეძახიან, – დელფინმა სანაპიროსკენ გაცურა.

– წვიმის წვეთს პაკი ჰქვია, მე კი ბაკო, – უთხრა ბელმა.

– გვინდა ბაკომ ზოოპარკში იცხოვროს, სადაც მასზე იზრუნებენ, – თქვა პაკიმ.

ბენტი მალე სანაპიროსთან მიცურდა.

– ამ ქვეყანას საფრანგეთი ჰქვია. ზოოპარკამდე კი ჩემი მეგობარი თოლია კაილო მიგიყვანთ, – დელფინმა ერთხანს ზევით იყურა, – ჰეი, თოლია კაილო, ჩემი მეგობრები ზოოპარკში მიიყვანე!

– სიამოვნებით! – ჩამოსძახა კაილომ.

პაკი ბაკოზე ამხედრდა.

– წამომყევით! – თქვა თოლიამ, დიდი პარკი გადაიფრინა, მერე ქურჩა გადაჭრა და მეგობრებს ჩამოსძახა, – რკინის ჭიშკარში შედიო!

– მადლობა! – ასძახეს ბაკომ და პაკიმ და ჭიშკარში შეაბიჯეს.

თეთრი ბელის სილამაზით მოხიბლული დარაჯი თბილად შეეგებათ. მერე ისინი ზოოპარკის დირექტორთან მიაცილდა. დირექტორი ღიმილით გაესაუბრათ და კეთილი სახის მომვლელს უთხრა:

– თეთრი დათვების ვოლიერში წაიყვანე, – ერთხანს დადუმდა და დაამატა, – გუშინ ორი თეთრი დათვის ბელი მოიყვანეს, მონადირეები ტრაბახობდნენ, პირდაპირ არქტიკიდან მოგვყავსო. ძვირად მოგვყიდეს, მაგრამ ძალიან კარგები არიან.

ამის გაგონებაზე ბაკოს მღელვარებისაგან გული აუძგერდა.

„ნუთუ ჩემ და-ძმაზე ლაპარაკობს დირექტორი?“ – გაიფიქრა ბაკომ.

მეთვალყურემ მეგობრები ვოლიერ-

თან მიიყვანა.

– პაკი, ნამდვილად ჩემი და-ძმა არიან! – შეჰყვირა ბაკომ და ბელევისკენ გაქანდა.

ბელებმა ძმა იცნეს და სიხარულით გადებხვივნენ.

პაკიმ ერთმანეთის ნახვით ბედნიერებისაგან სახეგაცისკროვნებულ თეთრ ბელეებს ხელი დაუქნია:

– კიდევ შევხვდებით!

წვიმის წვეთი პაკი და ლაღამის უბალუსი მწვერვალი

პაკის ყურადღება ღრუბლებიდან ამონვერილმა თოვლიანმა მთის მწვერვალმა მიიქცია.

– ეგ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტია, სხვანაირად ჯომოლუნგმასაც ეძახიან, – ნიავექარმა სისიმ პაკის ყურში წაუსისინა.

– უმაღლესი მწვერვალი? ალბათ, აქ ვერავინ ამოდის, – თქვა პაკიმ.

– ამოდიან, ოღონდ გულადი ადამიანები. ასეთები ბევრნი არ არიან და მათ მთამსვლელებს ეძახიან, – სისიმ პაკის შეხედა.

– ასეთ ციცაბო და ყინულიან კლდეებზე რანაირად ამოდიან? – გაიკვირვა პაკიმ.

– ამოსასვლელად სპეციალურ იარაღს იყენებენ. ყინულოვან კალთაზე კაუჭებს აჭედებენ და ზედ თოკს ამაგრებენ. კლდიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში თოკი დაიჭერთ და უფსკრულში აღარ ჩაიჩეხებიან, – სისიმ ევერესტი საქმის მცოდნე კაცივით შეათვალაიერა.

– ნიავექარო სისი, ჩვენი ღრუბელი მწვერვალისკენ გააქანე, მინდა ცოტა ხნით იქ დავრჩე. მინდა მეც მთამსვლელი დამიძახონ, – პაკი მწვერვალს ანთებული თვალებით გაჰყურებდა.

– დაგეხმარები, ოღონდ ფრთხილად იყავი, მალე მზე ჩავა, აცივდება და შეიძლება ყინულს მიეყინო და სამუდამოდ იქ დარჩე, – გააფრთხილა სისიმ.

– კარგი, მალევე დავბრუნდები, – დაეთანხმა პაკი.

სისიმ უზარმაზარი ღრუბელი მწვერვალს მიაყენა და პაკიმაც ისკუპა. მწვერვალიდან ფრიალო კლდეები ეშვებოდა. პაკის ქვემოდან ადამიანების ლაპარაკი შემოესმა და მალე ღრუბლებიდან მთამსვლელები ამოვიდნენ.

– ცოტაც და ევერესტს დავიპყრობთ, – თქვა ყველაზე მალა მყოფმა მთამსვლელმა.

სულ სამი იყვნენ. ერთმანეთზე თოკით ჩაბმულები ნელა ამოდოდნენ. მათ მზის სათვალეები ეკეთათ, ხელთათმანები, თბილი და წყალგაუმტარი ქურთუკები ეცვათ, ჩაფხუტები ეხურათ, ცალ ხელში წერაყინები ეჭირათ და კბილებიანი ნალებით მოჭედილი ფეხსაცმელები ეცვათ. ასეთ სიმაღლეზე ჟანგბადის ნაკლებობა და მთამსვლელები ჟანგბადის ბალონებით სუნთქავდნენ. პაკი მათ ყურადღებით აკვირდებოდა. უნდოდა ახლოდან ენახა გულადი ადამიანები.

მოულოდნელად მიწა იძრა. ძლიერი ბიძგებისგან მთამსვლელები ყინულიანი კლდიდან მოწყდნენ და სამივე დამცავ თოკს დაეკიდა. თოკი კლდეში ჩამაგრებულმა კაუჭმა დაიჭირა.

უცებ კლდის კიდეზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი ჩამოცვდა, კაუჭს დაეცა და თოკი სანახევროდ გადაჭრა. ირგვლივ თოვლის კორიანტელი წამოიშალა, თითქმის ველარაფერს ხედავდნენ. თოკი ქანაობდა. მთამსვლელებმა გადწყვიტეს, კლდის პატარა შვერილამდე მიეღწიათ და თოკი კიდევ უფრო გააქანეს, რათა შვერილზე დამდგარიყვნენ.

პაკი ხვდებოდა, რომ ჩაჭრილი თოკი სიმძიმეს დიდხანს ველარ გაუძლებდა და მთამსვლელები უზარმაზარი სიმაღლიდან ჩაიჩეხებოდნენ. პაკი კაუჭთან დაუფიქრებლად ჩასრიალდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მწვერვალი ღრუბლებს მალა იყო და მზე დაჰნათოდა. მზემ ყველაფერი კარგად დაინახა, პაკიც იცნო, მისი სიკეთითა და გაბედულებით მოიხიბლა და დასახმარებლად მზის სხივები – პინკინა და თინი გამოსტყორცნა. სხივები კაუჭთან წამში გაჩნდნენ.

– პინკინა! თინი! – სიხარულით შეს-

ძახა პაკიმ, – სასწრაფოდ რამე თუ არ ვილონეთ, მთამსვლელები დაილუპებიან.

– ახლავე, – თქვეს სხივებმა და ნახევრად ჩაჭრილი თოკი ერთმანეთთან სხივების ძაფით საიმედოდ შეაერთეს.

მთამსვლელები შვერილზე დადგნენ. ამასობაში ბიძგებიც შეწყდა. მთამსვლელებმა კლდეში კაუჭი ჩაამაგრეს, ახალი თოკი ჩააბეს და ქვევით დაეშვნენ.

– მთამსვლელო პაკი, ახლა დაგემშვიდობებით. გულადი ადამიანები უსაფრთხოდ არიან, – თქვა პინკინამ და თინისთან ერთად მზისკენ აქანდა.

პაკის ნიავექარი სისის გაფრთხილება გაახსენდა და ღრუბელზე სწრაფად ისკუბა. ადამიანების გადარჩენით კმაყოფილი პაკი მანამდე გაჰყურებდა დედამინის უმაღლეს მწვერვალს, სანან ნისლმა არ შთანთქა.

**წვიმის წვეთი პაკი და შაჯიბრი
ლრუბლიდან გადმოხტომამში**

ჭექა-ქუხილმა ბახვამ, ელვა ლილიტამ და ნივექარმა სისიმ გადანყვიტეს ღრუბლიდან გადმოხტომამში შეჯიბრი მოეწყოთ საუკეთესო მხტომელის გამოსავლენად. ჟიურის წევრად მზეც მიიწვიეს. გამარჯვებული გამოვლინდებოდა ნახტომის სირთულისა და სილამაზის, ასევე იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო სწრაფად მიაღწევდა დედამინის ზედაპირს.

პაკი, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა. მართალია, ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა ღრუბლიდან გადმოხტომის ეშინოდა, თანაც სრულყოფილად შეისწავლა ნახტომის ყველა ილეთი, მაგრამ ამდენ გამორჩეულ წვიმის წვეთს შორის თავი გამარჯვების ღირსად არ მიაჩნდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო წვიმის წვეთი ციპა, რომლის ნახტომებზე ლეგენდები დადიოდა.

და აი, შეჯიბრის დღეც დადგა. წვიმის წვეთები გათენებისთანავე ვარჯიშს შეუდგნენ, ხურდებოდნენ, ყირამალა დგებოდნენ, მალაყებს გადადიოდნენ. მოკლედ, მთელი მონდომებით ემზადებოდნენ. თითოეულ წვეთს ნახტომის-

თვის მხოლოდ ერთი ცდა ეძლეოდა.

ჟიურიმ: ჭექა-ქუხილმა ბახვამ, ელვა ლილიტამ და ნივექარმა სისიმ თავიანთი ადგილები დაიკავეს; ყურებამდე გაბადრული მზე კი მონანილეებს ზევიდან დაჰყურებდა.

– წვიმის წვეთი კოპი! – სისიმ პირველ მონანილეს უხმო.

წვეთი კოპი უკან გადატრიალდა, მერე კი ახტა და ხუთმაგი სალტო გააკეთა. აჟრიაშულელებს წვეთებს დაწყნარება არ აცალა, მოკურცხლა, ღრუბლის კიდეზე შვიდჯერ დატრიალდა და ლამაზი ნახტომით მიწისკენ ტყვიასავით დაეშვა. გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა, ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, ყველასთვის გასაგები გახდა, რომ შესაძლოა, ეს ჩემპიონის ნახტომი ყოფილიყო.

მეორე გამომსვლელი ხელებზე დადგა, ერთხანს თავდაყირა გაჩერდა, მერე ხელებს ერთდროულად უბიძგა, ჰაერში ორი ბრუნი გააკეთა და ღრუბლიდან გადაეშვა. გაისმა თავშეკავებული ტაში. შემდეგი მონანილე ადგილიდან მაღლა ახტა, ჰაერში ამოტრიალდა და შემობრუნებით გადახტა. დამსწრეებმა ტაში არ დაიშურეს. მესამე მონანილე თავდაუზოგავად გამოქანდა, მაგრამ ნახტომი ზუსტად ვერ მოზომა და ღრუბლებში ჩაიკარგა. ვილაცხეებმა დაუსტყინეს.

წვეთები ერთმანეთის მიყოლებით ხტებოდნენ. ხან ტაში გაისმოდა, ხან კი – სტვენა და უკმაყოფილო შეძახილები.

ციპას გამოძახებაზე ყველა გაისუსა. მისგან სასწაულ ნახტომს ელოდნენ. ციპა აკრობატივით ახტა და შვიდი მალაყი გააკეთა, მერე უკანა ყირაზე გადავიდა, ეგრევე შეხტა და ახლა ცხრა მალაყი შეასრულა, ამას უგრძესი ნახტომი მოაყოლა, კიდეც რამდენჯერმე დაბზრიალდა და მიწისკენ ტრიალტრიალით დაეშვა.

ყველასთვის ცხადი გახდა, გამარჯვება ვისაც დარჩებოდა. წვეთები უხალისოდ, უფრო მოვალეობის მოხდის მიზნითლა ხტებოდნენ და აი, ჭექა-ქუხილმა პაკის სახელი საზეიმოდ გამოაცხადა. პაკი უნიათოდ გამოვიდა, მაგრამ გამამხნეველებმა შეძახილებმა

ცოტა გაათამამა, განსაკუთრებით კი მზის შეძახილმა გაახარა. პაკი ადგილს მოსწყდა, ძალიან მაღლა ახტა და ჰაერში ისე დაბზრიალდა, რომ ბრუნების რაოდენობა ვერავინ დათვალა. მერე გვერდითი ყირამალათი წავიდა, ღრუბლის კიდიდან ერთი ძლიერი ბიძგით, შემობრუნებით გადახტა, მობზრიალე ზამბარასავით გაიშალა და მიწისკენ სწრაფად დაეშვა. წვეთბმა და ჟიურის წვერებმა მზურვალე ტაში დასცხეს. ცაპის ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. უცებ პაკიმ მერცხალ ლაქსის დადევნებული შევარდენი შეამჩნია.

„რა დროს გამარჯვება და მინაზე სწრაფად დაშვებაა, მერცხალი ლაქსი სიკვდილს უნდა გადავარჩინო“, – გადანწყვიტა პაკიმ, გვერდით ჩაფრენილ შევარდენს ზურგზე უყოყმანოდ შეახტა, ბუმბული ამოაძრო და მტაცებელს თვალზე ააფარა. შევარდენმა სისწრაფეს უკლო და ძირს დაეშვა. პაკი კმაყოფილი გასცქეროდა სამშვიდობოს გასულ მერცხალს.

ჟიური გადანწყვეტილების მისაღებად

დიდხანს თათბირობდა, ბოლოს დამსწრეთა წინაშე მზე წარსდგა:

– ნახტომის სილამაზესა და სირთულეში ყველაზე მეტი შეფასება ცაპიმ და პაკიმ მიიღეს. პაკი დაშვებისას შეჯიბრს საკუთარი ნებით გამოეთიშა და გამარჯვებულად ცაპი უნდა გამოცხადდეს, არადა, ყველამ დავინახეთ, პაკიმ გამარჯვებას უდანაშაულო მერცხლის გადარჩენა ამჯობინა. მე მისით ძალიან ვამაყობ. მერცხლის გადარჩენა პაკისთვის ყველაზე დიდი გამარჯვებაა. პრიზს კი, შეჯიბრის წესების თანახმად, ცაპის გადავცემ, – მზემ ცაპის პრიზი გაუნოდა.

ღრუბლებში სრული სიჩუმე ჩამონვა. ცაპიმ პრიზი მიიღო, პაკისკენ გაემართა და პრიზი გაუნოდა:

– შენი სიკეთე და სხვისი დახმარების სურვილი ჩვენთვის მაგალითია. ამიტომ გამარჯვება და პრიზი შენ გეკუთვნის.

მქუხარე და ხანგრძლივი ტაშის გრილის ექომ ღრუბლები გაფანტა და მზის სხივები დედამიწას სიყვარულით მოეფინა.

ლიტერატურული ფესტივალი

„ქუჯი“ – 2024

ლიტერატურული კონკურს-ფესტივალი „ქუჯი“ 2019 წელს დაარსდა. კონკურსი მიზნად ისახავს ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორების წარმოჩენას და მათ პოპულარიზაციას, ამასთან ერთად არც უფროსი თაობის შემოქმედთა ღვაწლი რჩება ყურადღების მიღმა. ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება და თანდათან იძენს მასშტაბურობას. ფესტივალ „ქუჯის“ უმთავრესი პრიზი გახლავთ „გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პრემია, რომელიც გადაეცემათ ღვაწლმოსილ, საიუბილეო თარიღის მქონე მწერლებს ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის. ფესტივალ „ქუჯის“ ამოცანაა გააერთიანოს საერო და სასულიერო ინსტიტუციები და ხელი შეუწყოს საქართველოში ჯანსაღი ლიტერატურული გარემოს შექმნას.

„ქუჯის“ დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან:

ილია ერქვანია – ფესტივალ „ქუჯის“ თავმჯდომარე; ნიკო ნიკოლაძის პრემიის მფარველი. მინიჭებული აქვს „კულტურის ამბადარის“ ნოდება.

ნანა კვაშილავა – პოეტი, მთარგმნელი, ფესტივალ „ქუჯის“ თავმჯდომარის მოადგილე.

ბესიკ გვაზავა – ეკონომისტი, ჟურნალისტი, ეკონომიკის დოქტორი, ფესტივალ „ქუჯის“ თანადამფუძნებელი.

დალი ჯორბენაძე – ფიზიკოსი, ჟურნალისტი. „ლიტერატურული საფინანსოს“ მთავარი რედაქტორი. „ქუჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

„ქუჯი“ 2024 წლის გამარჯვებულები:

ნომინაცია – „ერთი ლექსი“

პირველი პრემია – როინ აბუსელიძე;

მეორე პრემია – მირანდა ერისთავი;

მესამე პრემია – ნანა ტრაპაიძე.

ნომინაცია – „წლის საუკეთესო პოეტური დებიუტი“ – ნატალი დარასელია.

ნომინაცია – „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“ – ელგუჯა მარღია, გურამ ჯახუტაშვილი.

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პრემია და ოსკარ შინდლერის აკადემიის რექტორის, მხატვარ-დიზაინერის მაქს მიერ შავიტის დამზადებული საავტორო მედალი-პანო – ზაალ ებანოიძე – 85, სოსო სიგუა – 75.

პრემია „ქუჯი – ერთიანი საქართველოსთვის“ – ლეილა სიჭინავა, რეზო ჯორბენაძე, გიზო თავაძე (65).

ლიტერატურული ფესტივალი „ქუჯის“ ფარგლებში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის (თავმჯდომარე: მაყვალა გონაშვილი) ჯილდო – გიორგი ლეონიძის სახელობის ენდალმა და ოქროს „ნატვრის ხე“ გადაეცა ჯენი ჩხეიძეს.



ნომინაცია:
„ერთი ლექსი“

პირველი პრემია –
როინ აბუსელიძე

ბედისწერა

ლექსი რომ გაიგონა რადიოდან,
 მერე ღრუბელ-ღრუბელ დადიოდა.
 ველარ მოიშუშა ეს იარა,
 როცა „ლურჯა ცხენებს“ ეზიარა.
 თოფის გამჭოლ მიზანს მოარიდა,
 გნოლი, აფრენილი ყორღანიდან.
 ხოლო პოეზიის კალათაში,
 კრძალვით აგროვებდა ბარათაშვილს.
 ჰქონდა მოთმინება ტუტისებრი,
 სახლში გაახარა თუთის ნერგი...
 მინდვრებს უფლისციხის ყაყაჩოთა,
 თითქმის ყოველ ღამით დარაჯობდა,
 „სადაც ყვავილები მთავრდებიან“,
 ბარდნარს მიაშურა ვარდებიანს.
 შემდეგ უცისფრესი მატარებლით –
 მტვერში ნაქცეული პატარები,
 ცხოვრება რომ ექცათ პანაშვიდად,
 ატარა, გაართო, დაამშვიდა.
 ქალი რომ დალანდა ალუბლებთან,
 ფურცელს მისი სტროფიც გაუბედა.
 ლექსებით ავსებდა საქალაქდეს,
 დაჰპირდა, დაბრუნდა! – აღარ დახვდნენ.
 წყვდიადის სამყაროც მოიარა,
 თუმც არ უ-MEMENTO MORIA-რა.
 დედა დაესიზმრა იმედიანს,
 კაბისთვის გადადო სტიპენდია.
 არადა, გრძნობები ველარ თმოზდნენ,
 ოთახში ჰაერზე მეტადყოფნებს.
 (ოთახიც სხვაგვარად უხერხულობს,
 ფარდები ამთქნარებს ტუბერკულოზს)

მეფე თუ ვერ შექმნა პაიკიდან,
 თავი პოეზიით დაიმკვიდრა.
 გალაგნად მოედო დედამიწას,
 ღმერთმაც ბელურობის ნება მისცა.
 მისი ნიკორწმინდაც ცად აზიდა
 და იქცა ერთ-ერთად ათასიდან –
 ვინც ლექსით ჯგებირებს გაიტანდა,
 ვინც ომში უშიშრად წავიდა და...



ნომინაცია: „ერთი ლექსი“

მაორა ჰრამია – მირანდა ჯონსტონი

სახლში მინდა

(ედღვნება ყველას, ვისაც სახლში უნდა)

მე სახლში მინდა! – დამსხვრეული რადგან შუშა ვარ,
 ბავშვი იზრდება უჩემობით, მე კი – უშვილოდ,
 საქმე იყოს და... გარეთ გდებას არა უშავს რა –
 უფულობას თუ რამით უშველი.
 მეც სახლში მინდა! სამშობლოს გზას ვზომავ რადარით,
 გზას, რაც ყოველ დღე გადის ნერვზე და თავს არ იკლავს,
 ემიგრანტი ვარ! ჩემ წილ ნატვრას სიზმრით ვატარებ,
 სხვის მოხუცს ვუვლი და მივყვები დროის ალიკაპს.
 მე სახლში მინდა! წართმეული მიწაც გარეწარს
 დარჩა! – დევნილად რომ ვიარო, გზა-გზა ვეხეტო!
 მახსოვს, როგორც ის ჩემი ძალი, ისე დაეცა
 ჩემი ქალაქი ერთი სროლით მტრების ფეხებთან!
 მეც სახლი მინდა! – თუმც ჯარისკაცს ვინ მისცა სახლი,
 უკვე რწყილივით დავძმობილდი სანგრის თხრილებთან,
 რომ ბუზიც კი ვერ აუფრინონ ჩემს მიწას ახლო,
 სანამ სიკვდილი ხვალ ჩემშიაც გაიხილება.
 მე სახლი მინდა! – გამომავდო შვილმა წლებია

შევვისხლხორცე ხან ქუჩებს და ხანაც კათარზისს,
 წვიმები ხშირად შავ გუგებში გუბედ წვებიან
 და ყელში ცრემლიც ლუკმასავით ველარ გადამდის.
 მეც სახლი მინდა! მიმატოვა დედამ ნაგვებთან
 და მამის ნაცვლად გვარს მაძლევენ შიშის კედლები,
 ზოგი ბავშვი რომ ოცნების კოშკს ცამდე აგებდა, –
 მე აბლაბუდის უჭერო ცას წვიმად ვედები.
 მე სახლში მინდა! – ავადმყოფთა თეთრი პალატა
 მანატრებს ჩემგან ბავშვობაში აყრილ საწოლებს,
 ვებრძვი სიკვდილებს, ჯვარცმებსა და დროის პილატე
 თავის ხელნაბანს ძუძუსავით ძილში მანოვებს.
 მეც სახლში მინდა! შევეხორცე საკნის კომმარებს
 და პულსით ვითვლი დროს სახლამდე ისევ წლებია,
 სანამ მშრალ ვენებს ეს მაჯები წამოროშავენ –
 სანამ თვალეები შინ გაქცევას იხვეწებიან.
 ვისთვის როგორ და... დედამინაც სახლია ჩვენი, –
 თუმც ვანადგურებთ ისე, თითქოს, რამე ჰობია,
 და დაბომბილი ჰაერის და დროის ნარჩენი
 მალე ზედ თავზე ზეცასავით დაგვემხოებიან...
 და რადგან ყველას სახლი გვინდა, არ არის რთული,
 რომ, არ გავწიროთ ეს სამყარო (შ)ავი გაგებით,
 სანამ ვცოცხლობთ და მოგვერვა თვალეებზე რული,
 სანამ სახლიდან საბოლოოდ ავიბარგებით!



ნომინაცია: „ერთი ლაქი“

მესამე პრემია – ნანა ბრეჯიანიძე

რეაქციები მაგას

ყოველ გაზაფხულს მოელოდი იმედით, რწმენით,
 მამა, მანძილი უსასრულო გზა და წლებია,
 ვიცი, ბავშვივით გაიხარებ, შენი ნამყენი
 კახამბალი და ალუჩა რომ აყვავდებიან.

ძველი ძმობილი დაპატიჟე მთის აჭარიდან,
 რადგან ქაზიმი ვერ მოვიდა, ჯერაც, შენამდე,
 ციცქნა ჭიქიდან დილის მადლი გადაჰკარი და
 ნისლიან ცაზე მზის სხივების გამოჩენამდე,
 კვალში ჩამდგარი, მიწას თოხნი საკარტოფილეს,
 (თუმცა სიკვდილი მარტოოდენ გლოვა როდია),
 ჭიშკართან ერთად გულს გაუხსნი ახალ ძმობილებს,
 ნარდით და დარდით ყოველდღე რომ შენთან მოდიან.
 ოფლს ინმენდ ქუდით, ტილოს ქუდით (რომ არ იცილებ),
 ბოლო წელიწადს ნასახსოვრებს უფროს შვილიდან,
 ხუთივეს ახლაც გვიფრთხილდები, როგორც წინილებს,
 ჩვენზე ნუ ფიქრობ, ხომ დაგვტოვე დალოცვილი და
 ისე გაჰყევი მიმობლანდულ სევდის ბილიკებს,
 „საქმენი შენი“ მივინყებად ვერ გაგიმეტებს,
 ნაკვალევს, მართალს, ვერც ვერავინ გააქილიკებს,
 საფლავის ქვაზეც ამოტვიფრე სიტყვა – „სიკეთე“.
 ცისფერ ცხვირსახოცს, შენი ლურჯი პიჯაკის გარე
 ჯიბესთან ისევ ამჩნევია ჩემი ცრემლები,
 მე გაგაყოლე, რომ გაეთბო ცივი სამარე,
 გულთან ინახავ, სასოებით, თავზე ევლები,
 რომ, ასე მაინც, სიმი იყოს გაბმული, ისევ,
 მამაშვილობის, სანუთროდან – სასუფევლამდე,
 სულ სათითაოდ, უბრ ხასიათს გაგიხალისებს
 ყველა სანთელი, დანთებული, თუნდაც მე რამდენ
 ყვავილს დაგირგავ, იქვე მოვგლეჯ ავ ამბროზიას,
 სიმწვანე გშვენის და ბალახი, სულ მობიბინე,
 შენი საფლავის უპირობო ავგაროზია,
 რადგან ნაღველი, ვით ხმიადი, სულს ამყოფინე.
 ახლა ღმერთთან ხარ, იგი არის ყველგან, მარადის,
 მცველი, დამცველი, მამა, მწყემსი და მოამაგე
 დაბადებიდან უცილობელ კუბოს კარამდის
 და იმქვეყნიურ საუფლოსაც ბრძნულად განაგებს.
 მშვიდობით მამა, შენ გეკუთვნის ყველა სტრიქონი,
 წელთა სიმრავლით სიყვარული გულს ვერ მოსცილდა,
 თუ მარცვლებს შორის მოკიაფე ცრემლს ვერ იპოვნი,
 გადმოაყარე კურცხლებიან ცხვირსახოციდან.



რეზო ჯორბანაძე –
 ჰუმანი „ქუჩი – ერთიანი
 საქართველოსთვის“ (ლიტერატურულ კონკურსში წარმატებული მონაწილეობისთვის და ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის).

შემდეგ

ისე გავედი გაღმა მარილს, ვერც კი შევნიშნე,
 როგორ ჩამომხსნეს სოფლის თაღთან გვამის სანიშნე,
 ასე უხორცო ლურჯ სიკვდილზე მე დავინიშნე,
 ამქვეყნად ტანჯულს უხვად მასვეს ძონის ზედაშე.
 არადა, გუშინ ჩამეძინა მწუხრის მიჯნაზე,
 ისე, რომ ლოცვაც არ დამცალდა იღბლის ჯინაზე,
 მერე ტკივილი მომეძალა გულის ფიცარზე,
 თითქოს ბალღინჯო ამაცოცდა ნეკნების რკალზე.
 მე კი მეგონა, ეს სიზმარი იყო ჩვეული,
 გავიღვიძებდი გარიჟრაჟზე კვლავაც ეული,
 წამოვჯდებოდი სარეცელზე, ვით მთვარეული,
 მომწყურდებოდა სიყვარული გარდარეული.
 ვაჰ, რომ შევემცდარვარ ზმანებებში გზააბნეული,
 მიქელ-გაბრიელს გადავყრივარ ფეხარეული,
 ლეთეს მდინარეს მივცემივარ ფიქრით სნეული,
 მშვიდად, უჩუმრად გარდაცვლილა ჩემი სხეული.
 ღმერთო, ახლა რა ფუჭი არის თითზე კბენანი,
 როცა წარიღტვენენ ამ ცხოვრების შლეგი ვნებანი,
 ყელში მიჭერენ წარსულ დღეთა ბილნი ცოდვანი,
 უკუნეთში ვარ, მომანათეთ სულზე ფარანი.
 როგორ მეგონა, ჯერ დრო მქონდა თავზე საყრელი,
 ვიდრე ინვოდა წუთისოფლად ჩემი სანთელი,
 რას ვიფიქრებდი, რომ სიცოცხლე არის მტკაველი,
 არარად ყოფნის გზაზე სულის ვერ-მოსათქმელი.
 ახლა მოვმკვდარვარ, მომწევია წყევლა ტიალი,
 დასრულებულა ავი ბედის ბორბლის ტრიალი,
 ჩანს, მომწყენია უგზო-უკვლოდ, უქმად ყიალი,
 და მინავლულა თვალთა ჩემთა ბრიალ-ციალი.

ვის ალბატროსი, ვის ყორანი და ვის მერანი,
ყველა დიდ პოეტს სევდა ღრღნიდა, სპლინი ვერანი,
მეც ეშხით მწვავდა სიცოცხლის ჟამს მუზა ფრთოსანი
და ვანვალეზი კალამს, ვყოფილიყავ თითქოს მგოსანი.
წუხელ აღსრულდა ბედისწერა ქარბუქიანი,
ღამე ჩამონვა უსასრულო, თალხსიზმრიანი,
იმ ერთისათვის მაინც მეთქვა სიტყვა ფრთიანი,
ვაი, რომ ახლა სინანულიც არის გვიანი.
ვით ფოსტალიონს ამიერს და იმიერს შორის,
წერილად მიმაქვს საჩუქარი მარტოსულ მოგვის,
თუ მართლა სუფევს საიქიო ლხინის და შფოთვის,
წინ მელის ხილვის სიხარული უამრავ მოყვრის.
დარდი მკლავს, ან კი მიმიღებენ ასე ულოცველს?!
ყოვლად ურწმუნოს, ქურდს, მრუშსა და შეუნანებელს?!
ეგებ კარიც კი მომიხურონ უზიარებელს
და გამიყენონ ქვესკნელის გზას შინვერმოუსვლელს?!
და თუ არ არის სხვა ნაპირი ცხოვრების ზვირთთა,
ზეყანა ქვეყნად გადატეხილ სულიერ ხიდთა,
საუფლო ნისლში მოტივტივე, იდუმალ ფერთა,
სასუფეველი სამოსშეცვლილ, წამებულ სულთა,
თუკი სიკვდილი წერტილს გვისვამს სამარის პირთან,
და აქ სრულდება ჩვენი ყოფა, წუთისოფელთან,
თუ არ არსებობს სანუკვარი შეხვედრა ღმერთთან,
სათავეს იღებს ეს ყოველი ბრმად შეთხზულ მითთან,
მაშინ მიგლოვეთ, არ ყოფილა საშველი კაცთა,
განქარებულა ცრუ იმედი აღდგომის ხატთა,
გვიყვარდეს სხივი და ციმციმი ერთურთის თვალთა,
ვიდრე ღალადი აღმოხდება საფლავის ქვათა!

თამარ გელიტაშვილი

დათია ბადალაშვილის „ევა, იანვარა და იასამანი“

**„ელი, ელი, ლამა საბაქთანი?!“
(„ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე?!“)**

იესო ქრისტეს ჯვარცმოდან



2023 წელს ჟურნალ „ცისკარი 1852“-ის პირველ ნომერში დათია ბადალაშვილის მოთხრობა – „ევა, იანვარა და იასამანი“ გამოქვეყნდა, გამოქვეყნებიდან სულ მალე კი დამსახურებული ჯილდოც მიიღო – ლიტერატურულ კონკურს „მაჩაბელის“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული ნაწარმოები“.

დათია ბადალაშვილმა ცხოვრებისა და შემოქმედების არეალად სოფელი აირჩია და მოქმედებაც იმ მიდამოებზე

გაშალა, რომლის ყოველდღიურობაც, მთელი თავისი სირთულით, მისთვის ესოდენ ნაცნობი და მშობლიურია. მის მხატვრულ პროზას ფატუმივით თან სდევს მწუხარების განცდა. ეს მწერლის ბუნებრივი რეფლექსია, ფსიქოემოციური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი რეაქცია, რომელსაც ჩვენი დღევანდელი სოციოკულტურული და სოციოეკონომიკური გარემო გვიყალიბებს და რომლის პირმშოდაც ქცეულან თავად ავტორიც და მისი მკითხველიც.

დათია ბადალაშვილის თვალით დანახული სოფელი სრულიადაც არ არის ისეთი იდილიური, ზოგადად, ამ ყაიდის ნაწარმოებებს რომ ახასიათებს ხოლმე. იგი თავს არიდებს ფაქტებისა და სიუჟეტების რომანტიზებას, ასევე მოქმედ პირთა მიმართ გამოჩენილ ლოიალურობას და პერსონაჟთა ყალბი, ზედაპირული მიზანთროპულობის ნაცვლად, მკაცრად მამხილებელი პათოსით წარმოგვიჩენს მათ რეალისტურ, შეულამაზებელ ყოფასა და მხატვრულ სახეებს. ამგვარი რადიკალიზმი – პროტაგონისტთა სულიერი გაშიშვლება არსებული რეალობის ფონზე – ეპოქალური მეტამორფოზა, არატენდენციურობა, ზოგჯერ თვითგვემამდე მისული თვითირონიაც კი მწერლისა (სადაც ის მოთხრობელიცაა), ერთიანად მატებს ხიბლს მის ნაწარმო-

ებებს და სრულიად ათავისუფლებს ხელოვნურობისა და პათეტიკისაგან.

დათია ბადალაშვილის მიერ დახატული სოფელი შორს დგას სქემატურობისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდა მწერლის ყოველდღიური რუტინა სოფლის ერთფეროვანი ცხოვრებით იკვებება, გარკვეულწილად, იმის ალბათობაც არსებობდა, რომ მისი მწერლური ფანტაზია, შესაძლოა, დაშტამპულიყო, თუმც მან, როგორც პროზაიკოსმა, ეს ალბათობა კიდევ ერთხელ გააბათილა თავისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებით – „ევა, იანვარა და იასამანი“, სადაც ღრმა ფსიქოლოგიურ პრიზმაში დაგვიხატა ის პრობლემატიკა, რომელიც დღევანდელ ქართულ რეალობაზე დაფუძნებული.

სიტყვის თავისუფლებამ, ცენზურის გაუქმებამ უამრავი პრობლემა გააშიშვლა. კლიშეებისა და შტამპებისაგან გათავისუფლებულ მწერლებს წინ ახალი ასპარეზი გადაეშალათ – ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული ტოტალური სიყალბის ნაცვლად, სააშკარაოზე გამოეტანათ ჩვენს სოციალურ რეალობაზე დაფუძნებული მანკიერებანი და ლამაზად შეფუთული ფსევდოდიდილიზებული ყოფა სინამდვილის გამოაშკარავებით ჩაენაცვლებინათ. დღეს, როცა უკვე წარსულში დარჩა ჩვენი ისტორიის რომანტიზება, როცა ძველი გროშივით გაცვდა საბჭოური რეჟიმის დროინდელი ხედვა-წარმოდგენები, თანამედროვე მწერლებმა ყოველგვარი ტაბუს მოხსნასა და ზოგჯერ უკიდურეს რადიკალიზმსაც კი მიმართეს. ასე რომ, დღეს თამამად შეგვიძლია, ფართოდ გახელილი თვალები გაუხსნოროთ კონკრეტულ ქართულ სინამდვილეს – კარგა ხნის მანძილზე მიჩქმალულსა და საგანგებოდ წაყრუებულს.

მე ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი ვარ, საკმარისია თვალში ნაცრის შეყრა, დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და ყველა ფაქტი თუ მოვლენა შეფასდეს ისე, როგორც რეალურადაა, ანუ ნარატივი ნიღბების გარეშე! სიმართლე იგემეთ, ბატონებო, ნიღბების თე-

ატრი დასრულებულია! – ასეთია თანამედროვე მწერლობის ხედვა და მისია, ასეთია დათია ბადალაშვილის მოთხრობაც – „ევა, იანვარა და იასამანი“, რომლის თითოეული სტრიქონის მიღმა შემზარავი ექოსავით გაისმის ეთიკის კოდექსის წიგნზე ფიცდადებული მწერლის თამამი ხმა – „ვიტყვი სიმართლეს და არაფერს – სიმართლის გარდა!“



ნაწარმოებში „ევა, იანვარა და იასამანი“ არა მხოლოდ მოთხრობილი ამბების სიმძიმე გზაფარავს, არამედ თითოეული პასაჟი შემზარავ კადრად დეტალიზდება, რაც მკაფიოდ შეგვაგრძობინებს ყოფის აბსურდულობისა და ტრაგიზმის სიმძაფრეს.

„ევა, იანვარა და იასამანი“ ახალი დროის ნაყოფია, ხმამაღალი პროტესტი უსამართლობის, ძალმომრეობის, ფარისევლობის, ცრუმორწმუნეობისა თუ იმ სხვა მანკიერებათა წინააღმდეგ, რომლებიც მყარად ჩაბუდებულია ერსა და ბერში, მსცოვანსა თუ ახალგაზრდაში, გლესსა თუ ინტელიგენტში. დათია ბადალაშვილმა ამ ტოტალურ ანომალიას ერთ გეოგრაფიულ არეალში მოუყარა თავი, ყველა პერსონაჟი ერთ ტოქსიკურ სოფელში დაასახლა და, ამ სოფლის მაგალითზე, შეეცადა მკითხველისათვის ზუსტი წარმოდგენა შეექმნა იმ შემაძრუნებელი მოცემულობის შესახებ, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ადამიანთა სისასტიკემ რომ ათქმევინა რომაელ კომედიოგრაფს, პლატუსს – „ადამიანი ადამიანისთვის მგელია!“

დათია ბადალაშვილის მწერლური ფანტაზიით შექმნილ სოფელში ყველა და ყველაფერი პროფანირებულია, სულიერებისგანაა დაცლილი – პერსონაჟები, საგნები, მოვლენები, ფაქტები... ვერც ერთ პოზიტიურ სურათს, ვერც ერთ დადებით პასაჟსა თუ ეპიზოდს, ვერაფერ დადებითს აქ ვერ შეხვდებით. ყველაფერს მხოლოდ ნეგატიური ბეჭედი აზის, თვით იმ სოფლის რელიეფსაც კი, სადაც სიუჟეტი ვითარდება.

„თონესავით ჩავარდნილ სოფელს

ხრიოკ გორაზე მდგარი, დახავსებული საყდარი დასცქეროდა. – ასეთ მინორულ ნოტაზე იწყება ნანარმოები. ამბავს სოფლის ძალზე ძუნწი აღწერილობით ვეცნობით, რომელიც ამავე დროს ექსპოზიციის ფუნქციასაც ასრულებს. შესაბამისად, პირველივე სტრიქონებიდან ვხვდებით, რასთან გვექნება საქმე.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ავტორმა მის მიერ მხატვრულად შექმნილი საცხოვრისის მოდელად საკუთარივე სოფელი – დიდი თონეთი – გამოიყენა.

დიდი თონეთი თრიალეთის ქედზე მდებარეობს და ხრიოკ გორებს შორის მართლაც თონესავით არის ჩავარდნილი, რის გამოც დაერქვა, ალბათ, „თონეთი“. ასევე რეალისტურია ხრიოკ გორაზე მდგარი სოფლის დახავსებული საყდარიც, თუმცა კი, მოთხრობის საერთო შინაარსიდან და ავტორის ღრმაზროვანი იდეური ჩანაფიქრიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, სიტყვათა პოლისემიურ მნიშვნელობასაც მივმართოთ და ნანარმოების პრელუდიაში სიღრმისეული ქვეტექსტიც ამოვიკითხოთ. ჩემი თვალთახედვით, ამ მარტივ წინადადებაში („თონესავით ჩავარდნილ სოფელს ხრიოკ გორაზე მდგარი, დახავსებული საყდარი დასცქეროდა“) ერთი საერთო ნეგატიური აზრი ფიგურირებს, რომელსაც სამი სხვადასხვა რაკურსით გვთავაზობს მწერალი:

1. „თონესავით ჩავარდნილი სოფელი“ – სიცარიელის, უსუბსტანციოების ასოციაციას იწვევს. თონის თხელი ფენის შიგნით უზარმაზარი სიცარიელეა, ზუსტად ასე არიან დაცლილი სულიერებისგან იმ სოფლის მკვიდრნი, სადაც მოქმედება ხდება.

2. „ხრიოკი გორა“ – უნაყოფო, უმოსავლო, უსარგებლო ალაგია და ისიც სოფლის მცხოვრებთა სულიერ დამჭლევებაზე მიგვანიშნებს.

3. „დახავსებული საყდარი“ – ეს სიტყვებიც სოფლის მკვიდრთა რწმენის კრიზისზე მეტყველებს. იმდენი ხანია, დაკნინებულა ღვთაებრივი რწმენა,

იმდენი ხანია, საყდარს უფლის სახლის ჭეშმარიტი ფუნქცია დაუკარგავს, რომ ხავსი მოსდებია. როგორც გალაკტიონის ლექსშია – „შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია...“ („მშობლიური ეფემერა“), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გალაკტიონთან შეხავსებული კლდეები საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დიდხინან პერიოდზე მიგვანიშნებს, დათია ბადალაშვილის ტექსში კი – უფლის რწმენის დაკარგვაზე. ვერც იმას აუფულით გვერდს, რომ ხავსმოკიდებული საყდრის მეტაფორაში ავტორი საკუთარ სკეპსისაც ვერ მალავს და ამქვეყნად გამეფებულ უსამართლობას „ვერ პატიობს“ ღმერთს.

ამდენად, როგორც დავინახეთ, დათია ბადალაშვილმა ერთ წინადადებაში ერთ საერთო ჩანაფიქრად გააერთიანა სამი მეტაფორული სახე სოფლისა, რომელიც ქვეყნის მიკრომოდელს წარმოადგენს და ყველა იმ პრობლემას აერთიანებს და განაზოგადებს, რომლებიც ასე ძალუმად აწუხებს ახალგაზრდა მწერალს.

სოფლის ღარიბული პეიზაჟის შემდეგ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებს გვაცნობს ავტორი და, სიტუაციური ხატვის მეშვეობით, სრულ წარმოდგენას გვიქმნის მათი პიროვნებისა და შინაგანი სამყაროს შესახებ.

პირველი პერსონაჟი, რომელიც სიუჟეტში შემოდის, სოფლის მღვდელია, როგორც „სულიერი ლიდერი“ თავისი მრევლისა. ნათქვამია: „რაც ერი, ის ბერიო“. ამიტომაც მწერალი ერთნაირად გმობს როგორც საერო სოციუმს, ისე სასულიერო პირებს. მოთხრობაში ამკარად იკვეთება ავტორის სკეპსისი. ეკლესიასა და ერისკაცობაში გამეფებულმა ფარისევლობამ და ფსევდომორწმუნეობამ საზოგადოებაში ნიჰილიზმი წარმოშვა. ყოველივე ამის გამო მთელი ტექსტი გაჯერებულია მწერლის შეფარული სარკაზმით და ეს სარკაზმით მსჭვალავს მთელ ნანარმოებს დასაწყისიდან დასასრულამდე.

დათია ბადალაშვილი დეტალურად აღწერს წყალკურთხევის დღესასწაულის რიტუალს, სადაც ყველაფერი პროფანირებულია – მღვდლის მიერ შესრულებული ყველა წესიცი, სოფლელთა რწმენა-წარმოდგენებიც და მათი ნებისმიერი ქმედებაც.

„იანვრის დილას მღვდელი საყდრიდან სოფლის მფარველ, წმინდა და თეთრცხენოსანი წმინდანის ხატს გამოაბრძანებდა და სოფლის შუაგულში ჩამოძვალ პატარა მდინარისაკენ ისეთი გულდაჯერებით გაუძღვებოდა, როგორც მოსე მიუძღვებოდა ებრაელებს უდაბნოში. ზამთრის სუსხიან დილას, თავდაღმართში, ხორხოშელა თოვლს მიიკვლევდნენ მღვდელი და მრევლი... მღვდელი სოფელივით მოხუცი იყო და ღმერთივით ეშლებოდა თმა-წვერი“.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. საეკლესიო რიტუალის შესასრულებლად გარკვეული სირთულეების დაძლევა უწევთ სასულიერო პირსაც და მის მრევლსაც. ქრისტიანობა ხომ ამქვეყნიურ დათმენას ქადაგებს სულის სალხენად. ეს ადამიანებიც, ჭეშმარიტი ქრისტიანების მსგავსად, თითქოს უდრტვინველად იტანენ სიციფესაც, ყინვასაც, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ყველაფერი სიყალბეა, ფარისევლობა. არც ერთი მორწმუნე იმ საეკლესიო რიტუალში არ ურევია. ამიტომაც მიმართავს მწერალი გროტესკს.

„მდინარეში, სადაც საქონელს არწყულებდნენ, ნაჯახით ყინულს ამოამტვრევდნენ, ანაფორაკალთავებული მღვდელი მონინებით უშვებდა ხატს მდინარეში, თითქოს ცივი წყლის გამო ებოდიშებო. როცა წმინდანს ფეხები დაუსველდებოდა, წყალი ნაკურთხი იყო უკვე. მღვდელი მკაცრად იცავდა წესებს, სჯეროდა, თუ ვინმე ენას დაასველებდა, წყალი არ დანმინდავდებოდა...“

ჯერ კაცები დგებოდნენ გრძელ მწკრივში, ხატს ემთხვეოდნენ, შემდეგ მღვდელი მათ დანმინდავებულ წყალს აპურებდა. პურების შემდეგ კაცები წყალს სახეზე ისხამდნენ, კარგად რომ

ჩამოებანათ ცოდვის ჭუჭყი; შემდეგ ქალების რიგიც დადგებოდა. მათ ჭურჭელიც მოჰქონდათ, წყალი რომ წაელოთ სახლში. მწინლს, ყველის წათხს ამზადებდნენ და ქალიშვილებსაც ამ წყლით ბანდნენ თავს... ამ დროს ყრუ-მუნჯი მნათე ზარს დარეკავდა, იმის მანიშნებლად, რომ წყალი დანმინდავდა და ხალხს ის ცოდვა მიეტევება, რაც დღესასწაულამდე ჰქონდა ჩადენილი. ბოლოს საქონელსაც მიუშვებდნენ მდინარესთან, დასარწყულებლად...“

ჩხუბიც ატყდებოდა... რასაც წმინდანი პატიობდათ, იმას ერთმანეთს ვერ პატიობდნენ... ვალმოხდილი მღვდელიც უკან, საყდარში ააბრძანებდა ხატს. ის კარგი ღვთისმსახური იყო, სიბერეს მასში ყველა ვნება გამოეშრიტა, მღვდლური მორჩილების გარდა“ (ხაზგასმა ჩემია – თ.გ).

მკითხველს რომ ნაწარმოების შინაარსზე სრული წარმოდგენა შეექმნას, ამიტომ მოვიხმე ვრცელი ციტატი.

როგორც ვხედავთ, წყალკურთხევის რიტუალთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და ქმედება ფალსიფიცირებულია, გაუკუღმართებულია და მხოლოდ ფარისევლობას ემსახურება. რეალურად, არც მღვდელს და არც მის მრევლს არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანულ მრწამსთან, მეტიც – მათი ყველა ნაბიჯი თუ ქმედება ცრურწმენასა და ფსევდორელიგიურობას ემყარება. ამ სოფლის მოსახლეობა, რომელიც პირობითად განასახიერებს ფარისევლადამიანთა ზოგად სახეს, დაცლილია ყოველგვარი სულიერებისგან და, როგორც მწერალი ამბობს, **„საქონლის დარწყულებით, თივის ჩაყრითა და ნეხვის ხვევით ჩლუნგდებოდნენ“**, ყოველდღიურ ერთფეროვნებას კი ერთმანეთთან ჩხუბით „აცოცხლებდნენ“ და ახალისებდნენ. ასეთია მათი ცხოვრებისეული „მრწამსი“. აქ მწერალი სარკაზმს მიმართავს და სოფლის მკვიდრთა ამორალიზმს მათივე მკრეხელური ქმედებით ააშკარავებს: **„დალილები და ნაცემები სისხლიან პირისახეს ნაკურთხ მდინარეშივე იბანდნენ“.**

მოცემულ ეპიზოდში, ისევე როგორც მთელ ნაწარმოებში, თვალნათლივ ვხედავთ მემამბოხე მწერალს, რომელსაც ქრისტიანულ მრწამსზე წარმოდგენა ზნეობრივსაყრდენგამოცლილმა ადამიანებმა შეურყიეს. მოთხრობაში ჩვენი სინამდვილეა აქცენტირებული, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი მხოლოდ სხვათა დასანახავად არის მორწმუნე, რეალურად კი, ამ ფასადურობის მიღმა, კარგად მორგებული ნიღბების ქვეშ, იმალებიან ფარისევლები და სადუკეველები. სწორედ ასეთი ტიპის ინდივიდთა განზოგადებული სახეები აღწერა დათია ბადალაშვილმა მოთხრობაში „ევა, იანვარა და იასამანი“, სადაც ვხედავთ, თუ როგორ დასამარებულა ის ჭეშმარიტად მარადიული ფასეულობანი, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს. მათ რწმენასა თუ საქციელში ათი მცნება პირუკუა ნაჩვენები.

წყალკურთხევის ეპიზოდი ერთგვარ „ნიღბების თეატრს“ წარმოადგენს, მაგრამ შემდგომი ამბის განვითარებისას მწერალი ამ თეატრის მსახიობებს დაუნდობლად ჩამოხსნის ნიღბებს და, მკაცრად გამოხატული სარკაზმით, ბოლომდე აშიშვლებს ამ ტოქსიკური ადამიანების რეალურ სახეებს.

● მოთხრობას რამდენიმე გამოკვეთილი პროტაგონისტი ჰყავს. მთავარი პერსონაჟი ევაა – პატარა, ჩაგრული გოგონა, უსულგულობითა და ძალადობით ბოლომდე განირული და ჩაწიხლული, თუმც კი ყველაზე მეტად ადამიანური იმ ვაიადამიანებს შორის, რომლის მსგავსთა შესახებაც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში თქვა რუსთაველმა: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“, რაც შემდგომ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის სათაურის ინსპირაციად იქცა: „კაცია-ადამიანი?!“

ევა ტრაგიკული პიროვნებაა, ორსახოვანი: სულიერად – კეთილშობილი, ხორციელად – ბილწი. ამიტომაც ასეთი ამბივალენტური ფრაზით ახასიათებს მას ავტორი: „გოგონა, რომელიც ყვე-

ლაზე კეთილი და ყველაზე ცოდვილი იყო სოფელში“.

ევას ხიბლში ჩავარდნილი მღვდელი და სოფლის სხვა მცხოვრებნი საყდარში არ უშვებენ, რადგან ის ყველაზე ცოდვილად მიაჩნიათ, თუმც კი იმაზე არავინ დაფიქრებულა, თავად მათ რომ აქციეს ასეთად, თავადვე რომ გაიმეტეს სათრევად და ტალახში ამოსასვრელად.

ევა ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია ნაწარმოებში. ის მრავალნახაგოვანი ფიგურაა და მისი მხატვრული სახე რამდენიმე ასპექტით შეიძლება განვაზოგადოთ. შეუძლებელია, ევას მდგომარეობამ სახარებისეული იგავი არ გაგვახსენოს. ის მეძავი ქალის ანალოგია, ბრბო რომ მის ჩაქოლვას ესწრაფვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, ქალი თავად იესომ დაიცვა ბრბოს აგრესიისგან და ააცილა მისი რისხვა, ევასთან კი პირიკუთა, რადგან ის სოციუმი, ვის გვერდითაც ევა ცხოვრობს და მით უფრო მათი მოძღვარი, ძალიან შორს დგანან ჭეშმარიტი ქრისტიანობისგან, საკუთარ ცოდვებს ვერ ხედავენ და არც ის უმთავრესი ქრისტიანული მრწამსია მათთვის ნაცნობი, მიტევა რომ ჰქვია.

ევას თეთრი იასამნის ბუჩქის ქვეშ უყვარს ჯდომა. სიმბოლურია, რომ ეს იასამანი სოფლის ყველაზე მახინჯ ადგილას, ნაგავსაყრელზეა ამოსული. კონტრასტი აშკარაა: ევა ერთადერთი ნათელი წერტილია ზნეობრივად მახინჯ საზოგადოებაში, ისევე როგორც სრულიად შეუსაბამო ადგილას, ნაგავსაყრელზე ამოზრდილი თეთრი იასამანი.

თეთრ იასამანსაც სიღრმისეული ქვეტესქტი აქვს მოთხრობაში. იმისათვის რომ მისი სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა გავიაზროთ, მცირე ლიტერატურული ექსკურსი მოგვიწევს.

იოვანე საბანისძე ჰიმნში „ქებაჲ წმიდისა მონამისა ჰაბოისი“ აბო თბილელს მიმართავს: „ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია“. ვარდი აქ ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა, ეკალი – ურწმუნოებისა, ბოროტებისა, მოძალა-

დე ისმაიტელებისა. ანალოგიური ქვეტექსტია გალაკტიონ ტაბიძის ლექსის სათაურშიც – „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, სადაც სილა ურწმუნოების ალაგად მოიაზრება. მართალია, ჩემ მიერ დასახელებულ ორივე მწერალთან ვარდი ქრისტიანულ რწმენას გამოხატავს, მაგრამ, ვფიქრობ, ის მცირედ ტრანსფორმირდება მოთხრობაში „ევა, იანვარა და იასამანი“, მით უმეტეს, რომ დათია ბადალაშვილთან იასამანი თეთრია – სინმინდისა და შეუბღალაობის სიმბოლო და, როგორც ზემოთ დასახელებულ ავტორებთანაა ვარდი (ქრისტიანული რწმენა) ტალახსა და ეკალში ამოსვრილი, გათელილი და შელახული, ასევეა მოცემულ ტექსტშიც – ნაგავსაყრელზე ამოსული იასამანი ურწმუნო, დემორალიზებულ, ფარისევლურ საზოგადოებაში შემთხვევით აღმოცენებულ სულიერ სინმინდეს ასახავს. მახინჯი სოციუმისგან უარყოფილი ევა თავისთავად ასოცირდება თეთრ იასამანთან. ამიტომაც ზის ის გამუდმებით იასამნის ძირში. ეს ერთადერთი ადგილია სოფელში, სადაც გოგონას შეუძლია, გაექცეს თავის უმძიმეს ყოფას და ცოტა ხნით მაინც ჰპოვოს სულიერი სიმშვიდე.

● როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ნაწარმოებში ყველა და ყველაფერი პროფანირებულია: მღვდელი, ყრუ-მუნჯი მნათე, სოფლისთავი, სოფლისთავის დედა, მამა, ძმა, მასწავლებელი, ევლია, ევლიას დედა, ევას დედა-მამა და სოფლის ყველა მცხოვრები. პროფანირებულია ევას ცხოვრებაც. ობოლსა და დაუცველს ყრუ-მუნჯი ბიძა ზრდიდა, რომელმაც ძალა იხმარა მოზარდ გოგონაზე – საკუთარ სისხლსა და ხორცზე. აღსანიშნავია, რომ ევას ბიძა იმ სოფლის საყდრის მნათეა, რომელიც ზედმინევენით ასრულებს წყალკურთხევის ყველა წესსა თუ რიტუალს და ისიც აღსანიშნავია, რომ მან თავის დისწულზე სწორედ წყალკურთხევის დღესასწაულის დღეს იძალადა – „როცა უკვე

მოზრდილი გეჯაში ჩასვა და წმინდა წყლით აბანავა; მეორე დღეს მოუტკბილდა, თითქოს არაფერი მომხდარა! ანიშნა, მწნილი წმინდა წყალში ჩადეო“.

ძალიან რთულია ამ შემზარავი სურათის გაანალიზება და უფრო მეტად შემზარავი და შემადრწუნებელი ევას მდგომარეობის გათავისებაა, რომელსაც ასე სასტიკად ექცევა ბედისწერა. ბიძისაგან შეურაცხყოფილ გოგონას ერთადერთი მიზანილა დარჩენია – დაწვეს ყველა მამაკაცთან, განურჩევლად ასაკისა და პიროვნებისა. თავისი გაუკუღმართებული ცხოვრების წესით ევა ბიძას სჯის, მაგრამ უფრო მეტად ღმერთს უგებს ნიშნს, იმ ღმერთს, რომელმაც დაბადებიდან მიატოვა, რომელიც ევასთვის არ არსებობს, ხოდა „თუკი ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია“ (ფ. დოსტოევსკი – „ძმები კარამაზოვები“). ასე იქცა ევა საკუთარი სკეპსისისა და ნიჰილიზმის ტყვედ, ასე გახდა მახინჯი სამყაროს წევრი და როდესაც უხამსი ბიძის სიკვდილის შემდეგ მღვდელი ცოდვების მოსანანიებლად მას წყალკურთხევის დღესასწაულზე საყდარში მისვლას სთხოვს, გოგონა, პროტესტის ნიშნად, სოფელში ყველაზე ბინძურ კაცებთან მიდის დასაწოლად – ბინძურ საზოგადოებას ბინძური ხორციით უმასპინძლებს.

ევამ დაკარგა უფლის რწმენა. ამიტომაც საკუთარი სკეპსისი ათქმევინებს მას ღვთისა და წმინდა გიორგის საგმობ სიტყვებს: „სად იყო წმინდანი მაშინ, როცა ევა გაჩნდა? საერთოდ, სად იყო წმინდანი მაშინ, როცა ბიძის შერჩენილ თესლს იწმენდდა ბარძაყებიდან?“

აღბათ, არ არსებობს სრულყოფილი ბედნიერება, მაგრამ არსებობს ტოტალური უბედურება. ასეთი უბედურია ევა – თავადაც ცოდვის შვილი, ხალხი რომ სულ იმას აძახებდა – „ცოდვის ნაყოფი და ნაბიჭვარი ხარო“ (ევას დედა მენახირესთან იყოფდა სარეცელს ბოსელში, რომელმაც მაშინვე მიატოვა ქალი, როგორც კი გაიგო, რომ მისგან ბავშვს ელოდებოდა).

ევას ცხოვრება თავიდანვე პროვიდენციულია – ტანჯვა-წამებისა და გა-

რიყვისთვის განწირული. მან არც კი იცის, ვისგან არის ორსულად – სოფლისთავისგან, მენახირისგან თუ სკოლის მოსწავლე დიდი ბიჭებისგან; არც ის იცის, რა ბედი ეწევა მის შვილს. თვითონაც სანახევროდ მშიერმა, როგორ უნდა გაზარდოს ბავშვი. ამიტომაც უფრო დიდ ცოდვას ჩადის და მუცლის მოშლას გადაწყვეტს.

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ ევა რთული და მრავალნახნაგა პერსონაჟია და მისი სახე რამდენიმე ასპექტით შეიძლება დავინახოთ.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჩაგრული, დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი ქალი ხშირად საქართველოს ალეგორიად არის წარმოდგენილი (ოთარ ჭილაძე – „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ – ანა; მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“ – მარგო; კონსტანტინე გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“ – თამარი...). ვფიქრობ, მოცემულ მოთხრობაში ევა გარკვეული ასპექტით საქართველოსაც განასახიერებს. ჩაგრული, რწმენაშერყეული ჩვენი სამშობლოს სახეს, რომელიც ტოტალურად გაბატონებული ფარისევლობის, ძალადობის, ძალმომრეობის, უსამართლობის მსხვერპლად ქცეულა.

ევას არავისთან აქვს მისასვლელი – არც მღვდელთან, რომელსაც მოსმენა არ შეუძლია და მიტევების, დაყვავების, შეცოდების, შენდობის, კაცთმოყვარეობის არანაირი უნარი არ გააჩნია, ანუ ყველაფერი ის, რაც უნდა ჰქონდეს სასულიერო პირს; არც სოფელში ეგულება ვინმე, ვინც რაიმეს ურჩევს, დაიცავს და დახმარების ხელს გაუწოდებს. როგორც „მთვარის მოტაცების“ განხილვისას იტყვის აკაკი ბაქრაძე თამარ შარვაშიძის მისამართით: „არავის ეცალა მის (სათნოების) მოსაველეად და საპატრონოდ. დროს სჭირდებოდა უხეში ძალა და სათნოებისათვის ადგილი არ დარჩენილიყო“.

ნიშანდობლივია, რომ ევა მუცლის მოსაშლელად და საკუთარი შვილის მოსაკლავად სწორედ საყდრის გა-

ლაზნიდან იწყებს გადმოხტომას. ესეც პროტესტის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ფორმაა მისი მხრიდან, ნიშნად იმისა, რომ ღმერთი არ არსებობს, ხოლო, როდესაც მას სოფლის მკითხავის ხმა შემოესმება: „ლოდი ანე! ლოდი!“, ევას უნებურად გაუკვირდება: „რა უნდოდა საყდარში ეშმაკს?“

როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ამ სოფელში არაფერი წმინდა არ არსებობს, სრული დესაკრალიზაციაა, ამიტომაც სოფლის ეკლესიასაც, მკითხავის სახით, ეშმაკი დაჰპატრონებია, ისევე როგორც სოფლის მცხოვრებთ და თითქოს სამუდამოდ გაუძევებიათ იქიდან ღმერთი.

ევამ წყალკურთხევის დღესასწაულზე იმ მდინარის სათავეში შობა მკვდარი ბავშვი, სადაც წყალს აკურთხებდნენ ხოლმე; სწორედ იმ ადგილას, ნაგავსაყრელზე, სადაც თეთრი იასამანი იდგა და რომელიც ასე უყვარდა ევას: **„ზმუილით გადაბრუნდა პირქვე, მწოლიარემ თეთრი იასამნის ქვეშ გაქვავებული თოვლ-მინა ფრჩხილებით ამოჩიქნა და გაყინული იანვარა ჩაასვენა. როცა საფლავის ბორცვი ხელისგულებით მოტკეპნა და ზედ ლოდი მიაჩოჩა, მანანწალა ძაღლებს რომ არ ამოეთხარათ, ზარის რეკვა ჩაესმა. ხანგრძლივად რეკავდა, ეს რეკვა ზეიმის მაუწყებელი იყო სოფელში და ხალხს ამცნობებდა, რომ წყალი დანმინდავდა, ევას კი ზარის რეკვისას სულ სხვა ხმა ესმოდა: „მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის ნაჭერი!!!“**

როგორც ვხედავთ, ევას ის გააჩნია, რაც სხვებს არა აქვთ – სინანულის განცდა. ევამ გააცნობიერა, რაც ჩაიდინა – საკუთარი შვილი მოკლა. ის იქცა უნებლიე მიზეზად დედის გარდაცვალებისა (დედამისი ევას მშობიარობას გადაჰყვა), ის იქცა უნებლიე მიზეზად აღვირახსნილ ბიძაში მამაკაცური ჟინის გაღვიძებისა და ისევე იქცა მიზეზად საკუთარი პირმშოს სიკვდილისა, ოღონდ, წინა ორი შემთხვევისაგან განსხვავებით, მესამე გამიზნული და წინასწარ განზრახული იყო. ამიტომაც მიიჩნევს ის თავს იმ ამორალური სოციალის ნა-

ნილად, რომლის წიაღშიც იშვა, ამიტომაც აღარაფერი დარჩენია, შურისძიების გარდა. მან შური უნდა იძიოს იმ წმინდანზე, რომელმაც მიატოვა, არ დაიცვა ძალადობისგან, ჩაგვრისგან, დამცირებისგან... ევასთვის „ღმერთი მკვდარია!“ რწმენაშერყეულსა და უფლის არსებობაში დაეჭვებულს მთელი სიძულვილით აღმოხდა: **„შენ მაინც ვერაფერს ხედავ!“ – და ხატს მიწიანი ფრჩხილები უტყვ თვალებში ჩაარჭო“.** ეს ის მიწიანი ხელები იყო, რომლითაც ცოტა ხნის წინ საკუთარი პირმშო დამარხა, ხოლო წმინდანის „უტყვი თვალები“ თავისთავად მიგვანიშნებს ევას სკეპსისსა და დაეჭვებაზე უფლის მიმართ.

შესაძლოა, მწერლის ასეთი გადამწყვეტილება – წმ. გიორგის ხატის შებღალვა (ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ეს ხატი წმინდა გიორგის ხატია) მკითხველმა მკრეხელობად მიიჩნიოს, მაგრამ მოთხრობა წორედ იმის ნათელი მაგალითია და იმას ისახავს მიზნად, რომ ეკლესიას და სარწმუნოებას ამოფარებული ბევრი „მართლმორწმუნე“ და ფსევდოქრისტიანი – ერი და ბერი გამოააშკაროს და საბოლოოდ ჩამოხსნას ნიღაბი.



მოთხრობაში კიდევ ერთი დემორალიზებული ადამიანის პროფანირებულ სახეს ვხვდებით. ეს გახლავთ სოფლისთავი – გაუკუღმართებული ცხოვრებისა და ორიენტაციის მქონე კაცი, რომელსაც ადამიანები მხოლოდ იმიტომ სძულს, რომ თვითონ არ არის ის, ვინც „უნდოდა, რომ ყოფილიყო“, რომელმაც სიყმანვილეში მამისათვის მიცემული პირობა ვერ შეასრულა და „დედიშობილა მიენდო კაცის ალერსს“. ეს ის სოფლისთავია, ბავშვობის ტრამვისაგან დაკომპლექსებული და ქვეყნიერებაზე გაბოროტებული, გამუდმებით რომ სცემს ცოლსა და გერს – ევლიას, რომელსაც ევა უყვარს (ევლია ერთადერთია სოფელში, ვისაც ევა უყვარს) და საჭმელსა და საცხოვრებელს აყვედრის.

შემადრწუნებელია ევლიას ბედიც –

მკვლელი დედისა და დესპოტი მამინაცვლის ხელში. ევლიას დედამ ნათესავი ქალი ჯერ მოკლა და მერე მიცვალებულს ოქროს კბილი ამოაგლიჯა პირიდან, ამ ყველაფრის თანამონაწილედ კი საკუთარი ვაჟი, ევლია აქცია. ევლია **„მაშინ დედამისზე არ გაბრაზებულა, არც იმის გამო, მოხუცს ოქროს კბილი რომ ამოგლიჯა, არც იმის გამო, მისი ნივთები შავ ცელოფანში რომ ჩაყარა და ხევში მოისროლა. მაშინ კი გაბრაზდა, სოფლისთავი დედამისთან ღამე რომ მოვიდა და გარეთ გამოაგდეს“.**

ღირსებააყრილი ევლია ამის გამო მეზობლებისგან დაცინვის ობიექტად იქცა. ზიზღმა მამინაცვლის მიმართ პიკს მაშინ მიაღწია, როცა ბოსელში ჩახვეულ ევასთან შეუსწრო, იმ ევასთან, ასე ძლიერად რომ უყვარდა ბიჭს. ეს ზიზღი საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ევლიამ მამინაცვალი წყალკურთხევას მოკლა, სწორედ იმ მდინარესთან, რომელიც სოფელში წმინდად ითვლებოდა. ევლიამ ევას ჯავრიც ამოიყარა, რადგან სრულიად შესაძლებელი იყო, რომ ევას ვაჟი სოფლისთავისა ყოფილიყო.

ევამ ჩვილს იანვარა დაარქვა, თავისი მასწავლებლის სახელი. მასწავლებელი, იანვარა, ამავე დროს მთხრობელის როლშიც გვევლინება. იანვარა ყველაზე უფერული პერსონაჟია ნაწარმოებში, რომელსაც, მღვდელთან ერთად, ხიბლში ჩავარდნილს უწოდებს ავტორი. ამკარაა მწერლის სარკაზმი მასწავლებლის მიმართაც, რომელიც კარგ კაცს თამაშობს და იმის შიშით, ვინმეს რამე არ აწყენინოს, ნეიტრალურ პოზიციას იკავებს, რადგან ხალხის ყბაში ჩავარდნისა ეშინია. ის უცხო მხრიდან არის მოსული და სწრაფადვე დაიხურა იქაური ქუდი. ხალხს რომ არ მოეძულებინა, რაც არ უნდა დაენახა, ენას არ დაძრავდა, არც არაფერს გააპროტესტებდა, არც სხვის საქმეში ჩაერეოდა. მართალია, ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ევას თბილად ექცეოდა, მაგრამ მაინც ვერ (არ) დაიცვა საბრალო გოგონა მოძალადე ბრბოსგან, ვერ მოევლინა მას მხსნელად

და მშველელად და საბოლოოდ განირა იგი სიმარტოვისათვის.

როგორც ვნახეთ, მოთხრობაში ყველა ფაქტი თუ მოვლენა წყალკურთხევის დღესასწაულს უკავშირდება. წყალკურთხევას ვლინდება სოფლის მცხოვრებთა გაუგონარი ცრურწმენა და ფარისევლობა, ამ დღეს ძალადობენ ევაზე, ამ დღეს მშობიარობს ევა და ამავე დღეს შებლაღავს წმინდანის ხატსაც, ამ დღეს კლავს ღირსებაშელახული ევლია თავის ავხორც მამინაცვალს და კლავს სწორედ იმ მდინარესთან, რომელსაც სარკასტულად „წმინდას“ უწოდებს ავტორი, რითაც სურს გვითხრას, რომ ყველაფერი ბლეფია და ტყუილსა და სიცრუეში ცხოვრობენ ადამიანები. მათ ღმერთის შველა სჭირიათ, ის კი არ ჩანს. ახალი პირმშოც კი ვერ შვა ამ საზოგადოებამ, რომელიც ბერნი და მახინჯია თავისი შინაგანი არსებით. ევამ ჩვილი თეთრი იასამნის ქვეშ დაკრძალა, ნაგავსაყრელზე, ნიშნად იმისა, რომ დემორალიზებულ და პროფანირებულ სოციუმში ვერ ცოცხლობს და ვერ ხარობს ახალი, ჯანსაღი სიცოცხლე, ის, რაც წმინდაა და შეუბღალავი. ამიტომაც არის მოთხრობაში გაუკუღმართებულად წარმოდგენილი ერთ-ერთი უწმინდესი ქრისტიანული დღესასწაული.

ასეთია დათია ბადალაშვილის უმძიმესი სიუჟეტის მქონე მოთხრობა,

ასეთია მისი თვალთ დანახული დღევანდელი – სრული გადაგვარება და მორალურ ფასეულობათა მსხვერველა, უმდაბლეს ვნებებს აყოლილი საზოგადოება და რწმენის მასობრივი კრიზისი, რომელიც ზოგიერთი სასულიერო პირის ფარისევლობამ და უღირსმა ქცევამ წარმოშვა, რამაც, სამწუხაროდ, უამრავ ადამიანს შეურყია უფლის რწმენა. ამიტომაც არის ნაწარმოებში დამახინჯებული და გამრუდებული ყველაფერი – დედის ხატი, სიყვარული, მრევლი, მოძღვარი და, ზოგადად, ყოველგვარი ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობა.

როგორც ითქვა, დათია ბადალაშვილის მხატვრული სიტყვითა და ოსტატობით შექმნილი სოფელი მიკრომოდელია ჩვენი ქვეყნისა. ამ მოთხრობაში, ილიას „კაცია-ადამიანის?!“ დარად, ვხედავთ ჩვენსავე მანკიერებას, მაგრამ არა შეფარვით, არამედ სრული სიცხადით მონოდებულს, უნიღბოდ, თუმცა კი სიმართლეს – ასე შემადრწუნებელსა და შემზარავს.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დიდი ხანია თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში არაფერი წამიკითხავს ისეთი მრავლისმთქმელი ქვეტექსტებითა და სიღრმისეული პლანით გაჯერებული, როგორიც დათია ბადალაშვილის „ევა, იანვარა და იასამანია“.

ამირან გომართელი

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“

გალაკტიონის პოეზიის მკითხველს, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს მრავლისმეტყველი ფრაზა ლექსიდან – „ცისფერი“ (1923): **„და იშვიათად თუ მოზრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“**. რა დასამალია და, გალაკტიონის თანამედროვე პოეტების გარკვეულ ნაწილს დიდწილად აღიზიანებდა ასეთი თამამი თვითშეფასება, თუმცა გალაკტიონის გარდაცვალების მერე და, მით უმეტეს დღეს, კრიტიკის გარეშე ვიღებთ პოეტის ნათქვამს და სშირად მოვიხმობთ ხოლმე მისი სიდიადის წარმოსაჩენად. მეტიც, არსებითად ასრულდა პოეტის ნატვრა – მისი სახელით საუკუნის მოხსენიება. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კარგა ხანია დამკვიდრდა გამოთქმა – პოსტგალაკტიონისეული ეპოქა. საკუთარი პოეზიის გამორჩეულობაში ეჭვიმიუტანლად დარწმუნებული კაცი თუ იტყვის იმავე ლექსში ასე თამამად: **„ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი, აიმართება მშობლიურ მთებზე“**. იქვე გაცილებით გაბედული სტრიქონებიცაა. ფრაზას – **„და იშვიათად თუ მოზრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“** – მოსდევს კიდევ უფრო თამამი განაცხადი: **„ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა“**.

ზედმეტია ამ სიტყვების სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეფასება. მეტაფორულ გამოთქმად უნდა აღვიქვათ იგი, გნებავთ, ჰიპერბოლად – პოეტურ გაზვიადებად.



ახლა ძირითადი სათქმელიდან ოდნავ გადავუხვევ და იმას გავიხსენებ, ლექსში „შემოქმედება“ გალაკტიონი მინიერ შემოქმედს/პოეტს ღმერთს რომ ადარებს: **„ო, უძლეველო, დიდო წამო შემოქმედების, ეხლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი!“**

ამ შემთხვევაში გალაკტიონი პოეტურად ახმოვანებს იმ ენობრივ ფაქტს, რომ ღმერთი და ხელოვანი ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება – შემოქმედი. ამგვარი მსოფლაღქმა არა მხოლოდ ქართულში, არამედ მრავალ სხვა ენაშიც დასტურდება. იგულისხმება, ხელოვანიც ისევე არაფრიდან ქმნის ახალ (ხელოვნებისეულ) სინამდვილეს, როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო. ასე რომ, ამ მხრივ გალაკტიონი არც ორიგინალურია და არც რაიმეა მასთან სადავო.

... და მაინც, როგორც არ უნდა იყოს, დიდი სითამამეა საკუთარ თავზე იმის თქმა, ანგელოსები ჯვარზე გაკრულ ქრისტეს შემაფარდებნო. ფარდი ხომ ტოლს, დარს, თანაბარს ნიშნავს. კიდევ უნდა გავიმეორო, აზრი არა აქვს გალაკტიონის ნათქვამის თეოლოგიურ კრიტიკას. ასე ითქვა და მორჩა. ფაქტია, ვერსად წაუვალთ. ასეთ თამამ განაცხადთან ახლოსაც ვერ მივა ის, რაც ერთი წლით ადრე, ოპერის თეატრში დაგეგმილი გრანდიოზული საღამოს აფიშებზე გალაკტიონმა ქართულ და რუსულ ენებზე წააწერინა – „საქართველოს პოეტების მეფე“. ამას მწერალთა არც თუ მცირე ნაწილის გაღიზიანება მოჰყვა. შედეგად, მწერალთა კავშირის საბჭოს 1922 წლის 23 ივლისის საგანგებო სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძეს საყვედური გამოეცხადა და დოკუმენტურადაც გაფორმდა. ასეთ და მსგავს წინააღმდეგობებს არც მანამდე და არც მერე ხელი არ შეუშლია საკუთარ თავზე ეთქვა: **„რომ მეფე ვარ და მგოსანი, და სიმღერით ვკვდები“; „შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის“**, ან დღიურში ჩაენერა: **„ჩემი ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშაა, ჩემი დიდება გარდაუვალა“**.

ამგვარი ჩანაწერი თუ პოეტური სტრიქონი მრავლადაა. ნოდარ ტაბიძის ნათქვამისა არ იყოს, „არაორდინალურობიდან გამომდინარე სრულიადაც არ ერიდებოდა ხმამაღალ განცხადებას“. არც ის ეხამუშებოდა, თუ გენიოსად გამოაცხადებდნენ, პირიქით, საკუთარ გენიალურობას ეთანხმებოდა. კიდევ ერთი ჩანაწერი: **„გამსახურდია მიწოდებს გენიოსს. მისთვის მე უფრო მეტი ვარ, ვინემ დოსტოვესკი“**.

რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, ლექსში – „ცისფერი“, აშკარაა პოეტის სურვილი საკუთარი სიდიდის წარმოჩენისა. აკი თქვა კიდევ მურმან ლებანიძემ, **„თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი!“**

ახლა იმის გარკვევასაც შევეცადოთ, საკუთარი თავის ასე წარმოჩენის სურვილმა გალაკტიონის სხვა ლექსშიც ხომ არ ჰპოვა გამოძახილი?! ამისათვის

ისეთ, არც თუ კონიუნქტურულობას-მოკლებულ ლექსზე მოგვინევს მსჯელობა, როგორიცაა „მთვარის ნაამბობიდან“ (1938).

ლექსში მთავრის პირით შექებულია საქართველო („საქართველოსთანა არ მინახავს არსად მხარე“). წარსულის ზერელე მოხსენიებასთან ერთად, განსაკუთრებით აქცენტირებულია საბჭოური ყოფა და სინამდვილე. ხელისუფლების საამებლად ჟღერს ლექსის ბოლო ორი სტროფი:

*„კაცთა შრომამ მაღარიით
მოშხამული ატმოსფერა
ახალ ჩაით, ახალ იით
ახლად გააოქროსფერა.
აგერ მგ ზავრი და ტიტანი
მოსჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭვული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი“.*

ამავე ლექსშია ძალზე მნიშვნელოვანი და ყოველი ჩვენგანისათვის კარგად ნაცნობი სტროფი:

*„რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნავში,
მიცქეროდა და თან თრთოდა,
ვით ფოთოლი თრთის ნიავში“.*

ეს სტროფი რომ არა, უპირველესად კი ფრაზა – „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“, ალბათ, არც გავისხენებდით ამ ლექსს. არადა, ეგებ, სულაც ამ სიტყვების გამო დაინერა იგი. სწორედ ამის გარკვევაა ჩემი წერილის მიზანი.

აღნიშნული ლექსის თაობაზე, გალაკტიონის არქივზე დაყრდნობით, საინტერესო ცნობებს გვანვდის მისი ძმისშვილი ნოდარ ტაბიძე. პოეტის არქივში შემონახული ყოფილა რუსული ჟურნალი „Вестник иностранной литературы“ (1928. №12) სადაც დაბეჭდილია იაპონელი მწერლის, ფუსაო ხაიასის (ჰუსაო ჰაიაში) მოთხრობა „მთვარის ნაამბობი“ – „Рассказы месяца“. ნოდარ ტაბიძე გვაუწყებს: „მოთხრობის პირველ ოთხ ქვეთავს ერთვის გალაკტიონის მინაწერები – „ჩინეთი“, „გერმანია“, „ინდოეთი“, ე.ი. ქვეყნები,

რომელთა ამბავსაც გვიყვება მთვარე“. (ნ. ტაბიძე, გალაკტიონოლოგია. 2002, გვ 95). ამ საკითხთან დაკავშირებით გალაკტიონის კვლევის ცენტრის კრებულში „გალაკტიონოლოგია“ (ნიგნი V, 2010) გამოქვეყნებულია იაპონელი მთარგმნელისა და ლიტერატორის, ჰიროტაკე მადეას ფრიად მნიშვნელოვანი სტატია, რომელიც გვაუწყებს, რომ იაპონურიდან რუსულად ნათარგმნი მოთხრობის (1927) ავტორი არის ჰუსაო ჰაიაში. იგი „მთვარის ნაამბობის“ დაწერის დროისათვის იაპონიაში კომუნისტურ საქმიანობას ეწეოდა და საბჭოურ ყოფას განადიდებდა. ჰაიაშის მოთხრობაში, წერს ჰიროტაკე მადეა – „მთვარე ღამით ცაზე დასეირნობს, დასცქერის სხვადასხვა ქვეყნებს, ბოლოს შეჩერდება საბჭოთა რუსეთთან, იგონებს მეფის რუსეთის მძიმე ცხოვრებას და გაკვირებული საბჭოთა ბავშვების ბედნიერებით, ელაპარაკება მათ“. იაპონური მოთხრობისაგან განსხვავებით, გალაკტიონთან მთვარე არ მოგზაურობს და მხოლოდ საქართველოს დასცქერის. გალაკტიონის ლექსის პირველ სტროფში პოეტი მიმართავს მთვარეს, მეორე სტროფიდან კი თხრობას მთვარე აგრძელებს – „ბევრი მხარე მოვიარე, ასე იწყებს ამბავს მთვარე“.

ახლა კვლავ იაპონელი ლიტერატორის ციტატი უნდა მოვიხმო, სადაც ძალზე მნიშვნელოვანი და მართებული აზრია გამოთქმული: **„ლექსი ისეა აგებული, რომ მთვარის სიტყვები – „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში“ – პოეტს მიეწერება, ან მკითხველის წარმოსახვა მთვარესა და პოეტს უნებურად აიგივებს“** (ხაზგასმა ჩემია – ა.გ.)

უთუოდ უნდა დავეთანხმოთ იაპონელ მწერალს. მკითხველის წარმოსახვა მართლაც აიგივებს მთვარესა და პოეტს, მეტიც, მას მიაწერს სიტყვებს: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“. გალაკტიონი ის პოეტი არ არის, რაიმეს თქმა და გამოსატყა გაუჭირდეს, მკაფიოდ ვერ გამიჯნოს ავტორი და მთხრობელი. ჩანს, ასეთი იყო მისი, როგორც შემოქმედის ნება.

საკითხავია, რასთან გვაქვს საქმე, რატომ ამბობს მთვარის პირით გალაკტიონი „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“-ო; რა მიზანი აქვს, რა სათქმელი იმალება ამ ფრაზის მიღმა, რატომ გვიძნელდება ავტორის (გალაკტიონი) და მთხრობელის (მთვარე) გამიჯვნა?! ნუ გაგიკვირდებათ და, ისიც ვნახოთ, ხომ არ არის რაიმე კავშირი ან გამოძახილი ამ სიტყვებსა და ზემონახსენებ ფრაზას შორის, როცა საკუთარ თავზე თქვა – **„ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა“**.

ამის გამოსარკვევად ქართული პოეზიის კორიფეებისადმი გალაკტიონის დამოკიდებულებას უნდა შევხვით. რა თქმა უნდა, გალაკტიონი აღიარებს მათ, საკუთარი თავიც მათ რიცხვში ეგულება:

**„რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და ...“**

აქ მრავალწერტილით იოლად ამოსახსნელი ამოცანა დაგვიტოვა – „რიონს“ გალაკტიონი უნდა გაგურითმოთ, ისევე როგორც მომდევნო სტროფებში – „სიონს“ და „კავკასიონს“. ამ დიდებულ ოთხეულში შოთა პირველია. ეს უდავოა, საყოველთაოდ აღიარებულია. რუსთაველის სიმღელე და დიდებულება იგავმიუწვდომელია. სწორედ მისი მიწვევანაა მთავარი. სხვებს, რა თქმა უნდა, აფასებს, მაგრამ მათთან მეტოქეობის ინტერესი არა აქვს – თანამედროვეებთან – მით უფრო. რუსთაველთან მიმართებით იმის გახსენებაც გვმართებს, თუ რა თქვა საკუთარ თავზე: **„ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა“**. ქრისტე კი მართლმადიდებლური „მწამსის“ თანახმად, არის **„შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“**. არსებითად იგივეა ნათქვამი იოანეს სახარებაში, როცა მაცხოვარი იუდეველებს ეუბნება, თქვენს პატრიარქ აბრაამზე უწინარესი ვარ – (ამენ, ამენ გეტყვი თქუენ: **პირველ აბრაჰამისა ყოფადმდე მე ვარ** – იოანე, 8, 58).

ასე რომ, სახარებაში გარკვევითაა ნათქვამი, მაცხოვარი მარადის მყოფობს და დროში ყველაზე უწინარესია.

ახლა კიდევ ერთხელ მოვიხმოთ გალაკტიონის სიტყვები, „**ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა**“. აქ პოეტმა საკუთარი თავი ანგელოსების მეშვეობით მაცხოვრის ტოლად და სწორად გამოაცხადა. ამდენად, ჯვარზე გაკრული მაცხოვრის დარად, ამ ფრაზის ავტორიც მარადიულად მყოფობს, დროში ყველაზე უწინარესია და ამიტომაც აცხადებს თამამად: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“.

P.S. გალაკტიონის თეოლოგიურ განსწავლულობაში ეჭვის შეტანაც კი ზედმეტია. ეს ცოდნა მან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიძინა და ოსტატურად იყენებს საკუთარ შემოქმედებაში; კონკრეტული შინაარსის გამოსახატავად არაერთხელ მიმართავს ბიბლიასა და ქრისტიანულ სახსიმეტყველებას. ამ საკითხზე პირადად მეც არაერთხელ მითქვამს და დამინერია გალაკტიონის ცალკეული ლექსის განხილვა-გააანალიზებისას, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

„დიდოსტატის მარჯვენის“ გაგებისათვის – ნიცხანური და თაოლოგიური რეცეფციები

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ჟანრის განსაზღვრა, როგორც ისტორიული რომანისა, პირობითია. აქ, ალბათ, მწერლის მხატვრულ განზრახვას ენიჭება უპირველესად მნიშვნელობა და არა ფორმას. ერთი მხრივ, ნებისმიერი რომანისტი, რომელიც ისტორიულ რომანს წერს, მიზნად ისახავს ისე მოახდინოს წარსულის მხატვრული რეკონსტრუქცია, რომ თან მოცემული ეპოქის სურნელი და ესთეტიკა გააცოცხლოს, თან ირიბად თანამედროვეობისთვის აქტუალური საკითხებიც დასვას, თუმცა „დიდოსტატის“ შემთხვევაში პირიქითაა – მწერლის ამოცანა აქ არის თანამედროვეობის მწვავე საკითხების დასმა და შემდგომ წარსულიდან მათი არეკვლა, რომ მკითხველთან ასე მივიდეს. აქვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისიც, რომ სათქმელი საბჭოთა ცენზურასაც არ მოხვდეს თვალში, ვინაიდან ეს წარსულია. ამ ფაქტორის გამო უფრო სინთეტურია – მასში არის ნამდვილი, რეალ-ისტორიული ელემენტებიც და გამოგონილიც, თუმცა ამ უკანასკნელთა შესახებაც ვერ ვიტყვით, რომ მათი ასეთ ხდომილებათა ალბათობა საქართველოს ისტორიაში დაუშვებელი და წარმოუდგენელია.

რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ასახულია 1013-1027 წლები, ანუ გიორგი პირველის ზეობისა და სვეტიცხოვლის აშენების ხანა, სადაც ისტორია მწერ-



ლის ფანტაზიით არის გადამუშავებული. თუ წმინდა ისტორიზმის თვალსაზრისით შევხედავთ, აქ აღწერილი ამბები სხვა პერიოდებშია მომხდარი, მაგრამ დანამდვილებით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ესა თუ ის მოვლენა ვერ მოხდებოდა მე-11 საუკუნის დასაწყისში: ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ წარმართობის მომხრე ფხოველთა აჯანყება თამარის მეფობის დროს ჩაახშო ივანე ათაბაგმა, რომლის ჯარსაც სამი თვე დასჭირდა, ვიდრე ფხოველებსა და დიდოელებზე გამარჯვებას მოიპოვებდა. ისტორიული ფაქტია გიორგი პირველის დაპირისპირება ბიზანტიელებთან, ცნობილია აგრეთვე მისი მცდელობა, ანტი-ბიზანტიური სამხედრო კავშირი შეეკრა ფატიმიან მმართველ ალ-ჰაქიმთან, თუმცა ისტორიულ ქრონიკებში არსად ჩანს მისი ფაუსტური ხასიათის სკეპტიციზმი

რელიგიის მიმართ (მისთვის ერთგვარი „მეფისტოფელის“ როლს რომანში ფარსმან სპარსი ასრულებს). ამ მხრივ შესაძლოა დავასახელოთ ლაშა-გიორგიც, რომელიც აღმოსავლური თეოსოფიისკენ იხრებოდა – თბილისელი სუფიების, ოუბაშების, ლავლათა მისტიკურ-ექსტატიკური პრაქტიკისკენ. როგორც ჩანს, მისთვის არც თრიაქი უნდა ყოფილიყო უცხო. ორგული ფეოდალები დაახლოებით სამი საუკუნის შემდგომ ნადიმზე ამოწყვიტა გიორგი ბრწყინვალემ, როდესაც ცივის მთაზე მიიწვია ისინი, ხოლო დემეტრე მეორე თავდადებული მდაბიორივით გადაცმული დადიოდა და ამგვარად ტფილისში გლახაკებს განიკითხავდა, თუმცა ხუროთმოძღვარ კონსტანტინე არსაკიძის თვითორიენტაცია ადამიანზე, როგორც ახალ შემოქმედზე (იგივე ანტროპოცენტრიზმი) თითქმის შეუძლებელი ჩანს მე-11 საუკუნეში, ე. ი. იტალიურ რენესანსამდე თითქმის ოთხი საუკუნით ადრე) რით შეიძლება აიხსნას?

საქმე ის გახლავთ, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟები არიან არა იმდენად რომელიმე კონკრეტული ისტორიული ეპოქის შვილნი, არამედ ისინი სხვადასხვა ეპოქების სინთეზს წარმოადგენენ. გარდა ქართველი მეფეებისა და მთავრებისა, გიორგი მეფის სახე ენათესავება კარლოს დიდს, ფრიდრიხ მეორე ბარბაროსას, ჰაინრიხ მეორეს. ამათ შორის, ალბათ, ყველაზე საინტერესო ისტორიული მაგალითია გაერთიანებული ევროპის პირველი მონარქის, კარლოს დიდის მიერ წამოწყებული ლაშქრობები დაუმორჩილებელი საქსონელების წინააღმდეგ, რომლებიც თვით მე-9 საუკუნეში ძველგერმანული წარმატების მიმდევარნი იყვნენ. კარლოსმა, რომლის სახელის სლავური ფორმა „კაროლ“ აღმოსავლეთ ევროპაში მეფის აღმნიშვნელად იქცა, საქსონელები დაამარცხა მრავალწლიან ომში, იძულებით მონათლა და განადგურა ირმინსულის საკურთხეველი, მათი უმთავრესი საკულტო ცენტრი.

როგორი სახეა მელქისედეკ კათალიკოსი, დანახული ისტორიული თვალთახედვის კუთხიდან? იგი ინსტიტუციონალურ ქრისტიანობას უდგას სათავეში.

გარდა იმისა, რომ მას ქართულ სამღვდელთაში მოეძებნება პროტოტიპები, იგი გარკვეულ ასპექტში ენათესავება როგორც ბიზანტიელ პატრიარქებს, ისე კათოლიკე იერარქებს, ურბან მეორეს, გრეგორ მეცხრეს, ინოკენტი მესამეს – რომის იმ პაპებს, რომლებიც სასულიერო ხელისუფლების (საკერძოტიუმის) როლს ნიადაგ წინ წამოსწევდნენ, გამოირჩეოდნენ რიგორიზმით, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს საეკლესიო დოგმების დაცვას, სასტიკად ამხელდნენ ან უსწორდებოდნენ მწვალებლებსა და წარმართებს, არც სხვა რელიგიების მიმდევრებს სწყალობდნენ, იყვნენ რა ჯვაროსნული ლაშქრობების ინიციატორები. „დიდოსტატში“ ამ ინსტიტუციონალური ქრისტიანობის ერთგვარი „პირი,“ თავად მელქისედეკზე მეტად არის „უცხვირპირო“ განმგეთუხუცესი, რომელიც ხუროთმოძღვართან საუბრისას ამბობს, რომ მმართველმა ხალხს მხოლოდ შრომა, მარხვა და ლოცვა უნდა ასწავლოს; თუკი ხალხი დანაყრდა, ის უქმობაში გადავარდება, აღარც ტაძრები აშენდება, აღარც ციხეები, ხოლო „ომში აზნაურები წაასხხამენ მონებს“, თუმცა თავად მელქისედეკის სახე მთლიანობაში მაინც ემპათიითაა დახატული – ასკეტური გარეგნობის მქონე მოხუცი, ვისაც დაძაბული ცხოვრების წესის გამო ხშირად ეუფლება უძლურება და ავადმყოფობს, ვის ქადაგებასაც ათასობით ადამიანი უსმენს. კათალიკოსს, როგორც ტექსტშია აღწერილი, პირადული მართლაც არაფერი გააჩნია. ასევე არსად ჩანს, რომ იგი ურჩთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას ყოველთვის ეთანხმება – პირიქით ცდილობს, როგორც ოდესღაც წმ. გრიგოლ ხანძთელი, იგიც სოლიდარულია დედოფლის მიმართ და ზრუნავს, რომ სამეფო ოჯახი არ დაირღვეს, მაგრამ არის მეორე ასპექტიც: თუკი რომანის პერსონაჟებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი თანამედროვე ადამიანთა ნიშნებსაც კი ატარებენ, მაგრამ თავიანთი არსით მაინც ქართველი ინდივიდუალობებია დროის გარეშე, ისეთნი, ათი საუკუნის წინათაც რომ შესაძლოა ეცხოვრათ და შეიძლება დღესაც შეგვხვდნენ. ეს ფაქტორი კიდევ

უფრო ცოცხლად და არასქემატურად წარმოაჩინეს მათ. ამ შემთხვევაშიც ფრანგი კრიტიკოსის, ჟერარ ჟენეტის თქმისა არ იყოს, „ძველიდან ახლის შექმნის ხელოვნებას ის პლუსი აქვს, რომ მისი პროდუქცია უფრო კომპლექსური და მომხიბვლელია, ვიდრე „საკუთარი“ პროდუქტები: ახალი ფუნქცია ზედ დაედება ძველ სტრუქტურას და მასთან ერთად შემოისაზღვრება ერთ წრეში. მათ შორის დისონანსი ამ ერთსა და იმავე დროს თანაარსებულ ელემენტებს მომხიბვლელობას ანიჭებს მთლიანობაში“.

ისტორიკოსები, უკეთეს შემთხვევაში, კონსტანტინე გამსახურდიას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ არ ესმოდათ მისი ლიტერატურული მეთოდი, უარეს შემთხვევაში კი მოქმედებდნენ ხელისუფლების დირექტივით, იმ დროს არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე, თუმცა ისტორიკოსებს თვით შექსპირთან ჰქონდათ სადავო: მისი რიჩარდ მესამე არაერთ ასპექტში ხომ მართლაც წმინდა წყლის ფანტაზიის ნაყოფია. ტრაგედიაში გაცოცხლებულ რიჩარდს, მეტადრე უკიდურესი დესპოტიზმის და ცინიზმის თვალსაზრისით, ბევრი არაფერი აქვს საერთო თავის ისტორიულად არსებულ პირველსახესთან, ხოლო ფლობერი ერთხელ იმდენად გაცხარდა არქეოლოგების კრიტიკით მისი „სალამბოს“ გარშემო, რომ დაწერა, მიმიფურთხებიანო თქვენი არქეოლოგიისთვის.

კონსტანტინე გამსახურდია 20-იან წლებში შემდეგნაირად ჩამოაყალიბებდა საკუთარ კულტურულ პროგრამას: „მე არ ვმალავ: დიდ კულტურაზე ვოცნებობ. კრიტიკულად ვუცქერი როგორც ქართული კულტურის წარსულს, ისე თანამედროვე ევროპას. ჩვენ უნდა გადავლახოთ ქართული კულტურის ეთნოგრაფიული მიჯნები. ძველი ქართული კულტურა პროვინციალური იყო, ახალი მსოფლიო კულტურა ურბანისტულია“. რამდენადაც მწერალი მიზნად ისახავდა სტილისა და იდეების უნივერსალიზებას, იმავედროულადვე – ფასეულობათა შენაჩუნებას კომუნისტური ანექსიის შემდეგ. ამ პერიოდის გამოსვლებში ხშირად გვხვდება ისეთი მოწოდებანი, როგორებიცაა:

„ღირებულებათა ხელმეორედ შეფასება“, „ქართული სულის რენესანსი“, კულტურული სააღყო წესები“ და ა. შ.

ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია ისიც, რომ გერმანიაში განსწავლის წლებში მწერლის აზროვნებაზე გავლენა მოახდინეს გერმანული „კონსერვატიული განახლების“ წარმომადგენლებმა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მწერალმა ესეები მიუძღვნა ამ მიმდინარეობის ყველაზე ელვარე წარმომადგენლებს, როგორც სტეფან გეორგეს, ისე ჰუგო ფონ ჰოფმანსტალს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემთხვევაში საქმე გვაქვს ისტორიზმის როლის თავისებურ გააზრებასთან. მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო კულტურის ისტორია, წერისას პრიორიტეტს ყოველთვის შემოქმედებითობას ანიჭებდა. მისი ხედვა, ერთი მხრივ, „მონუმენტურია“ – ფრ. ნიცშეს ტერმინი რომ გამოვიყენოთ – მისი გმირები ზნეობრივ, მაგალითს გვაძლევენ თავიანთი ისტორიული პროტოტიპების მსგავსად. ამის პარალელურად „დიდოსტატის“ ბევრ პასაჟში ხედვა „ზეისტორიული“ ხდება, რამდენადაც სცდება კონკრეტული ეპოქის ჩარჩოს, ნაწარმოების ბოლოს რჩება ორი მთავარი გმირის პიროვნული იდენტიფიკაციის ისტორია – ერთისა, როგორც ქვათა უტყვი ჰარმონია, მეორისა – როგორც თავისი აღსარება-ანდერძი.

„დიდოსტატში“ მწერლის მიზანია თავისი სათქმელი ისეთნაირად თქვას, რომ ისტორიული სინამდვილის შთაბეჭდილება შექმნას. ასე, მაგალითად, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, ვენელი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და კულტუროლოგი 1927 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელშიც განიხილავს რიჩარდ ვაგნერის ოპერას, „ნიურენბერგელ მაისტერზინგერებს.“ ამ ოპერის შესახებ კრიტიკოსებს აღუნიშნავთ, რომ მასში ისტორიული ნიურენბერგი იმდენად ვერ ამოიცნობა. ჰოფმანსტალი წერდა: „გადამწყვეტი ელემენტი, რომელიც საკუთარ თავზე იტვირთავს ყველა დანარჩენს, არის თვით ნიურენბერგი. ეს ქალაქი, რომელიც 30-იან წლებში ჯერ კიდევ თავისი

პირვანდელი სახით იყო შენარჩუნებული, არათუ აირეკლავდა გერმანიის სულიერ ცხოვრებას და გონება-განწყობილებას, არამედ პირდაპირ თვალწინ წარმოგიდგენდათ მას და გახლდათ რომანტიკოსთა უმთავრესი განცდის საგანი... არნიმიდან და ჰოფმანიდან რომანტიკის დამასრულებლამდე, ანუ რიხარდ ვაგნერამდე. ამ ოპერის დაურღვეველ სინამდვილეს წარმოქმნის ის, რომ იგი კვლავ აცოცხლებს დახშულ სამყაროს, ოდესღაც არსებულს“. აქ ნახსენები შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობდა ანაქრონიზმების დაშვებას. საინტერესოა, რომ თავის ამ ორიენტაციას იგი „პროდუქტიულ ისტორიზმს! უწოდებდა.

იგივე ეთქმოდა კონსტანტინე გამსახურდიას იმ მცხეთაზე, რომელიც თავის ისტორიულ რომანში გააცოცხლა. მის მკითხველს არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ იმ მცხეთის ისტორიულობა, რომელიც რომანშია დახატული. მისთვის იგი ნამდვილ და სარწმუნო სამყაროდ რჩება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მწერლის მიზანია თავისი სათქმელი ისეთნაირად თქვას, რომ ისტორიული სინამდვილის შთაბეჭდილება შექმნას – დაახლოებით ისე, როგორც ეს ჟერარ ჟენეტის ზემოთმოტანილ დაკვირვებაშია მოცემული.

10-იანი და 20-იანი წლების ევროპული მოდერნიზმის დამახასიათებელი სულისკვეთება, რომელიც მწერალმა „დიონისოს ლიმილში“ წარმოაჩინა, არც შემდგომში უარყვია. როგორც დიდოსტატის მარჯვენის“, ისე „მთვარის მოტაცების“ შესწავლა საინტერესო იქნებოდა არა მარტო ექსპრესიონიზმის, არამედ „კონსერვატიული განახლებისა“ და მოდერნის კონტექსტშიც. ეს არც წარსულის რესტავრაციაა, არც ტრადიციების უარყოფელი ავანგარდიზმი, არამედ, ჰოფმანსტალის სიტყვებით, რომ ვთქვათ, პროდუქტიული ისტორიზმი, საიდან გამომდინარეც კონსტანტინე გამსახურდიამ არა მარტო განახლების იმპულსი მისცა ეროვნულ კულტურას, არამედ შექმნა, სრულიად თვითმყოფადი სალიტერატურო ენა. ამ ენის ფესვები ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში, „ქართლის ცხოვრებაში“ და რუსთაველთანაა საგულვეტელი.

● და რა არის ის ისტორიული მონაცემი, რაზეც ამ ნაწარმოების ქარგა აიგო? სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახული ხელი გონითი, რომელმაც შთააგონა „დიდოსტატის“ ავტორი, წესით, ამშენებლის ხელია და შესაბამისი წარწერაც ამაზე უნდა მეტყველებდეს – „ხელი მონისა არსუკიძისაი, რათა შეუნდოთ“ (ერთ-ერთი ძველი წაკითხვა, ნატროვეისდროინდელი, ანუ მე-19 საუკუნის მიწურულს ან ცოტა მერე ასეთიც კი იყო – „ხელი მონისა არს კონსტანტინესი“, რომელიც მოგვიანებით უარყვეს ეპიგრაფიკოსებმა). როგორც არქიტექტორმა, ოთარ ქვრივიშვილმა, სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ დაწერილ წიგნში აღნიშნა, ამ ნაწარმოებში აღწერილი ამბავი ბევრი თვალსაზრისით ემთხვევა იესო ქრისტესა და მისი მოციქულების ეპოქაში მორიას ბორცვზე ჯერ კიდევ მდებარე, რამდენიმე საუკუნით ადრე მეფე სოლომონის მიერ აგებული იერუსალიმის ტაძრის ლეგენდას: ერთი მხრივ, დიდოსტატი არსაკიძე – მეფე გიორგი – შორენა, მეორე მხრივ – ხუროთმოძღვარი ჰირამ აბიფი – მეფე სოლომონი – საბაელთა დედოფალი. ტაძარი რომის იმპერატორმა, ტიტუსმა დაანგრია და დღეს მისგან მხოლოდ გოდების კედელია დარჩენილი, თავად ტაძრის ადგილზე კი ალ-აქსას მეჩეთი დგას. სვეტიცხოვლის შემთხვევაში ხუროთმოძღვრის ბედზე თითქოს მეტყველებს ხალხური ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს“. ხეკორძი სოფელია ძეგვის თემში, ხეკორძულა კი მცირე ზომის მდინარეა არმაზთან, რომელიც მტკვარს ერთვის.

ნაწარმოების ტექსტში მეფე ხუროთმოძღვარს ეჭვიანობის ნიადაგზე ხელის მოკვეთას მიუხედავად; აპოკრიფის ტექსტში მეფე სოლომონმა იმის გამო, რომ საბაელთა დედოფალმა ჰირამს უპირატესობა მიანიჭა, მფარველობა მოუხსნა მას, რის შემდეგაც იგი სამმა მოლალატე შეგირდმა მოკლა. ეს ლეგენდა ევროპაში „თავისუფალმა ქვისმთლებებმა“ გადაიღეს. ამიტომაც ლოჟაში მიღების კანდიდატს სამჯერ ეკითხებიან, აქვს თუ არა მას მონაწილეობა მიღებული ჰირამის მკვლე-

ლობაში, რაც მან სამივეჯერ უნდა უარყოს. რამდენადაც ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახული ეს მკლავი გონიოთი მასონურ, ანუ მსოფლიოში გავრცელებულ „თავისუფალ ქვისმთელთა“ ლოჟების სიმბოლიკას ჰგავს, ცხადია, დაისვა კითხვა, არის თუ არა მათ შორის რაიმე კავშირი. ცხადია, ასეთი მიმართება ვერ იარსებებს ერთი უბრალო მიზეზის გამო – ეს მოძრაობა ევროპაში მე-11 საუკუნეზე 4-5 საუკუნით გვიან შეიქმნა. საქმე პირიქით უფროა – მათ თავად გადაიღეს ეს სიმბოლოები და აპოკრიფული ნარატივიც. ისიც საინტერესოა, რომ ლოჟის რიტუალში, რომელშიც იერუსალიმის სოლომონის ტაძრის მშენებლობაა თემატიზებული, ფიგურირებენ შეგირდები, (დაბალი საფეხურები), ოსტატები (შუა საფეხურები) და დიდოსტატი, (უმაღესი საფეხური) ხოლო გონიოს გადაცემა იქ ერთ-ერთი რიტუალია.

უნდა ითქვას, რომ ეს გამოსახულება თავისი მნიშვნელობით ორივეა – ერთი მხრივ, ამ ტაძრის კონკრეტული ამშენებლის (რახან მინერილიც აქვს ხუროთმოძღვრის გვარი არსუკიძე, რომელშიც მწერალმა ერთი ასო შეცვალა), მეორე მხრივ, კი სამყაროს დიდი არქიტექტორის მარჯვენა, ეს კი ვინ უნდა იყოს, ძნელი გამოსაცნობი არ არის. იოანეს სახარებაში ქრისტე ამბობს, იერუსალიმის ეს ტაძარი დაანგრეთ და სამ დღეში აღვადგენო. ამასთანავე მასონური კონცეპტით ღმერთი სამყაროს დიდი ხუროთმოძღვარიცაა. ერთ-ერთ მანიქეურ უძველეს სირიულ-არამეულ ენაზე შედგენილ ტექსტში ქრისტეს ეწოდება ბან რაბბა – „სამყაროს დიდი ხუროთმოძღვარი“. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) წერდა, რომ მამა-ღმერთის ორი ხელი, რომლითაც ის სამყაროს ქმნიდა, იყო ძე და სულიწმინდა.

ტაძარი მიკრომოდელში იძლევა როგორც ერთიან მატერიალურ სამყაროს, ისე ადამიანის სხეულსაც. ანუ ადამიანის სხეული ტაძარია, რომელშიც სწირავს სული და როდესაც იოანე სახარებაში ამ ამბავს ყვება, იქვე ურთავს, რომ ქრისტე ტაძრის დანგრევასა და აღდგენაში თავისი სხეულის სიკვდილს და მე-

სამე დღეს მკვდრეთით აღდგომას გულისხმობდაო, თუმცა მნიგნობრებმა და ფარისევლებმა ეს ამბავი, ცხადია, ვერ გაიგეს და ის იერუსალიმის ტაძრისადმი მტრობაში დაადანაშაულეს.



გერმანისტიკის პროფესორი, კოკა ბრეგაძე თავის კვლევაში სრულიად მართებულად აღნიშნავს, რასაც ამ წერილის დასაწყისშივე შევეხე: „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ მე-19 საუკუნის „ტრადიციული“ ისტორიული რომანი კი არაა, არამედ იგი სწორედ რომ „მოდერნისტული“ „ისტორიული რომანია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რომანის ფარგლებში ავტორის თანამედროვე აქტუალური, მოდერნული პრობლემატიკაა უკუფენილი: კერძოდ, ა) ნოვატორი ხელოვანისა და მაღალი ხელოვნების ხვედრი ტოტალიტარულ სახელმწიფოში, ბ) „წმინდა“ ხელოვნება, როგორც ტოტალიტარული სივრცის ალტერნატიული სივრცე და ტოტალიტარულ სახელმწიფოში გაბატონებული ერთადერთი სახელოვნებო დოქტრინის – „სოცრეალიზმის“ – ალტერნატივა.“ აქვე მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებს შემთხვევით არ ეწოდება „რაინდული რომანი“. რაინდობა საკუთრივ ავტორისეული კონცეპტია და სემანტიკურად ექვემდებარება რომანის ზოგად ჩანაფიქრს, კერძოდ, რომანის ნიცშეანურ დისკურსს: ამ კონტექსტში რაინდობა მიანიშნებს პერსონაჟების (მეფე გიორგისა და კონსტანტინე არსაკიძის) ზეკაცურ ეთიკაზე, რითაც ისინი უპირისპირდებიან არსებულ ინსტიტუციონალიზებულ იდეოლოგიასა (ქრისტიანობა) და ინსტიტუციის (ეკლესია) მიერ წარმოებულ „ჯოგის მორალს“. თავის მხრივ, რომანის პერსონაჟების ეს ზეკაციური ეთიკა იგივე ნიცშეანური Amor fati-ს, ანუ ბედისწერის სიყვარულის ეთიკაა“.

და როგორია ზეკაცის კონცეპტი ნიცშესთან? „ზეკაცი“ (Uebermensch) ისაა, ვისაც იმ მასშტაბით აქვს „ნება ძალაუფლებისკენ“, რომ ქმნის საკუთარ ფასეულობებს და აკანონებს მათ სხვებისთვის. იგი ახალ საზრისებს უქმნის მათ, ვისაც ეს არ შეუძლია. ეს კონცეპტი მან ზარა-

ტუსტრაში ჩამოაყალიბა. ადამიანი ნიც-შესთვის ბაგირია, რომელიც ცხოველსა და ზეადამიანს შორისაა გაჭიმული. ზეკაცი დაღუპული ღმერთის მემკვიდრეა, მან უნდა დაიკავოს ღმერთის ადგილი. და ზეკაცს რა თვისებები უნდა ჰქონდეს? ესაა ზეინდივიდუალიზმი, შემოქმედებითობა, ახლის შექმნის უნარი, რაც საკუთარი თავის მუდმივად სრულქმნაა. ზეკაცის გზაზე სამი საფეხურია – აქლემი, როდესაც ის ძველი იდეალების და ილუზიებს ჯერ კიდევ ინარჩუნებს; იგი, როგორც აქლემი წყალს, ისევე აგროვებს ცოდნას და მის სანდოობაში ეჭვი არ შეაქვს. აქლემი ვილაცამ უნდა ატაროს, მას მხოლოდ დათანხმება შეუძლია. შემდეგ მოდის ლომი, რომელიც აღარ ეთანხმება არაფერს, იგი უარყოფს. „მე ვალდებული ვარ“ იცვლება „მე მინდა“-თი. იგი ძველი წარმოდგენების ნგრევას, დეკონსტრუქციას იწყებს. ბოლოს ლომი იქცევა ბავშვად, ის წესებით და ნორმებით აღარაა შებოჭილი, იგი მხოლოდ თამაშობს და ამ პროცესში ახალ საზრისებს ქმნის. აი, აქ იბადება ზეკაცი, რომელიც ყოველივე ცხოველურისა და მონურის უარყოფაა.

ამ თვალთახედვის კუთხიდან თუ წარმოვიდგენთ, არსაკიდის ბიოგრაფიაში „აქლემის“ ეტაპი მონაფეობაა ბერძენ ავრელიოს ალოსტოსთან; ლომისა – სვეტიცხოველთან შეჭიდება და მცხეთაში მეფისა და კათალიკოსის მიერ დანესებული თამაშის წესების უარყოფა. იგი „ბავშვის“ ეტაპს ბოლოს აღწევს, როდესაც თითქმის დასრულებული ტაძრის დანახვისას იტყვის „იქმენინ ნათელი.“ ეს სიტყვები ტაძრის კურთხევისას ითქვა, რომელიც დასრულებული მაშინაა, როდესაც ხალხითაა სავსე და როდესაც იქ თქმული სიტყვა და ღვთისმსახურება შეკრებილთა გულებს მოიცავს. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ მომაკვდავის სიზმარულ ჩვენებაში ხედავს თავისი ბავშვობის ხატებებს, ასევე დედას ფხოველი ქალის სამოსელში, თუმცა მას, როგორც „ბავშვს“ უკვე აღარ ეწერა გაეგრძელებინა ხელოვნების მსახურება: დრამის კვანძი მისი სიკვდილით იკვრება.

ნიცშესეული რეცეფცია საცნაურია ფარსმან სპართან მიმართებაშიც, რომელიც ერთგვარად „სიკეთისა და ბოროტე-

ბის მიღმა“ მდგარი ფიგურაა. ამის დასტურად კოკა ბრეგაძის აღნიშნულ სტატიაში მოყვანილია ის ლექსი, რომელიც ფარსმანმა არაბულად ამოიკითხა ხეოფსის პირამიდაზე ეგვიპტეში ყოფნისას და შემდგომ იმდენად გულში ჩასწვდა, რომ მის კრეოდ ქცეულა. ამ ლექსში ინდივიდუალური ნების გამოკვეთაზეა საუბარი და „უკანასკნელ ადამიანობაზე“ უარის თქმაა. ამისთვის უნდა დატოვო „სექტა“, როგორც ვილაცების ნებითა და სურვილებით განპირობებული კრებული, მეფეთა წყრომა უნდა დაიმსახურო, როგორც სულით აზნაურმა და ინდივიდუალისტმა, ხოლო „უსამშობლოობა“ ტრადიციული, კომფორტული მორალის ჩარჩოებიდან გასვლაა. თავად მისი მეორე სახელი „სპარსი“ ასევე კოსმოპოლიტურობაზე მიუთითებს, რამდენადაც სპარსული კულტურა ბერძნულ-ლათინურ და არაბულ კულტურებთან ერთად იყო კიდევ მსოფლიო მასშტაბის მოვლენა. ამავე ლექსში მაღალი სოციალური სტატუსის უარყოფაცაა ნაგულისხმები, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ნანარმოებიდან ჩანს, უკვე მოხუცებულობის ასაკს მიტანებული ფარსმანი ვერ შეეღევა მეფის კარზე ხუროთმოძღვრის სტატუსის დაკარგვას და შურისძიების გრძნობა მოიცავს. როგორც შური, ისე შურისძიება შეიძლება ადამიანურია, მაგრამ ზეკაცისთვის გამოუსადეგარია. ამიტომაც ფარსმანი საბოლოო ჯამში ზეკაცის გზაზე დაცემული სახეა.

მეფე გიორგი ნიცშესეული ზეკაცობის გზაზე პირველ სტადიას გადის მაშინ, როდესაც ბიზანტიის მიერ დამკვიდრებულ თამაშის წესებს ასე თუ ისე ერგება, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ბიზანტიელებს ვერ პატიობს თორნიკე ერისთავის სამხედრო კამპანიაში ქართული ჯარის სისხლით მოპოვებული მიწების ისევე წაგლეჯვას. თითქოს ლომივით ბრძლვინავს და იცავს სახელმწიფოს. მეფე, თავისი განწყობიდან გამომდინარე, ინდეპენდენცია, ხოლო ბიზანტიელებს „ქურდებად“ მოიხსენიებს, ვინც ენაც, რჯულიც, ტერიტორიებიც სხვებისგან ისესხეს ან სხვებს წაართვეს, სინდისი კი უბრალოდ არ დასჭირვებიათ, რომ ისიც ვინმესთვის წაეგლიჯათ. იგი „ბავ-

შვია“ სიკვდილის წინ, როდესაც დაჭრილ ირემს წამოიკიდებს თრიალეთის ტყეებში თავის მალემსრბოლთან ერთად წასული, მას შემდეგ, რაც შეიტყობს შორენას სიკვდილს (მდრ. იზოლდეს გიბესტოდ, „სიკვდილი სიყვარულისგან“, ვაგნერისეული ოპერიდან „ტრისტან და იზოლდე“.), თუმცა არსებობს რაღაც, რაც ინსტიტუციონალიზებული ქრისტიანობის კრიტიკისას უთქმელი დარჩა ფილოსოფოს ნიცშეს: ეს არის ის სხვა ქრისტიანობა, რომელიც შაბათ-კვირის რუტინად და ცარიელ რიტუალად, მხოლოდ აკრძალვების სისტემად ქცეული რელიგიის პარალელურად არსებობდა. ამაზე ნიცშე არასოდეს დაფიქრებულა და ეს ახსნადია: იგი იმ ეპოქის შვილი იყო, სადაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრულიად გაბატონდა მატერიალისტურ თვალსაზრისებზე დაფუძნებული ბუნებისმეტყველება. ასე, მაგალითად, ნიცშეს „მარადიული დაბრუნების“ იდეა მატერიალისტი ფილოსოფოსის და ეკონომიკის თეორეტიკოსის ეუგენ დიურინგის თეორიასთან პირდაპირ მიმართებაშია. ამ თემის წარმოჩენისას არც ის ფაქტი იმსახურებს უგულებელყოფას, რომ კონსტანტინე გამსახურდია 20-იანი წლების თბილისში „ქრისტიან მისტიკოსთა საზოგადოების“ დამაარსებელი იყო. როგორც არსაკიძეს, ისე გიორგი მეფეს თავიანთი მიმართება აქვთ ღმერთთან, ხოლო ნიცშესეული სენტენცია რომ „ღმერთი მოკვდა“ რელიგვანტური აღარ არის, როდესაც საუბარი იწყება განღმერთობის, იგივე კეთილი ღვთისმბრძოლობის რელიგიაზე. ეს ტერმინი გვხვდება ზვიად გამსახურდიას წერილში „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“. წერილში ვკითხულობთ, რომ ამიტომაც ხატავს მწერალი იაკობის და ღმერთის ორთაბრძოლის სურათს, ხოლო ამის დასტურად მოჰყავს თავად არსაკიძის სიტყვები, რომელსაც შორენას ეუბნება: „მხოლოდ დღეს მივხვდი ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც თუ ისე მრუდედ წარუმართავს არსთა განმგებელს, ყველაფერი იმისთვის შეემთხვება ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს. გჯეროდეს ჩემო, საპატიო ვალია კაცი-სა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ

თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქე“. არსაკიძემ წირვაზე ყოფნისას, სადაც კათალიკოსის ქადაგების დასრულების შემდეგ უზარმაზარი ბრბო მელქსიდეკისტვის ხელზე სამთხვევად დაიძრა, დაინახა, როგორ გაისრისა წყლებტაში მოყოლილი ორი ბავშვი. ამ სცენამ იმდენად შეზარა, რომ ტაძარს საერთოდ აღარ ეკარება. ამის გამო ეზოსმოდვარმა ამბროსიმ რამდენიმეჯერ შენიშვნაც მისცა: ღვთისმსახურებაზე ვერ გხედავენო ლაზო. არსაკიძე მაძიებელი სულია, ნიცშეს და დოსტოვესკის მსგავსად, ვერც მან იპოვა ქრისტე და ქრისტიანობა იმ სოციალურ რეალობაში, რომელშიც ცხოვრება უწევდა. მისი თანამედროვე საეკლესიო მენისტრიმი ბიზანტიურ მოდელს ბაძავს და მონარქიას შეზრდია, იგი გვარიანად დაცილებულია ქრისტიანულ იდეალებს.

თუკი დაისმება საკითხი, რა უნდა იყოს ღმერთთან კეთილი შერკინების იდეა და მისი თეოლოგიური საზრისი, ამაზე ქრისტიანულ მოძღვრებას თავისი პასუხი აქვს, რომელიც გადმოცემულია წმ. გრიგოლ პალამასთან დაკავშირებულ სწავლებაში საღვთო მადლის შესახებ. ეს გულისხმობს ღმერთის ძიებას, მასთან პირისპირ შეხვედრას, მასთან მოუკლებლივ დადგრომას და არ განშორებას მისი მადლისაგან. ეს გადმოცემულია თუნდაც ლუკას სახარებაში, როდესაც ემაუსში მოწაფეებმა არ გაუშვეს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი, რომელიც მწირის სახით გამოეცხადა მათ და ბოლოს თავი აკურთხებინეს. ასეთია იაკობისა და ღმერთის შერკინების თეოლოგიური გააზრება. ამრიგად, იაკობი-არსაკიძე ღმერთს კი არ ებრძვის, არამედ მას აქვს შინაგანი პროტესტი საეკლესიო მენისტრიმის მიმართ, რომელიც თავისი ნომინალიზმით და კონფორმიზმით მთლიანად პოლიტიკას ემსახურება. იგი აქ დაახლოებით ისევე მსჯელობს, როგორც მე-4 საუკუნის ალექსანდრიელი მათემატიკოსი ქალი ჰიპათია: „ჩამოყალიბებული, ოფიციალური და დოგმატური რელიგია ახდენს გონებათა პარალიზებას და ამავე დროს კაცობრიობას აზროვნების უნარს ართმევს“. ღმერთი „მგლისფერი თვალებით“, რომელიც რომანის ფინალში მოევილინება აგონიაში

მყოფ ხუროთმოძღვარს, არის არა სიყვარულის და თავისუფლების მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო, არამედ ძალაუფლების, შიშისა და უპირობო მორჩილების არქონტი, რაც ქრისტიდან ადამიანებმა თავიანთი მიზანშეწონილებიდან გამომდინარე შექმნეს.

ზვიად გამსახურდია იქვე აღნიშნავს, რომ ფაუსტური გაორება გიორგი მეფესაც ახასიათებდა, ხოლო წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლა თამაშდებოდა არა მარტო ისტორიის ასპარეზზე, არამედ ადამიანთა გულებშიც. მეფესაც შერყეული აქვს რწმენა წარმართული ჰედონიზმის, ფარსმანისეული ასტროლოგიისა და მაგიის გავლენით, თუმცა იგი მაინც ქრისტიანობას ხედავს იმ უმთავრეს დუღაბად, რამაც ქვეყანა უნდა გააერთიანოს. იგი სამეფოს ინტერესებს მთელი არსებით ემსახურება და არაფერი პირადული ინტერესი არ ამოძრავებს.

გიორგი მეფის მონოლოგი სიკვდილის წინ არის, ერთი მხრივ, მისი პოლიტიკური ანდერძი, მეორე მხრივ, კი – ერთგვარი აღსარება. მონოლოგის პოლიტიკურ ნაწილში იგი მიანიშნებს ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის აუცილებლობაზე, სადაც უნდა დასრულდეს შუღლი აფხაზებსა (ის უნდა გულისხმობდეს როგორც „აფსარებს“, ისე ლაზ-მეგრელებს) და ქართველებს შორის და აქვე ახმოვანებს იდეას ბაგრატიონთა დინასტიის ლაზურ წარმომავლობაზე. იგი მიანიშნებს, რომ ბევრიაო ისეთი ადამიანი, ვისაც საერთოდ არ გააჩნიაო შინაგანად გამარჯვების არანაირი სურვილი. მისი თქმით, ორგულები და მტრული, მეზობელი იმპერიების დამპყრობლურ ინტერესებზე ორიენტირებულნი ვერასოდეს გაიმარჯვებენ – „რადგან არასდროს გაუმარჯვიათ მშიშრებსა და მსტოვრებს“. მეფე თავის მონოლოგში მოუწოდებს საკუთარი ეროვნული და კულტურული ფასეულობების უფრო მეტად დაფასებისკენ, ვიდრე ეს ქართველთა ერთ ნაწილს სჩვევია. „ღალატი“ არის პირდაპირი გაგებით სრულიად შეგნებული მავნე და დესტრუქციული ქმედება, თუმცა არის მეორენაირიც – აგრესიულად ანტისახელმწიფოებრივი პოზიციონირება, როგორც საკუთარი თავის ღალატი. მო-

ნოლოგის აღსარებით ნაწილში კი მეფე მიანიშნებს, რომ ყოველივე ის, რაც მან დააშავა, მხოლოდ ადამიანური სისუსტეების გამო მოხდა, თუმცა, მისი თქმით, ძირითადად და არსებითში მას არასოდეს გამოუჩენია რაიმე სახის კომპრომისი და ღალატი, რაც შეეხება საკუთარი ქვეყნის უანგარო და თავდადებული მსახურებას, მუხლჩაუხრელ ბრძოლას მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის. ასევე ღრმად სიმბოლურია მეფის სიკვდილი შორენას საყვარელ ირემის ნუკრთან, ნებიერასთან ერთად. ირემი ზოგადად ქრისტიანულ სახისმეტყველებაში განასახიერებს ქრისტიანობას და მასთან დაკავშირებულ იმპულსს. იგი გარდაიცვლება სულთათანას ლოცვის სმენით, როგორც ქრისტიანი.

რამდენადაც ეს რომანი 1939 წელსაა დასრულებული, მასში იგრძნობა სტალინური ეპოქის სუნთქვაც. არსებობს მოსაზრება, რომ გიორგი პირველის პროტოტიპი სინამდვილეში სტალინია. ეს არანაირად არ შეესაბამება სინამდვილეს. გიორგი შუასაუკუნეების ქართველ მეფეთა კრებსითი სახეა, თავისი დილემებით. თუ მწერალს სტალინის განდიდება სურდა, მეფეს ამდენ ნაკლს არ მიანერდა და თუ მისი კრიტიკა სურდა, მაშინ მას, პირიქით, ბევრად უარყოფითი თვისებებით დატვირთავდა. გიორგი პირველი არანაირად არ ჰგავს სტალინს თუნდაც ორი მიზეზის გამო: პირველი ის, რომ, სტალინისგან განსხვავებით, ის არ ყოფილა ასკეტური ცხოვრების მაგალითი ხალხის მასების თვალში, მეორეც, მეფის დიქტატურა ახლოსაც ვერ მივა სტალინურ დიქტატურასა და რეპრესიებთან. გიორგი პირველი არაერთ შემთხვევაში იძულებულია ანგარიში გაუწიოს ეკლესიას და მის იერარქებს, განსხვავებით სტალინისგან, რომელმაც ამ რომანის გამოსვლამდე ორი-სამი წლით ადრე ათი ათასობით ღვთისმსახური დახვრიტა, ამაზე მეტი კი „გულაგის“ სისტემაში გაამწყვდია, როგორც ამას აღნიშნავს რუსი საეკლესიო ისტორიკოსი, ლევ რეგელსონი.

ნაწარმოებში საინტერესო რეფრენია ჩართული – „ვაჟკაცურად ებრძოდა წინამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“. აქ შესაძლოა, ერთი მხრივ, ხუროთმოძ-

ღვარი არსაკიძის ინდივიდუალიზმი ვიგულისხმობთ, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებითი პოზიციონირებით და საკმაოდ შეზღუდულ სოციუმში თავისი მოქცევის წესით თავისუფალ ადამიანად რჩება – რამდენადაც „დიდოსტატი“ იმავდროულად წარმოაჩენს ინდივიდის ძალისხმევას შინაგანი თავისუფლებისკენ, ამ ფრინველს საერო, ზეპური კულტურის სურათ-ხატის ფუნქციაც აქვს. იგი სიმამაცის, სიფხიზლის, გონების სიმბოლოა, რომელიც ღამის სიბნელეს ებრძვის – გაუთვითცნობიერებლობის, გაუნათლებლობის, არათავისუფლების, უინიციატივობის მდგომარეობას. ეს ყოველივე პოლიტიზირებულმა კლერიკალებმა და ადგილობრივმა ფეოდალურმა ტირანიამ ერთად დაამკვიდრეს. იგივე განწყობა პირდაპირ ეხმიანება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ერთ ადგილს, სადაც მწერალი, როგორც მე – მთხრობელი ბნელ ღამეს ასე მიმართავს: „შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარველ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!“

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლსა და სამღვდელოებაში დღესაც არიან ისეთი პირები, რომლებიც „დიდოსტატის მარჯვენაში“ წარმართობის აპოლოგიას და მართლმადიდებლობის უარყოფას ხედავენ, კარგი იქნებოდა ნაწარმოების და მისი პერსონაჟების განხილვა აღნიშნული კუთხითაც: თუკი დაისმება კითხვა, არიან თუ არა მოქმედი გმირები ქრისტიანები, ამაზე შეუძლებელი იქნება დადებითი პასუხის გაცემა. ქრისტიანი ნიშნავს იესო ქრისტეს, მისი ახალი აღთქმის იდეალებით და მცნებებით მაცხოვრებელ ადამიანს, როგორც აზროვნებაში, ისე პრაქტიკაში. არც მეფე გიორგი, არც ხუროთმოძღვარი არსაკიძე და არც შორენა ამ კრიტერიუმებს არ შეესაბამებიან. თუკი მათში რაიმე ქრისტიანულზე საუბარი შეიძლება, ეს იქნება უმაღლ ტრადიციული, ინსტინქტური ქრისტიანობის ელემენტები,

რელიქტის მაგვარი, რომელიც თვითდინებით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ამ ელემენტს კი არ შეიძლება პიროვნების გარდამქმნელი ძალა ჰქონდეს, რაც ადამიანს ქრისტიმდე მიიყვანდა. ჯვრის მოწამვლა და ამ გზით სამეფოს ერთიანობის მტრის უვნებელყოფა მას შემდეგ, რაც ის ამ ჯვარს ემთხვევა, უკიდურესი მაკიაველიზმის გამოვლინებაა. მიუხედავად იმისა, რომ თავად მიზანი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას გულისხმობს, ამგვარი ქმედება არათუ შორს არის ქრისტიანობისგან, არამედ უპირისპირდება მას. შორენასთვის ისედაც უცხოა ქრისტიანობა – იგი მათში გაზრდილი ქალია, ადგილობრივი წარმართობის გავლენას განიცდის და ხატობისკენ მიუწევს გული, ასევე აშკარად სოლიდარულია აჯანყებული მთიელების მიმართ.

ცალკე განსახილველია ქრისტიანული რელიგიის, როგორც ინსტიტუტის წარმომადგენლები – მეღქისედეკ კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი რაჭდენი, ეზოსმოდღვარი ამბროსი და სხვანი. ისინი მხოლოდ იმდენად არიან ქრისტიანები, რამდენადაც ბიზანტიურ თარგზე აგებული თეოკრატიული ტიპის სისტემა ამის საშუალებას იძლევა. თუმცა მონარქიასთან, ჯარსა და სახელმწიფოს სამსახურებთან ერთად ოპერირებადი ქრისტიანობა ვერ იქნება ქრისტესთან ახლოს. ის მხოლოდ ნომინალისტური იქნება, რაც გულისხმობს რელიგიის გამოყენებას პოლიტიკური და პროპაგანდისტული მიზნებით. მეღქისედეკი, იმის ცოდნის გარეშე, რა მოიფიქრეს მეფემ და სპასალარმა ფარსმან სპარსთან ერთად, თავისი ხელით წაიღებს მოწამულ ჯვარს ქორსატეველას ციხეში, რომელსაც ჭიაბერი უნდა ემთხვიოს. რაც შეეხება კოლონკელიძეს, მამამზე ერისთავს, ჭიაბერს და შავლეგ ტოხაისძეს, ისინი თავიანთი ცნობიერებით ისედაც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ქრისტიანობას და წარმართობას უჭერენ მხარს. იგივე შეიძლება ითქვას ფარსმან სპარსის შესახებ, რომელიც არათუ არ ცხოვრობს ქრისტიანულად, არამედ მისი ცხოვრება არაერთი მძიმე ცოდვით, გადაცდომითა და დანაშაულითაა დამძიმებული. თავის ცხოვრებისეულ ფილო-

სოფიას იგი სოფისტური პარადოქსებით გამოხატავს. იგი არც გახრწნილებას და მკრეხელობას ერიდება.

ნაწარმოების ავტორის მიზანი, ცხადია, ტრაგედიის აღწერა იყო. ამიტომაც ეს „არაქრისტიანულობა“ და არასრულყოფილება მთავარი გმირებისა ნებისმიერ შემთხვევაში ხელსაყრელ ფონს ქმნის ამ მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. სხვა შემთხვევას თუკი წარმოვიდგენთ, სადაც პერსონაჟთა გალერეაში მხოლოდ ქრისტიანები და სრულყოფილი ადამიანები იქნებოდნენ, ეს ისტორია შესაძლოა სრულიად უინტერესო გამოსულიყო, როგორც ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან და ეპოქალურ კონტექსტიდან ამოვარდნილი გადამღერება. ტრაგიკულობა ამ კონტექსტში ნიშნავს იმას, რომ ვილაც „დამნაშავე“ ხდება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გარეშე (არსაკიძე და შორენა) ან მისი ჩადენით (როგორც მაგალითად, მეფე გიორგი) და ამის გამო უნდა დამარცხდეს. იგი თავის ბედისწერასთან, რაღაცნაირ წინასწარგანსაზღვრულობასთან შედის დაპირისპირებაში, ხოლო მისი კათარზისი სწორედ ამ დამარცხებაში შედგება: აი, ასე ხდება მკითხველზე მორალური ზემოქმედება.

ორიოდე სიტყვა იმ ლექსზე, რომელიც ჩართულია „დიდოსტატის“ ტექსტში: ამ ლექსს, როგორც ეს რომანში წერია, ვილაც ლაზი კირითხურო მღერის. მასზე შექმნილია სიმღერაც, რომელსაც ჰამლეტ გონაშვილი ასრულებს. საბას პრემიის ერთ-ერთ წარდგენაზე კომპოზიტორმა ნიკა მაჩაიძემ მასზე კომპოზიცია შექმნა, რომელიც იქ შესრულდა. მაშინ ერთ-ერთმა გამოსვლელმა აღინიშნა, რომ ამ ლექსს „თინეიჯერული“ ხასიათი აქვს.

არ ვფიქრობ, რომ ლექსი შინაარსობრივად „თინეიჯერულია“. ის უმაღლესი რუსთველურია თავისი სულისკვეთებით. მასში აშკარად ინიციატია თემატიზებული, ანუ განსაცდელების გავლით ზენა, ღვთიურ სანყისთან შერწყმა, რომელიც „სატროს“ ალეგორიითაა წარმოდგენილი; ისე, როგორც ეს ესმოდათ ქრისტიან ეზოტერიკოსებს, ებრაელ კაბალისტებს

და მუსლიმ სუფიებს. ოღონდ გასაოცარი ისაა, რომ აქ „სატროს“ მინიერიცაა და ზეციურიც – ისევე როგორც რუსთველისეული „ნისტ ანდარე ჯეჰანი“ – ანუ „ის, ვინც არ არის ამქვეყნად“.

ლექსში სული ოთხივე სტიქიას გადის და იმავდროულად ესაა მისი კათარზისიც – თესვისა და ხვნის მიტოვება მიწის სტიქიაა, ადიდებული ჭოროხი და მტკვარი – წყლისა. ცეცხლი ისაა, რომელიც სატროს მოჩვენებით სამყოფელს დანავავს, ხოლო ილუზორულ სიყვარულს ქარი, ანუ ჰაერის სტიქია წაიღებს. რაც შეეხება „ნაფერებ ქმარს“, რომლის მოკვლითაც მე-მთხრობელი იმუქრება, ეს „ოდისეას“ პენელოპესეული საქმროთაგანია და განასახიერებს მხოლოდ ამქვეყნიურ ინტერესებზე მიმართულ ცნობიერებას. ამგვარად, დავინრობულ ცნობიერებაში კი სიყვარულის ადგილი ნამდვილად აღარ არის. ძნელი სათქმელია, რა გვიყვარს ჩვენ სხვა ადამიანში. ეს შესაძლოა იყოს სპირიტუალურად ამოუწურავი არსი, უქმნელი ღვთიური ენერგეტიკისგან მოქსოვილი, რომელსაც ცნობიერად თუ არა, ინსტინქტურად მაინც ვეხებით ან ვჭვრეტთ. თუ ამის აღქმის უნარი საერთოდ არ გვაქვს, არც სიყვარული შეგვიძლია.

„ინიციატია“ მაშინაა სრული, თუკი ზენა, ღვთივსულიერი სამყარო განსაზღვრავს ამ გზაზე დამდგარის პატიოსნებასა და წარმატებას. მისი პასუხიც არ დააყოვნებს, მხოლოდ მინიერ პლანზე ფოკუსირებული კი ყველაფერი შესაძლოა სულ სხვაგვარად დასრულდეს: საერთოდ არც შეიმჩნიონ, რომ ადამიანი ჭოროხისა და მტკვრის გადამლახველია, ხვნასა და თესვაში პირველია, ქარ და ცეცხლგამოვლილი.

ნაწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი როგორც ნიცშეანური, ისე თეოლოგიური რეცეფცია ორივე სახეზეა. ერთი თავისუფალი ხელოვანი გზას აღწერს, იგი ნიცშესეული „ზარათუსტრას“ გზას გადის, მეორე – ღმერთთან კეთილი შერკინების გზას, რომელიც უფლის ძიებაა ყოველგვარი ამაო სუროგატების გარეშე.

ჭარუკი მურაკამი

„ბითლზთან“ ერთად

რაც უცნაურად მეჩვენება ასაკში შესვლისას ის არ არის, რომ დავბერდი. ის არა, რომ ჩემი წარსულის ახალგაზრდული „მე“ უაზროდ, დაბერდა. გასაკვირი ის არის, თუ როგორ გახდნენ ჩემი თაობის ადამიანები ხანდაზმულები, რომ ყველა ლამაზი, მხიარული გოგონა, რომელსაც ადრე ვიცნობდი, ახლა საკმარისად დიდია იმისთვის, რომ ორიოდე შვილიშვილი მაინც ჰყავდეს. ეს ცოტა მაშფოთებს – სამწუხაროც კი არის, თუმცა არასდროს ვწუხვარ იმის გამო, რომ მეც მათსავით დავბერდი.

იმ გოგონების დაბერებით იმიტომ ვნაღვლიანდები, რომ უნდა ვალიარო, ჩემი ახალგაზრდული ოცნებები სამუდამოდ გაქრა. ოცნების სიკვდილი შეიძლება გარკვეულწილად უფრო სევდიანი იყოს, ვიდრე ცოცხალი არსების გარდაცვალება.

ერთი გოგონაა, ქალი, რომელიც ადრე გოგო იყო, ვინც კარგად მახსოვს, თუმცა მისი სახელი არ ვიცი და, ბუნებრივია, არც ის ვიცი, ახლა სად არის ან რას აკეთებს. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემს სკოლაში სწავლობდა და პარალელური კლასელი იყო (რადგან ჩვენს პერანგებზე სამკერდე ნიშნები ერთნაირი ფერის იყო) და რომ მას ძალიან მოსწონდა ბითლზი.



1964 წელი იყო, ბიტლომანიის მწვერვალი. ადრეული შემოდგომა იდგა. ახალი სასკოლო სემესტრი იწყებოდა და ყველაფერი ისევ თავის რუტინას უბრუნდებოდა. ის ძველი სკოლის შენობის გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, ქვედაკაბა უფრიალებდა. იქ მხოლოდ მე ვიყავი. მკერდთან ისე ეჭირა მუსიკალური ალბომი „ბითლზთან ერთად“, თითქოს რაღაც ძვირფასი ყოფილიყო. ოთხი ბითლზის გასაოცარი შავ-თეთრი ფოტო ნახევრად დაჩრდილულიყო. არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ, მკაფიოდ მახსოვს, რომ ეს იყო ალბომის ორიგინალი, ბრიტანული ვერსია და არა ამერიკული ან იაპონური.

იგი ლამაზი გოგო იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაშინ არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მაღალი არ

იყო, მაგრამ ჰქონდა გრძელი შავი თმა, წვრილი ფეხები და სასიამოვნო სურნელი (ეს შეიძლება ცრუ მოგონება იყოს, არ ვიცი). შესაძლოა, იგი საერთოდ არ გამოსცემდა სურნელს. მაგრამ, როცა ჩამიარა, ისე მახსოვს, თითქოს მომავადობელი, მიმზიდველი სურნელი წამოვიდა ჩემი მიმართულებით). მან მომხიბლა – იმ ლამაზმა, უსახელო გოგონამ, რომელსაც მკერდზე ალბომი „ბითლზთან ერთად“ ჰქონდა მიკრული.

გული ამიფანცქალდა, სუნთქვა შემეკრა და თითქოს ყველა სხვა ხმა შეწყდა, თითქოს აუზის ძირში ჩავიძირე. მხოლოდ ზარის ხმა მესმოდა, რომელიც სუსტად რეკავდა ყურებში. თითქოს ვიღაც სასონარკვეთილი ცდილობდა ჩემთვის სასიცოცხლო შეტყობინების გამოგზავნას. ამ ყველაფერს მხოლოდ ათი ან თხუთმეტი წამი დასჭირდა. ეს დასრულდა, სანამ აზრზე მოვიდოდი და კრიტიკული გზავნილი გაქრა, როგორც დილის სიზმარი – საშუალო სკოლის სუსტად განათებული დერეფანი, მშვენიერი გოგონა, ქვედაკაბის კიდეები ფრიალებს, „ბითლზთან ერთად.“

მხოლოდ ერთხელ ვნახე ის გოგო. მომდევნო ორი წლის განმავლობაში, სკოლის დამთავრებამდე ჩვენი გზები ერთხელაც არ გადაკვეთილა. თუ დაფიქრდებით, ეს ძალიან უცნაურია. უფროსკლასელთა სკოლა საკმაოდ დიდი საჯარო სკოლა იყო კობის ბორცვის თავზე, სადაც ექვსას ორმოცდაათამდე მოსწავლე იყო თითოეულ დონეზე (ჩვენ ვიყავით ეგრეთ წოდებული ბეიბი-ბუმერის თაობა, ამიტომ ბევრნი ვიყავით.) ყველა არ იცნობდა ერთმანეთს. სინამდვილეში, მე არ ვიცოდი სახელები და არ ვიცნობდი სკოლის ბავშვების უმეტეს ნაწილს, თუმცა სკოლაში თითქმის ყოველდღე დავდიოდი და ხშირად ვიყენებდი ამ დერეფანს. მაინც საშინლად ვიდარდე, რომ ერთხელაც აღარ მინახავს ეს ლამაზი გოგონა. ვეძებდი ყოველ ჯერზე, როცა ამ დერეფანში მოვხვდებოდი.

ნუთუ კვამლივით გაუჩინარდა? თუ ადრეული შემოდგომის იმ დღეს, ვნახე

არა რეალური პიროვნება, არამედ რაღაც ხილვა? შესაძლოა, იმ მომენტში, როცა ერთმანეთს ჩავუარეთ, მისი იდეალიზაცია მოვახდინე გონებაში. კიდევ ერთხელ რომ მენახა, ვერ ვიცნობდი? (ვფიქრობ, ბოლო შესაძლებლობა ყველაზე სავარაუდოა.)

მოგვიანებით რამდენიმე ქალი გავიცანი და პაემანზეც წავედი და ყოველ ჯერზე, როცა ახალ ქალს ვხვდებოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გაუცნობიერებლად მინდოდა იმ კამკამა მომენტის გაცოცხლება, რომელიც სკოლის ბნელ დერეფანში განვიცადე ჯერ კიდევ 1964 წლის შემოდგომაზე. ეს ჩუმი, დაჟინებული მღელვარება გულში, სუნთქვის გაძნელება მკერდში, ნაზად მრეკავი ზარი ყურებში.

ზოგჯერ ვახერხებდი ამ გრძნობის აღდგენას, ზოგჯერ ვერა. რამდენჯერმე შევეძელი კიდევ მისი დაჭერა, მაგრამ თითებიდან გამივარდა. ნებისმიერ შემთხვევაში ამ დროს მომატებული ემოციები ერთგვარი საზომი იყო, რომელსაც ჩემი ლტოლვის ინტენსივობის გამოსათვლელად გამოვიყენებდი.

როცა რეალურ სამყაროში ამ შეგრძნებას ვერ ვიღებდი, ჩუმიად ვაძლევდი ამ გრძნობას უფლებას, მესხიერებაში გაღვიძებულიყო. ამ გზით მესხიერება გახდა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ემოციური ინსტრუმენტი, გადარჩენის საშუალებაც კი. თბილი კნუტის მსგავსად რბილად დახვეულს ქურთუკის ჯიბეში ღრმად ეძინა.

ბითლზის შესახებ

იმ გოგონასთან შეხვედრამდე ერთი წლით ადრე, ბითლზი პირველად გახდა უაღრესად პოპულარული. 1964 წლის აპრილისთვის ამერიკული სინგლების ჩარტებში ტოპხუთეულში ადგილი უკვე მოპოვებული ჰქონდათ. პოპმუსიკას მსგავსი არაფერი ენახა. ეს იყო ხუთი ჰიტი სიმღერა: (1) “Can’t Buy Me Love;” (2) “Twist and Shout;” (3) “She Loves You;” (4) “I Want to Hold Your Hand;” (5) “Please Please Me.” მხოლოდ სინგლს

“Can’t Buy Me Love” ჰქონდა ორ მილიონზე მეტი წინასწარი შეკვეთა, რამაც ის ორმაგად პლატინის გახადა რეალური ჩანაწერის გაყიდვამდე.

ბითლზი, რა თქმა უნდა, იაპონიაშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩართავდით რადიოს და დიდი შანსი იყო, რომ მათი ერთ-ერთ სიმღერა გაჟღერებულყო. მეც მომწონდა მათი სიმღერები და ყველა ჰიტი ვიცოდი. თუ მთხოვდით მემღერა, პრობლემა არ იყო. სახლში, როცა ვმეცადინებოდი (ან თავს ვიკატუნებდი, რომ ვსწავლობდი), უმეტესად რადიოს ვალრიალებდი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არასდროს ვყოფილვარ ბითლზის მხულვარე გულშემატკივარი. მათ სიმღერებს აქტიურად არასდროს ვეძებდი. ჩემთვის ეს იყო პასიური მოსმენა, ჩემი პანასონიკის ტრანზისტორი რადიოს პანანინა დინამიკებიდან პოპმუსიკა, საკმაოდ სწრაფად, ერთ ყურში შედიოდა და მეორიდან გამოდიოდა. ჩემი სიყმაწვილის ფონური მუსიკა. მუსიკალური ფონი.

არც საშუალო სკოლაში და კოლეჯში ბითლზის არც ერთი ჩანაწერი არ მიყიდა. მე უფრო მეტად ჯაზისა და კლასიკური მუსიკის მოყვარული ვიყავი და სწორედ მათ ვუსმენდი, როცა მუსიკაზე მინდოდა ფოკუსირება. ფულს ვიზოგავდი ჯაზის ჩანაწერების შესაძენად, მაილს დევისისა და თელონიუს მონკის მელოდებს ვითხოვდი. ჯაზ-ბარებში და კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დავდიოდი.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის ასაკში ვიჯექი და ვუსმენდი „ბითლზს“ თავიდან ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მტოვებდა ჩვენი სკოლის დერეფანში გოგონას გამოსახულება მკერდზე მიხუტებული ალბომით, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ მინდოდა მისი მოსმენა. განსაკუთრებით არ მაინტერესებდა იმის ცოდნა, თუ რა სახის მუსიკა იყო ამოტვიფრული ვინილის დისკის ლარებში, რომელიც გოგონას მკერდზე ასე მჭიდროდ მიეხუტებინა.

როდესაც დაახლოებით ოცდათხუთ-

მეტი წლის ვიყავი, ბავშვობასა და თინეიჯერობას კარგად გადაცილებული, ჩემი შთაბეჭდილებით ეს ალბომზე დიდი არაფერი იყო, არც მუსიკა არ იყო სულისშემძვრელი. ალბომის თოთხმეტი ტრეკიდან ექვსი სხვა არტისტების ნამუშევრების ქავერი იყო. „მარველეთის“, „მისტერ ფოსტალიონის“ და ჩაკ ბერის „ამოატრიალეთ ბეთჰოვენი“-ს ქავერები კარგად იყო შესრულებული და ჩემზე მაშინაც მოახდინა შთაბეჭდილება და ახლაც ახდენს, როცა კი ვუსმენ, მაგრამ, მაინც... ეს იყო ქავერ ვერსიები და რვა ორიგინალური სიმღერიდან, გარდა პოლის “All My Loving”, არც ერთი არ იყო ღირებული. არ არსებობდა ჰიტ სინგლები და ჩემი ყურისთვის ბითლზის პირველი ალბომი, “Please, Please Me,” რომელიც ძირითადად ერთი ჩანაწერით იყო ჩანერილი, ბევრად უფრო ცოცხალი და დამაჯერებელი იყო. ასეც რომ იყოს, სავარაუდოდ, ბითლზის თავყვანისმცემლების ახალი სიმღერების დაუოკებელი სურვილის წყალობით, ამ მეორე ალბომმა დებიუტი შეასრულა დიდ ბრიტანეთში ნომერ პირველ პოზიციაზე, რომელიც მას ოცდაერთი კვირის განმავლობაში ეკავა (აშშ-ში ალბომის სათაური შეიცვალა „Meet the Beatles“-ით და მოიცავდა რამდენიმე სხვადასხვა სიმღერას, თუმცა ყდის დიზაინი თითქმის იგივე დარჩა).

რამაც მიმიზიდა, იმ გოგოს ხილვა იყო, რომელსაც ალბომი ისე ეჭირა, თითქოს რაღაც ფასდაუდებელი უნდა ყოფილიყო. თუ ფოტოს ალბომის ყდას მოამორებდნენ, სცენას შეიძლება ისე აღარ მოვეხიბლე, როგორც ეს მოხდა. მუსიკა იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ იყო რაღაც სხვა, რაღაც ბევრად უფრო დიდი და მყისვე გულში ჩაიბეჭდა ეს სცენა – ერთგვარი სულიერი პეიზაჟი, რომელიც მხოლოდ იქ შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, დადგენილ ასაკში, განსაზღვრულ ადგილას და დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ჩემთვის მომდევნო, 1965 წლის მთავარი მოვლენა იყო არა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის

დაბომბვისა და ომის ესკალაციის ბრძანება ან ველური კატების ახალი სახეობის აღმოჩენა კუნძულ ირიომოტზე, არამედ ის ფაქტი, რომ შეყვარებული გავიჩინე. პირველ კურსზე ის ჩემი ჯგუფელი იყო, მაგრამ მხოლოდ მეორე კურსზე დავინწყეთ პაემანზე სიარული.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მინდა წინასიტყვაობად ვთქვა, რომ არ ვარ გარეგნულად მომხიბვლელი და ვარსკვლავი, სპორტსმენიც არასდროს ვყოფილვარ, ჩემი მოსწრებაც სკოლაში ვარსკვლავურზე ნაკლები იყო, ჩემი ნამღერიც უკეთესის სურვილს ტოვებდა და არც დიდი სიტყვაკაზმულობით გამოვიჩრეოდი. როცა სკოლაში ვსწავლობდი და შემდეგომ წლებშიც, არც ერთხელ არ დახვავებულან გოგონები ჩემ გარშემო. ეს არის ერთ-ერთი იმ ცოტა რამიდან, რისი თქმაც დარწმუნებით შემიძლია ამ გაურკვეველ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ჩემ ირგვლივ ყოველთვის გამოჩნდებოდა გოგონა, რომელიც რაიმე მიზეზით მიზიდავდა. წარმოდგენა არ მაქვს რატომ, მაგრამ მე შევეძელი სასიამოვნო, ინტიმური პერიოდის გატარება იმ გოგონებთან. ზოგიერთი მათგანისა კარგი მეგობარი ვხდებოდი და ხანდახან შემდეგ ეტაპზეც გადავდიოდი. გოგონა, რომელზეც აქ ვსაუბრობ, ერთ-ერთი ასეთი იყო – პირველი გოგო, ვისთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა.

ჩემი პირველი შეყვარებული ტანად პატარა, მაგრამ მომხიბვლელი იყო. იმ ზაფხულს, კვირაში ერთხელ ვხვდებოდი მას პაემანზე. ერთ დღეს ვაკოცე მის პატარა, მაგრამ სავსე ტუჩებს და ბიუსტჰალტერიან მკერდს შევეხე. უსახელოებო თეთრი კაბა ეცვა და თმას ციტრუსის შამპუნის სურნელი ასდიოდა.

მას თითქმის არანაირი ინტერესი არ ჰქონდა ბითლზის მიმართ. ის არც ჯაზზე გიჟდებოდა. რისი მოსმენაც მოსწონდა, უფრო მშვიდი მუსიკა იყო, ეგრეთ წოდებული საშუალო რანგის მუსიკა – მანტოვანის ორკესტრი, პერსი ფეიტი, როჯერ უილიამსი, ენდი უილიამსი, ნატ კინგ კოული და სხვა მსგავსი (იმ დროს

„საშუალო რანგი“ საერთოდ არ იყო დამამცირებელი ტერმინი.) სახლში იმ ჩანაწერების გროვა ჰქონდა, რაც დღეს კლასიფიცირებულია, როგორც მარტივი მოსასმენი.

იმ დღეს მან ფირფიტა დადო მისაღებში მდგარ ფირსაკრავზე (მის ოჯახს დიდი, შთამბეჭდავი სტერეო სისტემა ჰქონდა), ჩვენ კი დიდ, კომფორტულ დივანზე დავსხედით და ერთმანეთს ვაკოცეთ. მისი ოჯახი სადღაც იყო გასული და მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. სიმართლე გითხრათ, ასეთ სიტუაციაში არ მინტერესებდა, რა სახის მუსიკა უკრავდა.

რაც 1965 წლის ზაფხულიდან დამამახსოვრდა, მისი თეთრი კაბა იყო, კიდევ შამპუნის ციტრუსოვანი სურნელი, მავთულიანი ბიუსტჰალტერის საოცარი შეგრძნება (მაშინ ბიუსტჰალტერი უფრო ციხესიმაგრეს ჰგავდა, ვიდრე საცვალს) და პერსის ფეით ორკესტრის მიერ მაქს შტაინერის „თემა „საზაფხულო ადგილიდან“ ელეგანტური შესრულება. ახლაც, როცა მესმის „თემა 1 საზაფხულო ადგილიდან“, ის დივანი მახსენდება.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის შემდეგ, 1968-ში, როგორც მახსოვს, დაახლოებით იმავე დროს, როდესაც რობერტ კენედი მოკლეს, კაცმა, რომელიც ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო, ფანჯრის ანჯამზე თავი ჩამოიხრჩო. იგი სოციალურ კვლევებს ასწავლიდა. როგორც ამბობდნენ, მისი თვითმკვლელობის მიზეზი იდეოლოგიური ჩიხი გახდა.

იდეოლოგიური ჩიხი?

იცით, მართალია – სამოციანი წლების ბოლოს ადამიანები ხანდახან თავს იკლავდნენ, რადგან კედელს ასკდებოდნენ, იდეოლოგიურად, თუმცა არც ისე ხშირად.

მართლაც უცნაური გრძნობა მეუფლება, როცა ვფიქრობ, რომ იმ დღეს, როცა მე და ჩემი შეყვარებული, პერსი ფეიტის ლამაზი მუსიკის ფონზე, დივანზე უხერხულად ვენყობოდით, სოციალური კვლევების მასწავლებელი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა თავისი ფატალური იდეოლოგიური ჩიხისაკენ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თოკზე შემოკრული

მჭიდრო კვანძისაკენ. ხანდახან ცუდადაც კი ვგრძნობ თავს, ეს რომ მაგონდება. ყველა იმ მასწავლებელს შორის, ვისაც ვიცნობდი, იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. წარმატებული იყო თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა სამართლიანად მისდგომოდა თავის მოსწავლეებს. მას კლასის გარეთ არასდროს ველაპარაკებოდი, მაგრამ ასეთად კი დამამახსოვრდა.

1964 წლის მსგავსად, 1965 წელიც ბითლზის წელი იყო. თებერვალში გამოუშვეს “Eight Days a Week”, აპრილში – “Ticket to Ride” ივლისში – “Help!” და სექტემბერში – “Yesterday”. ყველა მათგანი აშშ-ს ჩარტებში ლიდერობდა. მათი მუსიკა თითქმის სულ გვესმოდა. ის ყველგან იყო, ჩვენ ირგვლივ, როგორც საგულდაგულოდ მიკრული შპალერი კედლის თითოეულ სანტიმეტრზე.

როდესაც ბითლზის მუსიკა არ უკრავდა, ეს იყო როლინგ სტოუნზის “I Can’t Get No Satisfaction” ან Byrds-ის “Mr. Tambourine Man, ან “My Girl” თემპტაციონსის შესრულებით, ან ლიგჰტინგ ბროთერსის “You’ve Lost That Lovin’ Feelin” ან Beach Boys-ის “Help Me, Rhonda.” დაიანა როსს და შუპრემესს ასევე ერთმანეთის მიყოლებით ჰქონდათ ჰიტები. ამ სახის მშვენიერი, მხიარული მუსიკის მუდმივი საუნდტრეკი ჩემი პატარა პანასონიკის ტრანზისტორი რადიოს მეშვეობით იფილტრებოდა. ეს პოპმუსიკისთვის მართლაც არაჩვეულებრივი წელი იყო.

გამიგია, რომ ყველაზე ბედნიერი პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში ისაა, როდესაც პოპ სიმღერები ნამდვილად რაღაცას ნიშნავს ჩვენთვის, ნამდვილად აღწევს ჩვენამდე. შეიძლება მართალია ან იქნებ არა. პოპსიმღერები შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, სხვა არაფერი იყოს, თუ არა პოპსიმღერები და, შესაძლოა, ჩვენი ცხოვრება მხოლოდ დეკორატიული, ერთჯერადი ნივთებია, წარმავალი ფერების აფეთქება და მეტი არაფერი.

ჩემი შეყვარებულის სახლი კობის რადიოსადგურთან მდებარეობდა, რომელიც ყოველთვის ჩართული მქონდა.

მამამისი მგონი სამედიცინო აღჭურვილობის იმპორტით იყო დაკავებული ან ექსპორტზე გაჰქონდა. დეტალები არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, საკუთარ კომპანიას ფლობდა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად მუშაობდა. მათი სახლი ზღვის მახლობლად, ფიჭვის კორომში იდგა. გავიგე, რომ ადრე ვილაც ბიზნესმენის საზაფხულო ვილა ყოფილა და მისმა ოჯახმა იყიდა და გადააკეთა. ზღვის ნიავეში ფიჭვის ხეები შრიალებდნენ. ეს შესანიშნავი ადგილი იყო „თემა „საზაფხულო ადგილი“-დან მოსასმენად.

წლების შემდეგ, გვიან ღამით, შემთხვევით ვნახე 1959 წლის ფილმი „ზაფხულის ადგილი.“ ტიპური ჰოლივუდური ფილმი იყო ახალგაზრდების სიყვარულის შესახებ, მაგრამ მაინც კარგად იყო აწყობილი. ფილმში ზღვის პირას არის ფიჭვის კორომი, რომელიც ზაფხულის ნიავეზე დროულად ირხევა პერსი ფეითის ორკესტრის საყვირის ნაწილამდე. ფიჭვის ხეების ქარში რხევის ეს სცენა ახალგაზრდების მძვინვარე სექსუალური ლტოლვის მეტაფორად ჩამრჩა, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ჩემი შეხედულება იყო ამაზე, ჩემი საკუთარი მიკერძოებული შეხედულება.

ფილმში, ტროი დონაჰიუ და სანდრა დი იპყრობენ ასეთ ძლიერ სექსუალურ ქარს და ამის გამო აწყდებიან ყველა სახის რეალურ პრობლემას. გაუგებრობას მოჰყვება შერიგება, დაბრკოლებები ნისლის აწევით იწმინდება და ბოლოს ერთად რჩებიან და ქორწინდებიან. ორმოცდაათიან წლებში ჰოლივუდში ბედნიერი დასასრული ყოველთვის მოიცავდა ქორწინებას – ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც შეყვარებულებს ლეგალურად შეეძლოთ სექსი. მე და ჩემი შეყვარებული, რა თქმა უნდა, არ დავქორწინებულვართ. ჩვენ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდით და ყველაფერი, რასაც ვაკეთებდით, იყო უხერხულად ხელების ფათური, დივანზე ჩახუტება და „თემა „საზაფხულო ადგილი“-დან მოსმენა.

– იცი რა? – მითხრა დივანზე რომ ვისხედით, ისეთი პატარა ხმით, თით-

ქოს აღსარებას იძლეოდა. – მე მართლაც ექვნიანი ტიპი ვარ.

– სერიოზულად? – ვიკითხე.

– მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს იცოდნი.

– გასაგებია.

– ზოგჯერ ძალიან მტკივნეულია ასეთი ექვნიანობა.

ჩემად ვეფერებოდი მის თმას. იმ მომენტში ჩემი წარმოდგენის მიღმა იყო ის, თუ როგორ იგრძნობოდა მწვავე ექვნიანობა, რამ გამოიწვია და სადამდე მივიდა. ზედმეტად ვიყავი დაკავებული საკუთარი ემოციებით.

ისე, სხვათა შორის, ტროი დონაჰიუ, ეს სიმპათიური ახალგაზრდა ვარსკვლავი, მოგვიანებით ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიეძალა, ფილმების გადაღება შეწყვიტა და გარკვეული დროით უსახლკაროდაც კი დარჩა. სანდრადი ასევე ებრძოდა ალკოჰოლიზმს. დონაჰიუ 1964 წელს დაქორწინდა პოპულარულ მსახიობ სიუზან პლეშეტზე, მაგრამ ისინი რვა თვის შემდეგ დაშორდნენ. დი 1960 წელს დაქორწინდა მომღერალ ბობი დარინზე, მაგრამ ისინიც განქორწინდნენ 1967 წელს. ეს ამკარად არ არის დაკავშირებული „საზაფხულო ადგილის“ სიუჟეტთან და არც ჩემი და ჩემი შეყვარებულის ბედს უკავშირდება.

ჩემს შეყვარებულს უფროსი ძმა და უმცროსი და ჰყავდა. და დაწყებითი სკოლის მეორე კლასში იყო, მაგრამ უფროს დასთან შედარებით ხუთი სანტიმეტრით მაღალი. გამორჩეულად საყვარელი არ იყო. გარდა ამისა, მას სქელი სათვალე ეკეთა, მაგრამ ჩემს შეყვარებულს ძალიან უყვარდა თავისი პატარა და. „სკოლაში ნამდვილად კარგი ნიშნები აქვს“, – მითხრა მან. როგორც მახსოვს, ჩემი შეყვარებულის ნიშნები, სხვათა შორის, მხოლოდ საშუალო იყო. ჩემსავით, დიდი ალბათობით.

ერთხელ მის უმცროს დას ჩვენთან ერთად კინოში წამოსვლის უფლება მივეცი. ეს რაღაც მიზეზით მოგვიწია. ფილმს ერქვა „მუსიკის ჰანგები“. კინოთეატრი გადაჭედილი იყო, ამიტომ წინა რიგში მოგვიხდა ჯდომა და მახ-

სოვს, როგორ ვუყურებდი ამ 70 მმ-ის ფილმს ფართო ეკრანზე ასე ახლოდან და ბოლოს თვალები ამტკივდა, თუმცა ჩემი შეყვარებული გაგიჟდა ფილმის სიმღერებზე. მან იყიდა საუნდტრეკის დიდი დისკი და უსასრულოდ უსმენდა. მე, ჯონ კოლტრეინის „ჩემი საყვარელი ნივთების“ ჯადოსნური ვერსიით უფრო ვიყავი გატაცებული, მაგრამ მივხვდი, რომ მასთან ამაზე საუბარი უაზრობა იყო, ასე რომ, არც არასდროს მიცდია.

მის უმცროს დას, როგორც ჩანს, დიდად არ მოვწონდი. როცა ერთმანეთს ვხედავდით, ის უცნაური, ემოციებისგან სრულიად დაცლილი თვალებით მიყურებდა – თითქოს ვერ გადაეწყვიტა, მაცივრის სიღრმეში დადებული ხმელი თევზი ჯერ კიდევ საჭმელად ვარგისი იყო თუ არა და რატომღაც ეს მზერა ყოველთვის დამნაშავედ მაგრძნობინებდა თავს. როცა მიყურებდა, თითქოს გარედან მაიგნობებდა (რა თქმა უნდა, მაინცდამაინც საყურებელი არც არაფერი იყო) და იხედებოდა ჩემში, ჩემი არსების სიღრმემდე. შეიძლება ასე ვგრძნობდი თავს, რადგან მართლა სირცხვილი და დანაშაულის გრძნობა მიჩნდებოდა გულში.

ჩემი შეყვარებულის ძმა მასზე ოთხი წლით უფროსი იყო, ანუ მაშინ ის, სულ ცოტა, ოცის იქნებოდა. ჩემთვის არ გაუცვნიდა და ერთხელ ძლივს ახსენა. თუ საუბარში მისი სახელი გაიჟღერებდა, ოსტატურად ცვლიდა თემას. ახლა ვხვდები, რომ მისი დამოკიდებულება ცოტა არაბუნებრივი იყო. იმიტომ არ ვამბობ, რომ ამაზე ბევრი მქონდა ნაფიქრი. სულაც არ მაინტერესებდა მისი ოჯახი. ის, რაც მისკენ მიზიდავდა, ბევრად უფრო ძლიერი იმპულსი იყო.

როდესაც პირველად შევხვდი მის ძმას და ვესაუბრე, 1965 წლის შემოდგომის მინუორული იყო.

ერთ კვირა დღეს ჩემს შეყვარებულს წამოსაყვანად სახლში მივაკითხე. ზარი რამდენჯერმე დავრეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა. ცოტა ხნით დავყოვნდი, შემდეგ ისევ დავრეკე, თან რამდენჯერმე, სანამ არ გავიგე, რომ ვილაც წელი ნა-

ბიჯებით მოდიოდა კარისკენ. ეს ჩემი შეყვარებულის უფროსი ძმა იყო.

ის ჩემზე ოდნავ მაღალი იყო, ოდნავ სქელიც. მოდუნებული არ იყო, უფრო სპორტსმენს ჰგავდა, მაგრამ ისეთს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვარჯიში რომ არ შეუძლია და რამდენიმე ზედმეტ ფუნტს რომ იმატებს, რალაც დროებით ცხიმს. მას ფართო მხრები ჰქონდა, მაგრამ შედარებით გრძელი, თხელი კისერი. თმები აჩეჩილი, მთლიანად აწეწილიც კი, ახალ გამოღვიძებულს ჰგავდა. ხისტი და უხეში ჩანდა და თითქოს ორი კვირით დაეგვიანა თმის შეჭრა. მას უსაყვლო მუქი ლურჯი სვიტერი ეცვა, კისერი მოშვებული, ხოლო ნაცრისფერი მუხლების გარშემო ოფლი უჩანდა. მისი გარეგნობა ჩემი შეყვარებულის სრულიად საპირისპირო იყო, რომელიც ყოველთვის მონესრიგებული, სუფთა და მოვლილი გოგონა იყო.

ცოტა ხანი თვალმოჭუტული მიყურებდა, როგორც რალაც ჭუჭყიანი ცხოველი, ხანგრძლივი ზამთრის ძილის შემდეგ მზის შუქზე რომ გამოხობდა.

– როგორც ვხვდები, შენ... საიოკოს მეგობარი ხარ? – ეს თქვა, სანამ ხმას ამოვიღებდი. ყელი ჩაინმინდა. მძინარე ხმა ჰქონდა, მაგრამ ვგრძნობდი ამაში ინტერესის ნაპერწკალს.

– ასეა, – ვუთხარი მე და თავი გავაცანი. – აქ თერთმეტზე უნდა მოვსულიყავი.

– საიოკო ახლა სახლში არ არის, – თქვა მან.

– არ არის, – ვთქვი მე და გავიმეორე მისი სიტყვები.

– სადღაც გავიდა. აქ არ არის.

– მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ დღეს თერთმეტზე გამოვუვლიდი და ნავიყვანდი.

– მართლა? – თქვა ძმამ. თავის გვერდით კედელს ახედა, თითქოს საათს ამოწმებდა, მაგრამ იქ საათი არ იყო, მხოლოდ თეთრი თაბაშირის კედელი. უხალისოდ მომიბრუნა მზერა. – შეიძლება ასეცაა, მაგრამ ფაქტია, რომ ის სახლში არ არის.

წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა

გამეკეთებინა, როგორც ჩანს არც მის ძმას. ნელა დაამთქნარა და კეფა მოიფხანა. მისი ყველა მოქმედება ნელი და მოზომილი იყო.

– ეტყობა სახლში არავინაა, – თქვა მან. – ცოტა ხნის წინ, როცა ავდექი, აქ არავინ იყო. ყველა გავიდა, მაგრამ არ ვიცი სად.

არაფერი მითქვამს.

– მამაჩემი, ალბათ, გოლფის სათამაშოდაა. ჩემი დები გასართობად გავიდნენ, მაგრამ დედაჩემის გარეთ ყოფნა ცოტა უცნაურია. ეს ხშირად არ ხდება.

სპეკულაციისგან თავი შევიკავე. ეს არ იყო ჩემი ოჯახი.

– მაგრამ, თუ საიოკო დაგპირდა, რომ დაგხვდებოდა, დარწმუნებული ვარ, რომ მალე დაბრუნდება, – თქვა მისმა ძმამ. – რატომ არ შემოდიხარ შიგნით, აქ დაელოდე.

– არ მინდა შეგანუხო. ცოტა ხნით სადმე დავიცდი და მერე დავბრუნდები, – ვუთხარი მე.

– არა, არ მანუხებ, – მტკიცედ თქვა მან. – ის უფრო შენუხება არაა, ზარს ისევ რომ დარეკავ და კარის გასაღებად უნდა მოვიდე?! ასე რომ, შემოდი.

სხვა გზა არ მქონდა, შიგნით შევედი. მან მისაღებში შემეყვანა. მისაღები ოთახი დივანით, რომელზედაც მე და ის ზაფხულში ვნებივრობდით. მასზე დავჯექი და ჩემი შეყვარებულის ძმა ჩემს წინ, სავარძელში მოკალათდა და კიდევ ერთხელ გამოუშვა ერთი გრძელი მთქნარება.

– საიოკოს მეგობარი ხარ, არა? – იკითხა ისევ ისე, თითქოს ორმაგი დარწმუნება უნდოდა.

– ასეა, – ვთქვი და იგივე ვუპასუხე.

– იუკოს მეგობარი არ ხარ?

მე თავი გავიქნიე. იუკო მისი მომალელო პატარა და იყო.

– საიოკოსთან პაემანზე სიარული საინტერესოა? – მკითხა მისმა ძმამ ცნობისმოყვარე თვალებით.

წარმოდგენა არ მქონდა, რა მეპასუხა, ამიტომ გავჩუმდი. იქვე იჯდა და ჩემს პასუხს ელოდა.

– სახალისოა, დიახ, – ვუთხარი მე

და ბოლოს ვიპოვე ის, რაც, ვიმედოვნებდი, სწორი სიტყვები იქნებოდა.

– სახალისოა, მაგრამ არ არის საინტერესო?

– არა, ამას არ ვგულისხმობ... სიტყვები ამომეწურა.

– არ აქვს მნიშვნელობა, – თქვა ძმამ. – საინტერესოა თუ სახალისო – ვფიქრობ, ამ ორს შორის განსხვავება არ არის. ჰეი, ისაუბრე?

– დიას.

– ტოსტები უნდა გავაკეთო, დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა?

– არა, არ მინდა, – ვუპასუხე.

– და ყავა?

– არა, არ მინდა.

ყავას კი დავლევდი, მაგრამ დავყოვნდები, არ მინდოდა ჩემი შეყვარებულის ოჯახში უფრო მეტად მოვმინაურებულიყავი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის სახლში არ იყო.

ის უხმოდ წამოდგა ფეხზე და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში ჭურჭლისა და ჭიქების წკრიალის ხმა მომესმა. მე მარტო დავრჩი დივანზე, თავაზიანად ვიჯექი პირდაპირ, ხელები კალთაში დავიდე და ველოდებოდი ჩემი შეყვარებულის დაბრუნებას, სადაც იყო წასული, იქიდან. ახლა თორმეტის თხუთმეტი წუთი იყო.

მეხსიერებაში იმის ჩხრეკა დავინწყე, მართლა თერთმეტზე უნდა მოვსულიყავი თუ არა, მაგრამ, რამდენიც არ უნდა მეფიქრა ამაზე, დარწმუნებული ვიყავი, რომ თარიღი და დრო სწორი იყო. წინა ღამეს ტელეფონზე ვილაპარაკეთ და მაშინ დავადასტურეთ. ისეთი გოგო არ იყო, რამე დავინწყებოდა ან გონებიდან ამოეშალა დაპირება. და მართლაც უცნაური იყო, რომ ის და მისი ოჯახის ყველა წევრი კვირა დილით სადღაც წავიდნენ და უფროსი ძმა მარტო დატოვეს.

ამ ყველაფრით შეფიქრიანებული, მოთმინებით ვიჯექი. დრო მტანჯველად ნელა გადიოდა. სამზარეულოდან ხანდახან ხმა მოდიოდა – ონკანის მოშვების, კოვზის, რაღაცის მორევის, კარადის გაღებისა და დახურვის ხმა. ეს ძმა ისეთი ტიპი ჩანდა, ყველაფერ-

ში რეკეტს რომ მოახდენდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ეს ხმები მოდიოდა. გარეთ არც ქარი უბერავს, არც ძაღლები ყეფენ. უხილავი ტალახივით, სიჩუმე თანდათან შემეპარა ყურებში და დამიგუბა. რამდენჯერმე მომინია ნერწყვის გადაყლაპვა, რომ გამხსნოდა.

მუსიკა კარგი იქნებოდა. „თემა „საზაფხულო ადგილიდან“, „ედელვაისი“, „მთვარის მდინარე“... რაიმე, სულერთია. არ ვიყავი პრეტენზიული. უბრალოდ მუსიკა, მაგრამ არ შემეძლო ნებართვის გარეშე სხვის სახლში სტერეოს ჩართვა. ირგვლივ მიმოვიხედე, წასაკითხს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვნახე ვერც გაზეთი, ვერც ჟურნალი. შევამოწმე, ჩანთაში რა მედო. თითქმის ყოველთვის მქონდა წიგნი, მაგრამ იმ დღეს არა.

როცა პაემანზე დავდიოდით, მე და ჩემი მეგობარი გოგონა ხშირად თვალთვამაქცობდით, ვითომ ბიბლიოთეკაში სასწავლებლად მივდიოდით და ჩანთაში სკოლის ნივთებს ვდებდით, რომ მოჩვენებითობა შემენარჩუნებინა. მოყვარული კრიმინალივით, რომელიც ცუდ ალიბის ქმნის. ასე რომ, ერთადერთი წიგნი, რომელიც იმ დღეს ჩანთაში მქონდა, ჩვენი სკოლის სახელმძღვანელო იყო, „იაპონური ენა და ლიტერატურა“ – დამატებითი საკითხავი. უხალისოდ ამოვიღე და დავინწყე გვერდების ფურცვლა. არ ვიყავი ის, რასაც თქვენ მკითხველს ეძახით, რომელიც სისტემატურად და ყურადღებით ათვალთვებს წიგნებს, არამედ უფრო ისეთი, რომელსაც უჭირს დროის გატარება რაიმეს წაკითხვის გარეშე. ვერასდროს ვიჯდებოდი, მშვიდად და ჩუმად. ყოველთვის მიწევდა წიგნის ფურცლების გადაშლა ან მუსიკის მოსმენა – ან ერთი, ან მეორე. როცა ირგვლივ წიგნი არ იყო, რაიმე დაბეჭდილს ვიღებდი. ვკითხულობდი ტელეფონის წიგნს, ორთქლის უთოების ინსტრუქციას. ამ ტიპის საკითხავ მასალასთან შედარებით, იაპონური სახელმძღვანელოს დამატებითი საკითხავი ბევრად უკეთესი იყო.

ქაოსურად გადაფურცლე წიგნში მხატვრული ლიტერატურა და ესეები.

რამდენიმე ნამუშევარი იყო უცხოელი ავტორის, მაგრამ უმეტესობა ცნობილი თანამედროვე იაპონელი მწერლების იყო – რიუნოსკე აკუტაგავას, ჯუნიჩირო ტანიზაკის, კობო აბეს და ა.შ. ყველა ნაწყვეტი იყო და თითოეულ ნამუშევარს, რამდენიმე ძალიან მოკლე მოთხრობის გარდა, დანართად რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა. ამ კითხვების უმეტესობა სრული უაზრობა იყო. უაზრო კითხვებით, ძნელია (ან შეუძლებელი) ლოგიკურად განსაზღვრო – სწორია თუ არა პასუხი. ეჭვი მეპარებოდა, ვინც კითხვებს სვამდა, იმასაც სცოდნოდა. ისეთი რამ, როგორცაა: „ამ მონაკვეთიდან როგორ შეგიძლიათ განსაზღვროთ მწერლის დამოკიდებულება ომის მიმართ?“ ან „რა სიმბოლური ეფექტი იქმნება, როდესაც ავტორი აღწერს მთვარის ფაზებს?“ შეგიძლიათ თითქმის ნებისმიერი პასუხის გაცემა. თუ თქვენ უპასუხებდით, რომ სავსემთვარისა და ნახევარმთვარის აღწერა უბრალოდ მთვარის მატებისა და კლების აღწერა იყო და არ ქმნიდა სიმბოლურ ეფექტს, ვერავინ იტყვის დარწმუნებით, რომ თქვენი პასუხი არასწორი იყო. რა თქმა უნდა, არსებობდა შედარებით გონივრული პასუხი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, რომ შედარებით გონივრული პასუხის მიღება ლიტერატურის შესწავლის ერთ-ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო.

როგორც არ უნდა იყოს, მე გავიყვანე დრო თითოეულ ამ კითხვაზე პასუხის მოგონების მცდელობით და, უმეტეს შემთხვევაში, ის, რაც მახსენდებოდა – ჩემს ტვინში, რომელიც ჯერ კიდევ იზრდებოდა და ვითარდებოდა, ყოველდღე იზრდოდა ერთგვარი ფსიქოლოგიური დამოუკიდებლობის მისაღწევად – იყო პასუხები, რომლებიც შედარებით არაგონივრული იყო, მაგრამ სულაც არ იყო არასწორი. შესაძლოა, ეს ტენდენცია იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩემი შეფასებები სკოლაში არ იყო დიდი მიღწევა.

სანამ ამ დღეში ვიყავი, ჩემი შეყვარებულის ძმა მისაღებში დაბრუნდა.

თმები ისევ ყველა მიმართულებით აწინილი ჰქონდა, მაგრამ, შესაძლოა იმის გამო, რომ საუზმობდა. თვალები უწინდებურად ისევე უძილო ჰქონდა. მას დიდი თეთრი ფინჯანი ეჭირა, რომელზეც პირველი მსოფლიო ომის გერმანული ბიპლანი იყო გამოსახული, პილოტის კაბინის წინ ორი ავტომატით, გვერდზე ჯვრებით. ეს მისი განსაკუთრებული ჭიქა უნდა ყოფილიყო. ვერც კი წარმოვიდგენდი, ჩემს შეყვარებულს როგორ უნდა დაეღია ამ ჭიქით.

– მართლა არ გინდა ყავა? – მკითხა მან.

თავი გავიქნიე.

– არა. მაგრად ვარ. ნამდვილად.

მისი სვიტერი პურის ნამცეცებით იყო სავსე. მუხლები კი – ოფლით. ის, ალბათ, შიმშილით კვდებოდა და ერთი-ანად გადაუშვა ტოსტი, არც აინტერესებდა, ყველგან რომ მიმოფანტა ნამცეცები. წარმოვიდგინე, როგორ შეურაცხყოფდა ეს ჩემს შეყვარებულს, რადგან ის ყოველთვის ძალიან მონესრიგებულად გამოიყურებოდა. მეც მომწონდა, მონესრიგებული და სუფთა რომ ვიყავი, ეს ჩვენი საერთო თვისება იყო. მგონი, ამის გამო ვიყავით ერთად.

ძმამ კედელს ახედა. ამ კედელზე იყო საათი. საათის ისრები თითქმის თერთმეტის ნახევარს აჩვენებდნენ.

– ჯერაც არ დაბრუნებულა, სად ჯანდაბაში უნდა წასულიყო?

საპასუხოდ არაფერი მითქვამს.

– რას კითხულობ?

– ჩვენი იაპონური სახელმძღვანელოს დამატებით საკითხავს.

– ჰმ, – თქვა მან და თავი ოდნავ დახარა. – საინტერესოა?

– განსაკუთრებით არა. უბრალოდ წასაკითხი სხვა არაფერი მაქვს.

– შეგიძლია მაჩვენო?

წიგნი დაბალ მაგიდაზე გადავანოდე. მარცხენა ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა, წიგნი მარჯვენათი აიღო. ვნერვიულობდი, რომ ყავას გადაასხამდა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ დაუღვრია. ჭიქა მინის მაგიდაზე დადო, წიგნი ორივე ხელში დაიჭირა და ფურ-

ცვლა დაიწყო.

– აბა, რომელ ნაწილს კითხულობდი?

– ახლა ვკითხულობდი აკუტაგავას მოთხრობას „სართავი კბილანები.“ აქ ისტორიის მხოლოდ ნაწილია და არა მთლიანი.

ამან დააფიქრა.

– „სართავი კბილანები“ არის ის, რაც არასდროს წამიკითხავს, თუმცა მისი მოთხრობა „კაპა“ დიდი ხნის წინ წავიკითხე. – „სართავი კბილანები“ საკმაოდ ბნელი ამბავი არ არის?

– კი, არის. მან ეს სიკვდილამდე დაწერა. აკუტაგავამ დოზის გადაჭარბება მიიღო ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. დამატებით საკითხავის ჩანაწერებში ნათქვამია, რომ „სართავი კბილანები“ გამოქვეყნდა გარდაცვალების შემდეგ, 1927 წელს. მოთხრობა თითქმის უკანასკნელი ანდერძი იყო.

– ჰმ, – თქვა ჩემი შეყვარებულის ძმამ. – აბა, რას ფიქრობ, შეგიძლია წამიკითხო?

გაკვირვებულმა შევხედე. – ანუ ხმამალა წავიკითხო?

– დიახ. ყოველთვის მომწონდა, ხალხი რომ მიკითხავდა. მე თვითონ არ ვარ დიდი მკითხველი.

– არ გამომდის ხმამალა კითხვა.

– არა უშავს. არაა საჭირო, კარგად გამოგდიოდეს. უბრალოდ წაიკითხე სწორი თანმიმდევრობით და ეს კარგი იქნება. როგორც ხედავ, სხვა საქმე არაფერი გვაქვს.

– თუმცა ეს საკმაოდ ნევროპათური, დამორგუნველი ამბავია, – ვთქვი მე.

– ხანდახან მომწონს ასეთი ისტორიების მოსმენა. მაგალითად, ბოროტებასთან ბრძოლა ბოროტებით.

მან წიგნი დამიბრუნა, ყავის ფინჯანის აილო ბიპლანისა და მისი რკინის ჯვრების გამოსახულებით და მოსვა. შემდეგ სავარძელში ჩაეშვა და კითხვის დანწყობას დაელოდა.

ასე დავასრულე კვირადღე, როცა ჩემი შეყვარებულის ექსცენტრიულ უფროს ძმას აკუტაგავას – „სართავი კბილანების“ ნაწილი წავუკითხე. თავიდან ცოტა უხალისოდ დავიწყე, მაგრამ მერე

საქმეს გავუგე. დამატებით საკითხავს ჰქონდა მოთხრობის ორი ბოლო ნაწილი – „წითელი შუქები“ და „თვითმფრინავი“, მაგრამ მე მხოლოდ „თვითმფრინავი“ წავიკითხე. ეს დაახლოებით რვა გვერდინი იყო და მთავრდებოდა სტრიქონით: „იქნებ სიკეთე გამოიჩინოთ და ძილში მიმახჩოთ?“ აკუტაგავამ ამ სტრიქონის დაწერისთანავე თავი მოიკლა.

კითხვა დავამთავრე, მაგრამ ოჯახის წევრები მაინც არ ჩანდნენ. ტელეფონმა არ დარეკა და გარეთ არც ერთ ყვავს არ დაუჩხავია. ირგვლივ იდეალური სიმშვიდე იყო. შემოდგომის მზის შუქი ანათებდა მისაღებს მაქმანის ფარდებიდან. მარტო დრო თავისი ნელი, სტაბილური გზით მიინევდა წინ. ჩემი შეყვარებულის ძმა იჯდა იქ, გულხელდაკრეფილი, თვალეზღაბიანი, თითქოს იმ ბოლო სტრიქონებით ტკბებოდა, რომელსაც ვკითხულობდი: „ძალა არ შემწევს, წერა რომ გავაგრძელო. უსაზღვროდ მტკივნეულია ცხოვრების გაგრძელება, როცა ასე ვგრძნობ თავს. იქნებ სიკეთე გამოიჩინოთ და ძილში მიმახჩოთ?“

მოგეწონათ ნაწერი თუ არა, ერთი რამ ცხადი იყო: ეს არ იყო ის მოთხრობა კაშკაშა, ნათელ კვირა დღეს რომ უნდა წაგეკითხათ. წიგნი დავხურე და კედელზე დაკიდებულ საათს გავხედე. უკვე თორმეტის ნახევარი იყო.

– რალაცამია საქმე, რალაც გაუგებრობაა, – ვთქვი მე. – მგონი წასვლის დროა. დივნიდან წამოვდექი. დედაჩემმა ბავშვობიდანვე ჩამიჭედა თავში, რომ მასპინძლები არ შემენუხებინა, როცა სადილის დრო დგებოდა. კარგი იყო თუ არა, ეს ჩემს არსებაში შემოიჭრა და რეფლექსურ ჩვევად იქცა.

– მთელი გზა გამოგივლია, არ დაელოდები კიდეც ოცდაათი წუთი? – მკითხა მისმა ძმამ. – კიდეც ოცდაათი და თუ არ მოვა, მერე შეგიძლია ნახვიდე.

მისი სიტყვები უცნაურად განსხვავებული იყო, მე დავჯექი და ხელები ისევ კალთაზე დავილაგე.

– ძალიან კარგად კითხულობ ხმამალა, – თქვა მან, გულწრფელი შთაბეჭდილების ქვეშ იყო. – ვინმეს ოდესმე

უთქვამს ეს შენთვის?

თავი გავიქნიე...

– თუ მართლა არ ჩაავლე შინაარსს, შენსავით ვერ წაიკითხავენ. ბოლო ნაწილი განსაკუთრებით კარგი იყო.

– ოჰ, – ვუპასუხე გაურკვეველად. ვიგრძენი, რომ ლოყები ოდნავ გამინითლდა. მეჩვენებოდა, რომ ქება არასწორად იყო მომართული და დისკომფორტს მიქმნიდა. მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდევ ოცდაათი წუთი უნდა მესაუბრა მასთან. ეტყობოდა, რომ ვინმესთან საუბარი ესაჭიროებოდა.

მან ხელისგულები მყარად დაილაგა წინ, თითქოს ლოცულობდა, შემდეგ უცებ წამოიჭრა შემდეგი სიტყვებით: – ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ოდესმე შეგიჩერებიათ მეხსიერება?

– შემიჩერებია?

– ანუ, დროის ერთი მომენტიდან მეორემდე საერთოდ არ გახსოვს სად იყავი, ან რას აკეთებდი.

თავი გავიქნიე. – არა მგონია, რომ ეს ოდესმე მომხდარიყო.

– ანუ გახსოვს დროის თანმიმდევრობა და დეტალები იმაზე, რაც გიკეთებია?

– თუ ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, დიახ, ასე ვიტყვოდი.

– ჰმ, – თქვა მან და უცებ კეფა მოიფხანა, შემდეგ კი ჩაილაპარაკა. – ვფიქრობ, ეს ნორმალურია.

დაველოდე, რომ გააგრძელებდა.

– ფაქტობრივად, მქონდა რამდენჯერმე შემთხვევა, როდესაც ჩემი მეხსიერება უბრალოდ გაქრა. მაგალითად, სამ საათზე, ჩემი მეხსიერება წყდება და შემდეგი, რაც ვიცი, სალამოს შვიდი საათია. არ მახსოვს სად ვიყავი ან რას ვაკეთებდი ამ ოთხი საათის განმავლობაში. ისე არ არის, რომ რაღაც განსაკუთრებული დამემართა. თითქოს თავში ჩამარტყეს ან დავთვერი, ან რამე. მე უბრალოდ ჩემს ჩვეულ საქმეს ვაკეთებ და გაფრთხილების გარეშე მეხსიერება წყდება. ვერ ვინინასწარმეტყველებ, როდის მოხდება ეს და, წარმოდგენა არ მაქვს, რამდენი საათით, რამდენი დღით გაქრება ჩემი მეხსიერება.

– გასაგებია, – ჩავიჩურჩულე, მივახვედრე, რომ მის აზრს მივყვებოდი.

– წარმოიდგინეთ, რომ მოცარტის სიმფონია მაგნიტოფონზე ჩანერეთ და როცა უკრავთ, ხმა გადახტება მეორე მოძრაობის შუა ნაწილიდან მესამის შუაში და რაც შუაში უნდა იყოს, ახლახან გაქრა. სწორედ ასეა. როდესაც ვამბობ „გაქრა“, არ ვგულისხმობ, რომ ფირის ჩუმი ნაწილი მოდის. ის უბრალოდ გაქრა. გესმის, რას გეუბნები?

– მგონი, კი, – ვუთხარი გაურკვეველი ტონით.

– თუ ეს მუსიკაა, რაღაცნაირად მოუხერხებელია, მაგრამ რეალური ზიანი არ არის, არა? მაგრამ, თუ ეს თქვენს რეალურ ცხოვრებაში ხდება, მაშინ ტკივილია, დამიჯერეთ... გასაგებია?

თავი დაუქნიე.

– მთვარის ბნელ მხარეს მიდიხარ და ხელცარიელი ბრუნდები.

ისევ დაუქნიე თავი. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ სრულად ჩავნვდი ანალოგიას.

– ეს გამონწვეულია გენეტიკური აშლილობით და ისეთი აშკარა შემთხვევები, როგორც ჩემია, საკმაოდ იშვიათია. ათი ათასიდან ერთ ადამიანს ექნება ეს აშლილობა და მაშინაც იქნება განსხვავებები მათ შორის, რა თქმა უნდა. ბოლო კურსზე რომ ვიყავი, უნივერსიტეტის საავადმყოფოში ნევროლოგმა გამოკვლევა ჩამიტარა. დედამ წამიყვანა.

ის შეჩერდა, შემდეგ განაგრძო: – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მდგომარეობა, როდესაც თქვენი მეხსიერების თანმიმდევრობა ირღვევა. მისი ერთი ნაწილი არასწორ უჯრაში ილექება და თითქმის შეუძლებელი ან რეალურად შეუძლებელია მისი პოვნა. ასე ამიხსენეს. ეს არ არის ისეთი საშინელი აშლილობა, რომელიც შეიძლება იყოს ფატალური ან სადაც თანდათან დაკარგავ გონებას, მაგრამ იგი იწვევს პრობლემებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მითხრეს დაავადების სახელი და მომცეს ნამალი, მაგრამ აბები არაფერს აკეთებს. ისინი უბრალოდ პლაცებოა.

ჩემი შეყვარებულის ძმა ერთი წუთით

გაჩუმდა და ყურადღებით მაკვირდებოდა, მივხვდი თუ არა. თითქოს სახლის გარეთ იდგა და ფანჯარაში იყურებოდა.

– ასეთი ეპიზოდები წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაქვს, – თქვა მან ბოლოს. – არც ისე ხშირად, მაგრამ სიხშირე არ არის პრობლემა. როდესაც ეს ხდება, რეალური პრობლემები მაშინ იწყება. როცა იშვიათად ხდება, მაინც საკმაოდ საშინელია მეხსიერების ასეთი დაკარგვა და ისიც არ ვიცი, როდის მოხდება ეს. გესმის, არა?

– აჰა, – ვთქვი ბუნდოვნად. მხოლოდ ეს იყო, რისი გაკეთებაც შემძლო მის უცნაურ, გასროლასავით სწრაფ ამბავს რომ გავყოლოდი.

– როგორც გითხარი, ასე მემართება, მეხსიერება უცებ ქრება და ამ დროს ვიღებ უზარმაზარ ჩაქუჩს და ვილაცას თავში ვურტყამ, ვინმეს, ვინც არ მომწონს. შანსი არ არის, გააუბრალოთ თუ იტყვი: „უცნაურია, ეს ყველაფერი, აბა, რა არის?“ მართალი არ ვარ?

– მეც ასე ვფიქრობ.

– პოლიციელები როცა ჩაერთვებიან, ვეტყვი: –საქმე იმაშია, რომ მეხსიერება გამეთიშა, ვერ მოტყუვდებიან, არა?

თავი დავუქნიე.

– ნამდვილად არსებობს რამდენიმე ადამიანი, რომელიც საერთოდ არ მომწონს. ბიჭები, რომლებიც მართლა მაბრაზებენ. მამაჩემი ერთ-ერთი მათგანია, მაგრამ, როცა საღ აზრზე ვარ, მამაჩემს თავზე ჩაქუჩი რატომ უნდა გადავამტვრიო, არა? საკუთარი თავის კონტროლი შემიძლია. მაგრამ, როდესაც ვითიშები, წარმოდგენა არ მაქვს, რას ვაკეთებ.

მე ოდნავ დავხარე თავი, ყოველგვარი მოსაზრებისგან თავი შევიკავე.

– ექიმმა თქვა, რომ ამის საშიშროება არ არსებობს. სანამ მეხსიერება გამქრალია, ვილაცის სულში ჩემი პიროვნება არ ზის. დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის მსგავსად. ყოველთვის საკუთარი თავი ვარ. უბრალოდ, ეს ჩანერილი ნაწილი გადადის მეორე მოძრაობის შუა ნაწილიდან მესამეზე. ყოველთვის შემიძლია გავაკონტროლო ვინ

ვარ და უმეტესწილად ნორმალურად ვიმოქმედო. მოცარტი უცებ არ გარდაიქმნება სტრავენსკად. მოცარტი რჩება მოცარტად – უბრალოდ, ერთი ნაწილი სადღაც, უფრაში ქრება.

ის ამ დროს წამოიწია და თავისი ბიპლანიანი ყავის ფინჯანი მოსვა. მეც მომინდა ყავა.

– ყოველ შემთხვევაში, ექიმმა ასე მითხრა, მაგრამ თქვენ უნდა მიიღოთ ის, რასაც ექიმები გეტყვიან. როცა საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ამან ძალიან შემამინა, ვფიქრობდი, რომ, როცა არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, ჩემს ერთ-ერთ კლასელს თავზე ჩაქუჩს ჩავცხებდი, ანუ, როცა საშუალო სკოლაში ხარ, ჯერ კიდევ არ იცი, ვინ ხარ, არა? ამას დაუმატეთ მეხსიერების დაკარგვის ტკივილი და ვერ გაუძლებ.

ჩუმად დავუქნიე თავი. ის შეიძლება მართალი იყო.

– ამ ყველაფრის გამო სკოლაში სიარული თითქმის შევწყვიტე, – განაგრძო ჩემი შეყვარებულის ძმამ. – რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო მეშინოდა და სკოლაში წასვლას ვერ ვახერხებდი. დედამ მასწავლებელს აუხსნა სიტუაცია და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი გაცდენა მქონდა, გამონაკლისი დაუშვეს და დამამთავრებინეს. წარმომიდგენია, სკოლას როგორ სურდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ჩემნაირი პრობლემური მოსწავლე, მაგრამ მე არ ჩავაბარე კოლეჯში. ჩემი შეფასებები არც ისე ცუდი იყო და შემძლო რომელიმე კოლეჯში ჩამებარებინა, მაგრამ არ მქონდა ამის თავდაჯერებულობა. მას შემდეგ სახლში ვზივარ. ძალი სასიეროდ გამყავს, თორემ ისე სახლიდან თითქმის არ გავდივარ. ამ დღეებში პანიკას ან მსგავს რამეს არ ვგრძნობ. თუ ყველაფერი ცოტათი ჩანყნარდება, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნება, კოლეჯში სწავლა დავინყო.

მერე დადუმდა, მეც ჩუმად ვიყავი. წარმოდგენა არ მქონდა, რა მეთქვა. ახლა მივხვდი, რატომ არასდროს სურდა ჩემს შეყვარებულს ძმაზე საუბარი.

– მადლობა, მოთხრობა რომ წამი-

კითხე, – თქვა მან. – „სართავი კბილანები“ საკმაოდ კარგია. რა თქმა უნდა, ბნელი ამბავია, მაგრამ ზოგიერთი ნაწერი ნამდვილად აღწევს ჩემამდე. დარწმუნებული ხარ, რომ ყავა არ გინდა? ამას მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდება.

– არა, მართლა კარგად ვარ. მალე წავალ.

ისევ კედელზე დაკიდებულ საათს გახედა. – რატომ არ დაელოდები პირველამდე და თუ არავინ დაბრუნდა, მერე წადი. ჩემს ოთახში ვიქნები ზევით, ასე რომ, შეგიძლია თავად გახვიდე. ჩემზე არ იდარდო.

თავი დაუჭინე.

– საიოკოსთან პაემანი საინტერესოა? – ჩემი შეყვარებულის ძმამ კიდევ ერთხელ მკითხა.

თავი დაუჭინე. – კი, საინტერესოა.

– რა ნაწილი?

– მასში იმდენი რამაა, არ ვიცი, – ვუპასუხე მე. ძალიან გულწრფელი პასუხია, მგონი.

– ჰმ, – თქვა მან და ჩაფიქრდა. – ახლა რომ ახსენე, მე ამას ვხედავ. ის ჩემი უმცროსი დაიკოა, სისხლით არის დაკავშირებული, იგივე გენები და ყველაფერი და ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთ ჭერქვეშ მისი დაბადების დღიდან, მაგრამ ჯერ კიდევ არის უამრავი რამ, რაც მის შესახებ არ მესმის. მე არ მესმის მისი – როგორ აგისხნა? რა აწუხებს? ასე რომ, მინდა ჩემი გესმოდეს. თუმცა შეიძლება იყოს რალაცეები და ჯობია გარკვევას არ შეეცადო.

ყავის ფინჯნით ხელში, სავარძლიდან წამოდგა.

– მოკლედ, ძალიან უნდა მოინდომო,

– თქვა ჩემი შეყვარებულის ძმამ. თავისუფალი ხელი გამომიწოდა და ოთახიდან გავიდა.

– მაღლობა, – ვუთხარი მე.

პირველ საათზე დაბრუნების კვალი არავის ეტყობოდა. ასე რომ, მარტო შემოსასვლელ კართან მივედი, ბოტასები ჩავიცვი და გავედი. ფიჭვის ტყეს გავუყევი სადგურამდე, მატარებელში ავხტი და სახლში წავედი. უცნაურად მშვიდი და წყნარი შემოდგომის კვირის

შუადღე იყო.

შეყვარებულმა ლამის ორი საათის შემდეგ დამირეკა. – მომავალ კვირას უნდა მოსულიყავი, – თქვა მან. არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული, მაგრამ ის იმდენად დაზუსტებით ამბობდა, რომ, ალბათ, მართალი იყო. მორჩილად მოვუხადე ბოდიში მთელი ერთი კვირით ადრე ვიზიტის გამო.

არ მიხსენებია, რომ, სანამ მას სახლში ველოდებოდი, მე და მის ძმას საუბარი გვქონდა – შესაძლოა, „საუბარი“ არ იყო სწორი სიტყვა, რადგან ძირითადად მე ვუსმენდი. მივხვდი, რომ ჯობდა, არ მეტყვა, რომ რიუნოსკე აკუტაგავას „სართავი კბილანები“ წაფუკითხე და მან გამიმხილა, რომ მეხსიერების დაქვეითებით იყო დაავადებული. თუ ძმას მითვის არ უთქვამს, არც მე მქონდა ამის თქმის რაიმე მიზეზი.

თვრამეტი წლის შემდეგ ისევ შევხვდი მის ძმას. ოქტომბრის შუა რიცხვები იყო. მაშინ ოცდათხუთმეტი წლის ვიყავი, მეუღლესთან ერთად ტოკიოში ვცხოვრობდი. სამუშაოზე ძალიან დაკავებული ვიყავი და კოშიში თითქმის აღარ ჩავსულვარ.

ნაშუადღევი იყო და შიბუიას ბორცვზე ავდიოდი, რომ შესაკეთებლად მიტანილი საათი წამომეღო. ფიქრებში ჩაფლული მივდიოდი, როცა მამაკაცი შემობრუნდა და დამიძახა.

– უკაცრავად, – თქვა მან. უტყუარი კანსაის ინტონაცია ჰქონდა. გავჩერდი, შემოვბრუნდი და დავინახე მამაკაცი, რომელიც ვერ ვიცანი. ჩემზე ცოტა უფროსი და ოდნავ მაღალი ჩანდა. მას ეცვა სქელი ნაცრისფერი ტვიდის ქურთუკი, მრგვალსაყელოიანი მაისური, კრემისფერი ქაშმირის სვიტერი და ყავისფერი შარვალი. თმა მოკლე ჰქონდა, სპორტსმენის დაჭიმული აღნაგობა და ღრმა რუჯი დასდებოდა (გოლფის თამაშისას მიღებულ რუჯს ჰგავდა). მისი ნაკვთები არ იყო დახვეწილი, მაგრამ მაინც მიმზიდველი იყო. სიმპათიურიც კი, მგონი. მე მივხვდი, რომ ეს თავისი ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი ჩანდა. კარგად აღზრდილი ადამიანი იყო,

ჩემი ვარაუდით.

– შენი სახელი არ მახსოვს, მაგრამ ცოტა ხანი ჩემი უმცროსი დის მეგობარი ბიჭი ხომ არ იყავი? – მან თქვა.

ისევ დავაკვირდი მის სახეს, მაგრამ არაფერი მახსოვდა.

– შენი უმცროსი და?

– საიოკო, – თქვა მან. – მგონი კლასელები იყავით საშუალო სკოლაში.

თვალეები მის კრემისფერი სვიტერის წინა მხარეს პომიდვრის სოუსის პატარა ლაქაზე შევაჩერე. ის ლამაზად იყო ჩაცმული და ეს ერთი პანანინა ლაქა თითქოს უადგილო იყო. შემდეგ კი თავში გამკრა – ძმა ნამძინარევი თვალეებით და პურის ნამცეცებით მრგვალყელიან მუქ ლურჯ სვიტერზე.

– გამახსენდა, – ვთქვი მე. – შენ საიოკოს უფროსი ძმა ხარ. ერთხელ შენს სახლში შევხვდით ერთმანეთს, არა?

– მართალი ხარ. თქვენ ნამიკითხეთ აკუტაგავას „სართავი კბილანები“.

გამეცინა. – მაგრამ მიკვირს, ამ ხალხში როგორ შემამჩნიე. ჩვენ მხოლოდ ერთხელ შევხვდით და თან დიდი ხნის წინ.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ არასოდეს მავინყდება სახეები. გარდა ამისა, საერთოდ არ შეცვლილხარ.

– მაგრამ შენ ძალიან შეიცვალე, – ვუთხარი მე. – ახლა მართლა სხვანაირი ხარ.

– ხო, ბევრმა წყალმა ჩაიარა, – თქვა მან და გაიღიმა. – როგორც იცი, რაღაც პერიოდი ჩემთვის საკმაოდ რთული იყო.

– როგორ არის საიოკო? – ვიკითხე.

შენუხებულის მზერა ცალ მხარეს მიავყრო, ნელა ჩაისუნთქა, შემდეგ ამოისუნთქა. თითქოს ირგვლივ ჰაერის სიმკვრივეს ზომავდა.

– ქუჩაში დგომის ნაცვლად, ნავიდეთ სადმე, სადაც დავსხდებით და ვისაუბრებთ? თუ დაკავებული არ ხარ, რა თქმა უნდა, – თქვა მან.

– გადაუდებელი საქმე არ მაქვს, – მივუგე მას.

– საიოკო გარდაიცვალა, – თქვა მან ჩუმად. ჩვენ იქვე, ყავის მაღაზიაში ვი-

ყავით, ერთმანეთის პირისპირ პლასტიკის მაგიდასთან ვისხედით.

– გარდაიცვალა?

– გარდაიცვალა. სამი წლის წინ.

ხმა ვერ ამოვიღე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ენა პირის ღრუში დამებერა. დაგროვილი ნერწყვის გადაყლაპვას შევეცადე, მაგრამ ვერ შევძელი.

ბოლოს, როცა საიოკო ვნახე, ოცი წლისა იყო. მართვის მონმოება ახალი აღებულის ჰქონდა და მამამისის თეთრი ტოიოტა „ქრაუნით“ მთა როკოს მწვერვალზე, კობეში წავედით. მანქანას ჯერ კიდევ უხერხულად მართავდა, მაგრამ აღფრთოვანებული იყო მისი მართვისას. სავარაუდოდ, რადიო ბითლზის სიმღერას უკრავდა. კარგად მახსოვს, „Hello Goodbye“-ს. შენ მემშვიდობები, მე კი გამარჯობას გეუბნები. როგორც უკვე ვთქვი, მაშინ მათი მუსიკა ყველგან ისმოდა.

ვერ აღვიქვი ის ფაქტი, რომ მოკვდა და აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე. არ ვიცი, როგორ ვთქვა – ეს ძალიან სურეალური მეჩვენა.

– როგორ... მოკვდა? – ვიკითხე, პირგამშრალმა.

– თავი მოიკლა, – თქვა მან, თითქოს ფრთხილად არჩევდა სიტყვებს. – როცა ოცდაექვსი წლისა იყო, ცოლად გაჰყვა კოლეგას სადაზღვევო კომპანიიდან. იქ მუშაობდა, შემდეგ ორი შვილი შეეძინა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ის მხოლოდ ოცდათორმეტის იყო.

– მას ბავშვები დარჩა?

ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმამ თავი დამიქნია. – უფროსი ბიჭია, უმცროსი – გოგო. ქმარი მათზე ზრუნავს. დროდადრო ვესტუმრები ხოლმე. შესანიშნავი ბავშვები არიან.

მაინც მიჭირდა ყველა ამ რეალობის აღქმა. ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმა თავი მოიკლა და ორი პატარა შვილი დატოვა?

– რატომ გააკეთა ეს?

მან თავი გააქნია. – არავინ იცის, რატომ. შენუხებულს ან დეპრესიულს არ ჰგავდა. ჯანმრთელობა კარგი ჰქონდა, ქმართან კარგი ურთიერთობა ჰქონდა

და შვილები უყვარდა. არც ჩანანერი დაუტოვებია. ექიმმა საძილე აბები დაუნიშნა, მან შეინახა და ერთდროულად მიიღო. როგორც ჩანს, თავის მოკვლას გეგმავდა. მას სიკვდილი უნდოდა და ექვსი თვის განმავლობაში ნელ-ნელა ინახავდა წამლებს. ეს არ იყო მხოლოდ უეცარი იმპულსი.

საკმაოდ დიდხანს ვიყავი ჩუმად და ისიც ასე იყო. თითოეული ჩვენგანი საკუთარ ფიქრებში დავიკარგეთ.

იმ დღეს, როკოს მთის მწვერვალზე, კაფეში, მე და ჩემი შეყვარებული ერთმანეთს დავშორდით. ტოკიოს კოლეჯში ჩავირიცხე და იქ ერთი გოგონა შემეყვარდა. მე მაშინვე მივედი და ვაღიარე ეს ყველაფერი, მან კი, სიტყვაც ძლივს თქვა, ჩანთა აიღო, ფეხზე წამოდგა და კაფედან ისე გავიდა, უკან არ მოუხედავს.

მთიდან საბაგიროთი მარტოს მომიწია ჩასვლა. ის კი სახლში იმ თეთრი ტოიტა ქრაუნით დაბრუნდა. მახსოვს, მშვენიერი, მზიანი დღე იყო და გონდოლას ფანჯრიდან მთელ კობის ვხედავდი. საოცარი ხედი იყო.

საიოკო კოლეჯში შევიდა, დიდ სადაზღვევო კომპანიაში დასაქმდა, თავის ერთ-ერთ კოლეგაზე დაქორწინდა, შეეძინა ორი შვილი, დაზოგა საძილე აბები და თავი მოიკლა.

ადრე თუ გვიან მას დავშორდებოდი, მაგრამ, მაინც... ერთად გატარებული წლების ძალიან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. ის ჩემი პირველი შეყვარებული იყო და ძალიან მომწონდა. ის იყო ადამიანი, რომელმაც შემასწავლა ქალის სხეული. ჩვენ ერთად განვიცადეთ ყველაფერი და გავატარეთ მშვენიერი დრო, ისეთი, რაც მხოლოდ თინეიჯერობისას არის შესაძლებელი.

მიჭირს ახლა ამის თქმა, მაგრამ მას განსაკუთრებით არასოდეს ავუღელვებოვარ. ყოველმხრივ ვცდილობდი, მაგრამ ეს არ მომხდარა. სამწუხაროდ. გოგონამ, რომელიც ტოკიოში გავიცანი, ეს ჩემთვის მოახერხა. ეს ის არაა, რასაც თავისუფლად აირჩევ, ლოგიკის ან მორალის მიხედვით. ან ხდება, ან არა.

როდესაც ასე ხდება, ხდება თავისით, თქვენს ცნობიერებაში ან თქვენს სულში ღრმა ადგილს იკავებს.

– იცი, – თქვა ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმამ, – არასდროს თავში არ გაუელვებია აზრს, რომ რომ საიოკო თავს მოიკლავდა. თუნდაც მთელ მსოფლიოში ყველას თავი რომ მოეკლა, არასწორად მეგონა თურმე, ის მაინც იდგებოდა, ცოცხალი და ჯანმრთელი. ვერ აღვიქვამდი მას, როგორც იმედგაცრუებულ ტიპს ან თავში რაღაც სიბნელის მატარებელს. გულახდილად, მეგონა, რომ ის ცოტა ზედაპირული იყო. არასდროს მიმიტყვევია მისთვის დიდი ყურადღება და, მგონი, ასე იყო მისთვისაც, როცა საქმე ჩემთან ჰქონდა. შესაძლოა, ჩვენ უბრალოდ არ ვიყავით ერთ ტალღაზე... ფაქტობრივად, ჩემს მეორე დასთან უფრო ვემეგობრობდი, მაგრამ ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საიოკოს რაღაც საშინელება გავუკეთე და ეს მტკივა. შეიძლება მე მას ნამდვილად არასოდეს ვიცნობდი. არასოდეს მესმოდა მისი. შესაძლოა, ძალიან ვიყავი დაკავებული ჩემი ცხოვრებით. შესაძლოა, ჩემსავით ვინმეს არ ეყო ძალა მისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ მე უნდა შემძლებოდა მის შესახებ რაღაც გამეგო, თუნდაც ეს ბევრი არაფერი ყოფილიყო. ახლა ძნელი ასატანია. მე ვიყავი ისეთი ამპარტავანი, ისეთი ეგოცენტრული.

ვერაფერი ვთქვი. ალბათ, საერთოდ არ მესმოდა მისი. მის მსგავსად, მეც ძალიან ვიყავი დაკავებული ჩემი ცხოვრებით.

ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმამ თქვა: – იმ მოთხრობაში მაშინ რომ წაიკითხე, აკუტაგავას „სართავი კბილანები“, იყო ნაწილი იმის შესახებ, თუ როგორ სუნთქავს მფრინავი ცის ჰაერში და შემდეგ ველარ იტანს აქ, დედამინაზე სუნთქვას... ამას „თვითმფრინავის დაავადება“ უწოდებს. არ ვიცი ეს ნამდვილი დაავადებაა თუ არა, მაგრამ მაინც დამამახსოვრდა ეს სტრიქონები.

– გადალახეთ თქვენი მეხსიერების გათიშვის პრობლემები? – ვკითხე მას. მგონი, საიოკოს თემის შეცვლა მინდოდა.

– ოჰ, მართალა. ეგ, – თქვა მან და ოდნავ მოჭუტა თვალები. – რალაც უცნაურია, მაგრამ ეს უბრალოდ სპონტანურად გაქრა. ეს გენეტიკური აშლილობაა და დროთა განმავლობაში უნდა გაუარესებულიყო, მითხრა ექიმმა, მაგრამ ის უბრალოდ გაქრა და წავიდა, თითქოს არასდროს მქონია. თითქოს ბოროტი სული განიდევნა.

– მიხარია ამის მოსმენა, – ვთქვი მე. ნამდვილად ასე იყო.

– ეს ჩვენი შეხვედრიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ მოხდა. ამის შემდეგ მე არასოდეს განმიცდია მეხსიერების ასეთი დაკარგვა, არც ერთხელ. თავს უფრო მშვიდად ვგრძნობდი, ღირსეულ კოლეჯში ჩავაბარე, დავამთავრე და შემდეგ მამაჩემის საქმე ჩავიბარე. რალაც-რალაცები რამდენიმე წელი რთულად მიდიოდა, მაგრამ ახლა ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ.

– მიხარია ამის მოსმენა, – გავიმეორე მე. მართლაც ასე იყო. – ასე რომ, საქმე მამის თავზე ჩაქურჩის ჩარტყმით არ დამთავრებულა.

– შენც გახსოვს ეგ რალაც სისულელე, არა? – თქვა მან და ხმამაღლა გაიცინა. – მიუხედავად ამისა, თქვენ იცით, ტოკიოში საქმიანი ვიზიტით ხშირად არ ჩამოვდივარ და რა უცნაურია, რომ ასე გადაგეყარეთ ამ უზარმაზარ ქალაქში. აშკარად ვგრძნობ, რომ რალაცამ გაგვაერთიანა.

– რა თქმა უნდა, – ვთქვი მე.

– მაშ, შენ რას მეტყვი? მთელი ამ ხნის განმავლობაში ტოკიოში ცხოვრობდი?

– კოლეჯის დამთავრებისთანავე დაექორწინდი, – ვუთხარი მას, – და მას შემდეგ აქ, ტოკიოში ვცხოვრობ. ახლა რალაცნაირად მწერლობით ვირჩენ თავს.

– მწერლობით?

– დიახ. მოდას მივდეგ.

– კარგია, ნამდვილად კარგად კით-

ხულობდი ხმამაღლა, – თქვა მან. – შეიძლება ჩემგან ზედმეტია ამის თქმა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ საიოკოს ყოველთვის ყველაზე მეტად მოსწონდი.

არ ვუპასუხე და ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმასაც მეტი არაფერი უთქვამს.

და ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მე ჩემი საათის ასაღებად წავედი, რომელიც შეაკეთეს, ხოლო ჩემი ყოფილი შეყვარებულის უფროსი ძმა წელ-წელა დაემვა გორაკიდან შიბუიას სადგურისკენ. მისი ტვიდის ქურთუკიანი ფიგურა შუადღის ხალხში შთაინთქა.

ის აღარ მინახავს. შანსმა მეორედ შეგვყარა ერთმანეთს. შეხვედრებს შორის თითქმის ოცი წელი იყო გასული, ქალაქებში სამასი მილის დაშორებით, ვისხედით მაგიდის ორ მხარეს, ყავას ვწრუპავდით და ვსაუბრობდით რამდენიმე საკითხზე, მაგრამ ეს არ იყო ის თემები, რომლებზეც მხოლოდ ყავაზე საუბრობენ. იყო რალაც უფრო მნიშვნელოვანი ჩვენს საუბარში, რაც ჩვენთვის ღირებული ჩანდა, ჩვენი ცხოვრებით ცხოვრების დინებაში. მიუხედავად ამისა, ეს მხოლოდ მინიშნება იყო, შემთხვევით მინოდებული. ვერაფერი გვაკავშირებდა უფრო სისტემატური ან ორგანული გზით.

მე არც ის მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა მინახავს, დიდი დისკი რომ ეჭირა სახელით „ბითლზთან ერთად.“ ხანდახან მაინტერესებს – ისევ მიიჩქარის იგი 1964 წელს სკოლის იმ მკრთალად განათებულ დერეფანში, მოფრიალებული კაბის კალთით? ახლაც თექვსმეტის, ხელში იმ მშვენიერი ალბომის ყდით ჯონის, პოლის, ჯორჯისა და რინგოს ნახევრად განათებული ფოტოთი, გულთან ისე მიხუტებული, თითქოს მისი ცხოვრება ამ ალბომზე იყო დამოკიდებული.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო თოხაძე

თამარ გელიტაშვილი

ხლარჯეთული ვოიაჟი

„სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ – სულხან-საბა ორბელიანის ეს შეგონება ძნელად სრულდება ხოლმე. სიტყვას იშვიათად მოსდევს საქმე, მით უფრო, თუ მას ვინრო, პირადული მიზანი კი არა, სახელმწიფოებრივი, საქვეყნო მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ფრიად სასიხარულოა, როცა შეხვდები პიროვნებას, რომელიც უანგაროდ დგას ქვეყნის სამსახურში. სწორედ ასეთ დროს აცნობიერებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პიროვნების როლი საქვეყნო საქმეში.

მოდი, სულ თავიდან დავიწყოთ...

ამა წლის 24-25 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყოვლადმინდა ღვთისმშობლის წილხვდომობასა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღესთან დაკავშირებით, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, ქალაქ ბათუმის მერიის კულტურის ცენტრისა და კონსტანცას (რუმინეთი) უნივერსიტეტის თაოსნობით, XIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – ჩატარება დაიგეგმა. კონფერენციის მიზანი გახლდათ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული თემატიკისა და უახლესი გამოკვლევების წარმოჩენა, თუმც დათქმულ დრომდე ცოტა ხნით ადრე კონფერენციის მესვეურებმა რადიკალურად შეცვალეს პროგრამა და იმაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გადანყვეტილება მიიღეს, ვიდრე აუდიტორული მუშაობაა – ძირძველ კუთხეში, ჭოროხს იქითა საქართვე-

ლოში – კლარჯეთში გამგზავრება, ისტორიული ძეგლებისა და იქაური ჩვენებურების მონახულება, მათთან ერთად ერთობლივი კონფერენციის ჩატარება.

ვიდრე უშუალოდ კლარჯეთულ ვოიაჟზე გადავიდოდე, აუცილებლად უნდა შევეხო იმ თავდაპირველ შთაბეჭდილებას, რომელიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გუნდმა და მათმა ხელმძღვანელმა, ბატონმა როინ მალაყმაძემ დატოვეს.

როინ მალაყმაძე – სულით და ხორციით პატრიოტი კაცი, საკუთარი ხალხის მოყვარული და ერთგული, თავისი საქმის პროფესიონალი, უშურველად რომ აფრქვევს დადებით ენერგიას, გაცნობისთანავე რომ გნუსხავს თავისი პოზიტივით, სილალთა და სიალალთ. შეუძლებელია, ამ სანდომიანი, გულღია კაცის გვერდით თავი უცხოდ იგრძნო. იმდენად გადამდებია მისი მხიარული ბუნება, გავიწყდება, რომ სულ ცოტა ხნის წინ გაიცანი. აი, ასეთმა პიროვნებამ გაგვინია მეგზურობა და ხელმძღვანელობა.

მაშ, ასე!..

დღე პირველი...

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის (როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელეაძე, ამირან გომართელი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სულხან კუპრაშვილი, ეკა დადიანი, საიდ მულიანი, თამარ გელიტაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, გიორგი ახალკაციშვილი, თიკო გოგოლიშვილი, ეთო და ნინო ბოკველავაძეები, საბა კალანდარიშვილი...)

პირველი გაჩერება ჭოროხს იქით, ჩვენს ისტორიულ მხარეში, ართვინის პროვინციის ქალაქ ბორჩხაში იყო. შეხვედრის ადგილი – ქალაქ ბორჩხის მერია. მასპინძლობა თავად ქალაქის მერმა, ეთნიკურად ქართველმა, ერჯან ორჰანმა (დავითაძე) გაგვინია. ბატონ ერჯანს ადგილობრივმა მოსახლეობამ განუული ღვაწლი და დამსახურება დაუფასა და მეორე ვადით აირჩია მერად. სიტყვით რთულია ბორჩხის მერთან და მისი თანამშრომლებთან, იქაურ ქართველებთან შეხვედრისას განცდილის გამოხატვა. საოცრად ამაღელვებელი იყო ის მომენტი, როცა მწკრივში ჩადგნენ და ასე სათითაოდ მოგვსალმნენ და მოგვესიყვარულეს. შეუძლებელია იმ ემოციების ფურცელზე გადმოტანა, რასაც ორივე მხარე განვიცდიდით, სამწუხაროდ, იქაურების დიდ ნაწილს დაკარგული აქვს წინაპართა ენა, ჩვენთან შეხვედრისას მზერით გამოხატავდნენ

რომ მომენტალურად ხდებიან ხალისიანები, იმდენად დიდი ემოცია ეუფლებათ, რომ უჭირთ მასთან გამკლავება და რალაცნაირად თან ჩქარობენ, რომ პატივისცემა არ მოგვაკლონ და ეს სიჩქარე გარკვეულწილად აბნევთ კიდეც – ვაიდა, სათანადოდ ვერ გვიმასპინძლონ, ვერ მოგვეფერონ. მათ მზერაში, სიხარულის სხივთან ერთად, ცრემლის ნაგუბარსაც ადვილად შეამჩნევთ, რომელშიც იქაურების თავგადასავალიც იკითხება; ამავეს ადასტურებს ბორჩხის მერის ნაამბობიც – როგორ ცდილობდა მისი ბებია, რომ შთამომავალი ქართულ ენაზე ამეტყველებინა, რათა არასდროს გაენწყვიტა საკუთარ ფესვებთან კავშირი.

ფასდაუდებელია როინ მალაყმადის წვლილი ჭოროხს აქეთა და იქითა ქართველების ურთიერთობის საქმეში. ართვინში ეს ყველა ფენის ნაბიჯზე იგრძნობა. ფაქტია, რა უდიდეს საქმეს უძღვება ეს ადამიანი, რათა ისტორიული, სამეცნიერო თუ კულტურული კავშირი არ განწყდეს აქაურებსა



შეხვედრა ბორჩხის მერთან, ერჯან ორჰანთან

სათქმელს. და, ღმერთო, რამდენ რამეს იტევს მათი თვალები! ამ დროს მათი სიჩუმე უფრო მეტია, ვიდრე სიტყვიერი კომუნიკაცია. ალბათ, ძნელია, კიდეც სადმე ნახო ასეთი გაბრწყინებული თვალები, რადგან ჩვენთან, ქართველებთან, შეხვედრისას ისინი თავიანთ დიდი ხნის დაკარგულ ისტორიულ სამშობლოს ხედავენ; თითქოს საქართველოს სურნელს გრძნობენ ჩვენში და ეს აბედნიერებთ. შესაძლოა, ამის გამოა,

და იქაურებს შორის. სწორედ მისი დამსახურებაა, ყველგან დიდი პატივით რომ გვიღებდნენ და გვასპინძლობდნენ. მისი ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ ბორჩხის მერს ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა გადაედო და ჩვენთვის დაეთმო თავისი სამუშაო დროის ერთი საათი. როინ მალაყმადის სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1998 წლიდან იწყება, იმ პერიოდიდან, როცა მუშაობა დაიწყო

საკანდიდატო დისერტაციაზე – „ლიგანის ხეობა“ (ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევა). იქაური ნათესავების თანადგომითა და ხელშეწყობით ლიგანის ხეობასაც საფუძვლიანად გაეცნო და თურქული ენაც შეისწავლა. ამ არეალში მისთვის ლამის ყოველი კუთხე-კუნჭული, ხე და ბუჩქია ნაცნობი. უამრავი მოკეთე ჰყავს და იქაურებისთვის დიდად პატივდებული კაცია.

ვიდრე ჩვენი დელეგაციის მარშრუტზე საუბარს განვაგრძობდეთ, ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხო ჩვენს მასპინძელ სასტუმრო „ლაფერას“, რომელიც ბორჩხის რაიონის სოფელ ქლასკურში მდებარეობს.

„ლაფერა“ გურულ-აჭარული წარმოშობის სიტყვაა და ხის ფართო, ბრტყელპირიან კოვზს ნიშნავს, ღომის ამოსაღებს. შთამბეჭდავია, რომ ამ საოჯახო სასტუმროში ყველაფერი ქართულია, დანყებული ეთნოგრაფიული არტეფაქტებით, დამთავრებული ქართულ ენაზე შედგენილი მენიუთი და ქართული კერძებით. რაც ყველაზე მთავარია, მასპინძლები გამართული ქართულით მეტყველებენ, რაც ბევრად უფრო სასიამოვნოს ხდის მათთან ურთიერთობას. ეს ყველაფერი ოჯახის უფროსის, ეთნიკურად ქართველის, ჰიქმეთ კოტანოლლის (გათენაძე) დამსახურებაა. ყველა ძალიან გაგვაკვირვა ამ ღირსეული ქართველი ვაჟკაცის უაქცენტო ქართულმა. როგორც ჩანს, კოტანოლლი-გათენაძეების ოჯახში ქართული ყოველდღიური სამეტყველო ენაა. ამიტომაც მოვიხიბლეთ მათი დახვეწილი მეტყველებით ისტორიული სამშობლოს ენაზე, რაც დღეს უკვე სამწუხარო იშვიათობას წარმოადგენს ჭოროხს იქითა საქართველოში.

სიმბოლურია სასტუმროს სახელწოდებაც. როგორც ბატონმა ჰიქმეთმა გაგვიმხილა, მას ბავშვობაში, ურჩობისა და ცელქობისათვის, დედა სწორედ ლაფერათი სჯიდა ხოლმე. ამიტომაც უწოდა ეს სახელი საკუთარ სასტუმროს. ამ სახელდებაში ერთდროულად

ასოცირდება დედის ხსოვნაც, ონავრული ბავშვობაც და ისტორიული სამშობლოს ეთნო-კულტურაც. სასტუმროს კედლებს ლაფერას ნიმუშებიც ამშვენებს, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა უძველეს ქართულ ნივთებსა და საგნებთან ერთად, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ეთნიკურად ქართველმა, ღირსეულმა კაცმა, ჰიქმეთ კეტანოლლი-გათენაძემ პატარა საქართველო შემოინახა.



შემდეგი გაჩერება სოფელი მარადილი...

მეჩეთი და ენაწყლიანი, ქართულად არც თუ ისე კარგად, მაგრამ სიყვარულით მოსაუბრე ხოჯა. ისტორიული ფაქტების გახსენება და წარსულში დაბრუნება...

ჩვენი ვიზიტის ეს მონაკვეთი განსაკუთრებით ემოციური იყო. მეჩეთიდან ორმოცდაათიოდე მეტრში მდინარე ჭოროხი მიედინებოდა. სწორედ ჭოროხი ყოფს ორ ქვეყანას – თურქეთსა და საქართველოს. სიამაყით გავყურებდით აჭარის მთებს, მდინარის იქით დარჩენილ სამშობლოს, ფოტოებს ვუღებდით და ყრიაშულით ვეპასუხებოდით ერთმანეთს – აი, ჩვენი სამშობლო, აი, ჩვენი საქართველო. აქაც, ჭოროხს გადმოღმა, სველი ბალახის ისეთივე არომატი იგრძნობოდა, როგორც საქართველოშია. იქნებ სწორედ ეს მშობლიური მიწის სურნელი აძლებინებდა ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობას, იქნებ ეს სურნელი იყო, რომელიც თავს ისევ ქართველებად აგრძნობინებდა, ჭოროხს იქით დარჩენილი საქართველოსა და ნათესავ-ახლობლების მონატრების სურვილს უკლავდა, განსხვავებით ფერეიდნელი ქართველებისაგან. ჩვენ შორის მხოლოდ ერთი ადამიანი იდგა მდუმარედ, მძიმე ფიქრითა და სევდით მოსილი, რომელმაც ცოტა ხანში, სუფრაზე, საქართველოს სადღეგრძელოს წარმოთქმისას გაგვიმხილა თავისი იდუმალი დარდის მიზე-

ზი – თქვენ ერთი საათის წინ უნახავ სამშობლოს გასცქეროდით ასეთი დიდი მონატრებით და ჩვენ რა უნდა გვექნა,

ეპში საკმაოდ დამლელი და მოსაწყენი სამეცნიერო მოხსენებების მოსმენას.

იმ საღამოს იყო ტკივილიცა და



სოფელი მარადილი, მეჩეთი და ეთნიკურად ქართველი ხოჯა

ცრემლიც, სევდაც და სიხარულიც; იყო ბევრი ქართული ცეკვა და სიმღერა. რაოდენ ამაღელვებელია, როცა ჭოროხს იქით გესმის ქართული სიტყვა, ისმენ ქართულად ამღერებული შენი სისხლისა და ხორცის ხმას.

იმ საღამოს კიდევ ერთხელ გა-

მთელი ოთხი საუკუნე რომ უიმედოდ გავყურებდით და ვერ კი ვხედავდით ჩვენს დაკარგულ ქვეყანასო. ამ დიდებული სიტყვების ავტორი საიდ მულიანია – ფერეიდნელი ქართველი, ღირსეული მამულიშვილი და პატრიოტი ჩვენი ქვეყნისა, რომელმაც მყარად შემოინახა მშობლიური ენა და ოთხი საუკუნის განმავლობაში სამშობლოს ხილვას დანატრებული ქართველების მისია შეასრულა – მშობლიურ ფესვებს დაუბრუნდა. საბედნიეროდ, დღეს ის ჩვენი მიწა-წყლის მკვიდრია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, საკუთარი ისტორიული სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული და ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

მოიკვება იქაურების უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული როინ მალაყ-მაძისადმი, რომელიც კულტურული და პოლიტიკური ხიდის ფუნქციას ასრულებს ამ ორ საქართველოს შორის და უპირობო მონდომებით ცდილობს, იქაურებს ისტორიული ფესვების დაავიწყების საშუალება არ მისცეს, ხოლო, ჩვენ, აქაურებს, თანამოძმეების არსებობა შეგვახსენოს. ასეთი სახის შეხვედრები დიდი სტიმულია და მოტივაციას უმაღლებს იქაურებს, რათა სრულად არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს და არ დაავიწყდეთ, ვისი გორისანი არიან. ამიტომაც ითხოვენ ინტენსიურ შეხვედრებს. ამბობენ, რომ ხშირი კომუნიკაცია საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის, რათა თანდათან ახალგაზრდა თაობაც ჩაერთოს ორმხრივ კულტურულ ურთიერთობაში.

ჩვენი მოგზაურობის პირველი დღე ბორჩხაში, ართვინელ ქართველებსა და ლაზებთან სტუმრობით დასრულდა. სამეცნიერო მისიაც იქ შევასრულეთ და იქაურებთან ერთად მცირე კონფერენცია ჩავატარეთ.

დიდი მადლობა იქაურ ქართველებს: ოსმან ოზიჩიკ-კურტანიძეს, შენოლ თაბან-ღვინიაშვილს, რიდვან ათან-გათენაძეს, ბათინ კოსე-გუნდარიძეს და სხვებს, ვინც გვიმასპინძლა, ტრადიციული კერძები დაგვაგემოვნებინა და ქართული სიმღერებით გაგვითბო გული.

ვუსმენდით იმ ადამიანებს, ვისაც ქართველებთან შეხვედრა და ქართული სიტყვის გაგონება ნამდვილ ზეიმად და დღესასწაულად ექცათ. მერწმუნეთ, ამ ფორმატში საუბარი, თავისი ჩანაფიქრით, თავისი კულტურული, სამეცნიერო თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით ბევრად აღემატებოდა აუდიტორი-

ასეთი იყო ჩვენი კლარჯეთული ვოიაჟის პირველი დღის დასასრული.

შემდეგი გაჩერება სოფელი იბრიქლი....

●
დღე მეორე...

ართვინის ვილაიეთში, ქალაქ ბორჩხიდან ათ კილომეტრში, სოფელ იბრიქლის (რომლის თავდაპირველი, ქართული სახელწოდება იყო ებრიკა), ცას გამოკიდული მაღალი მთის მწვერვალზე მდებარეობს XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული ნაკლებად ცნობილი მამანმინდის მონასტერი (ისტორიკოსები საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამენ, რომ ტაძარი ბევრად უფრო ადრინდელია), უნიკალური ქართული ტაძარი, რომლის შესახებაც ეთნიკურად ქართველმა ადგილობრივმა მოსახლეობამაც კი ძალიან ცოტა რამ თუ იცის.

ასე დაიწყო ჩვენი მოგზაურობის მეორე დღე. კონფერენციისა და ექსპედიციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, როინ მალაყმაძე დილაუთენია გაგვიძღვა მამანმინდის ტაძრის მოსანახულებლად და მოსალოცად. მიუხედავად გზის სირთულისა, ბატონი როინი, უდიდესი ძალისხმევითა და მონდომებით, ჯიუტად განაგრძობდა

ლე გვიმრასა და ეკალ-ბარდებს დაუფარავთ. მოქუფრულ ცაზე მზის გამონათებასავით იყო ნახევრად ჩამონგრეული და მთლიანად სუროთი დაფარული ტაძრის გამოჩენა, თავისი არქიტექტურით ხანძთის მონასტერს რომ მოგაგონებს. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ – ასეთი იდუმალი იყო ჭინჭარსა და ხემცენარეებში შემალული ტაძარი, დიდი ხნის წინ მიტოვებული, ღვთისა და კაცისაგან სამუდამოდ დავინყებული, კოროზირებული, გზამიუვალი, დარღვეული, ჩამოღვეთილი, რომელსაც, რადაც არ უნდა დაგვჯომოდა, უნდა მოვფერებოდით, უნდა შევხმინებოდით, ქართული სიტყვა უნდა გვეთქვა, ლოცვა აღგვევლინა, სანთელი დაგვენთო; გვეთქვა, რომ გვახსოვს, გვიყვარს და სულით ხორცამდე გვტკივა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა.

როგორც ითქვა, ერთობ რთული იყო დაფერდავებულ თხილნარსა და მაღალ, გაუვალ გვიმრებში გზის გაკვალვა, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და შევძელით იმიტომ, რომ წინ როინ მალაყმაძე მიგვიძღვოდა – ჭაბუკური შე-



კონფერენცია ბორჩხაში. ართვინელ ქართველებსა და ლაზებთან ერთად

ტაძრისაკენ მისასვლელი გზის ძებნას, რამეთუ, იშხნის მონასტრისა არ იყოს, მამანმინდაც „წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო“ და დღეს მასთან მისასვლელი ბილიკიც კი აღარ არსებობს. საუკუნეების წინ გაუქმებული და მიტოვებული ტაძრის გზა კაცის სიმალ-

მართებითა და აღტკინებით. პირველი ბილიკიც მან გაგვიკვალა, პირველი სირთულეც საკუთარ თავზე იტვირთა და ჩვენც, მისი შეძახილებით გამხნეებულნი, შეუვალი სიჯიუტით მივიწვედით წინ. იქ ჩვენი ტაძარი გველოდა, როგორც მარტოობაში მყოფი ღრმად

მოხუცებული ელის ხოლმე შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

პირველი, რაც ბატონმა როინმა მონასტერთან მისვლისას მოიმოქმედა, იყო საოცრად ამაღელვებელი მისაღება. მან მუხლი მოიყარა მამანმინდის ტაძრის წინაშე და ქართველთა რამდენიმესაუკუნოვანი სათქმელი და სადარდებელი ამოთქვა. როგორც ცოცხალ არსებას, ისე შეუძახა, რომ მივედით და ის მარტო არ არის, რომ ჩვენ შემდეგ კიდევ უამრავი ქართველი ესტუმრება და ეთაყვანება. ჩვენი იქ ყოფნა საბოლოოდ დაამშვენა უსაყვარლესი ქალბატონების, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორების, ნაილა ჩელებაძისა და ელზა ფუტყარაძე მიერ ნაკითხულმა ღვთისმშობლის დაუფდომელმა. ვინ იცის, რამდენი ასეული წელიწადია, იმ წმინდა ადგილს ქართული სიტყვის მადლი არ მოჰყენია.

ვტოვებდით მამანმინდას და თითქოს სიხარულის ცრემლმორეული ტაძრის ლოცვა და მადლი მოგვეცებოდა უკან; სევდანარევი ემოცია მოგვეძალა, ისეთი, ყელში ბურთი რომ გაგეჩხირება და ვერაფრის თქმას ველარ ახერხებ. წამოვედით და დიდხანს გვესმოდა ღალადისი ჩვენი უმწეოდ დარჩენილი მონასტრისა. თითქოს ყურში მკაფიოდ ჩაგვესმოდა, როგორ ითხოვდა შველას ჩვენი ძალზე მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლი, რომლის აღდგენა-რესტავრაციაზე, იმედს ვიტოვებ, ქართული სახელმწიფო თურქულ მხარესთან ერთად იზრუნებს. საბედნიეროდ, ამის მაგალითები უკვე არსებობს – სწორედ თურქეთის დამსახურებაა იშხნისა და პარხლის აღდგენა. ასევე შემუშავებულია ოშკის აღდგენითი სამუშაოების პროექტიც.

იბრიქლიში ჩვენი სტუმრობა ეთნიკურად ქართველი, ადგილობრივი სკოლის მასწავლებლის მონახულებით დასრულდა. ემინ ხოჯა და მისი მეუღლე დახვეწილი ქართულით გვესაუბრებოდნენ. სასიხარულოა, რომ აქაურობას კიდევ ამშვენებს ქართული სიტ-

ყვის ლაზათი.

სოფელ იბრიქლიდან გეზი შავშეთისკენ ავიღეთ. მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარე შუა საუკუნეების ტბეთის ღვთისმშობლის ტაძარი უნდა მოგვენახულებინა, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში მეჩეთად გადაკეთდა, ხოლო XX საუკუნეში ადგილობრივმა მოსახლემ ვანდალურად ააფეთქა. სოფლის მოსახლეობა ამაზე დღემდე წუხს და სინანულს იმით გამოხატავს, რომ ვერაგულად დაზიანებული, კედლებდახეთქილი, გუმბათმორღვეული ტაძრის ვრცელი ეზო-გარემო შემორაგვა, უვლის და უფრთხილდება.

ტბეთის ვიზიტის დამაგვირგვინებელი აკორდი გახლდათ ტაძრის ეზოში კონფერენციის მონაწილეთა სამახსოვრო სერთიფიკატებით დაჯილდოება.

კლარჯეთში საქმიანი ვიზიტის მეორე დღეც დასასრულს უახლოვდებოდა. მოსანახულებელი დაგვრჩა დოლისყანის ეკლესია.

დოლისყანა – შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. მდებარეობს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთის ტერიტორიაზე, ართვინის პროვინციაში, მდინარეების, არტანუჯისა და იმერხევის შესართავთან, მაღალი მთის ფერდობზე, ამჟამინდელ სოფელ ჰამამლიში (ძველად სოფელსაც დოლისყანა ერქვა). უძველესი სამონასტრო კომპლექსიდან დღეს მხოლოდ მთავარი ტაძარიღაა შემორჩენილი, დანარჩენი ნაგებობები XIX საუკუნეში მთლიანად განადგურდა. ტაძარს ეტყობა, რომ ოდესღაც მეჩეთად გადაუკეთებიათ (ახლა მეჩეთის ფუნქციაც აღარ აქვს), თუმც მანც არ წაშლილა ქართული კვალი. ეკლესიის ბევრის მნახველ კედლებს ჯიუტად შემოუნახავთ მართლმადიდებლური ფრესკები, ქართული წარწერები და ორნამენტები. ეს ის ტაძარია, რომლის საკურთხეველთან, გადმოცემის თანახმად, ღალატი

მოკლეს საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფე აშოტ კურაპალატი; წარსულში ტაძარი ამყად იდგა, როგორც ერთიანი საქართველოს სიმბოლო და ძლიერების ბურჯი. მაღლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივთა მიერ დღეს დოლისყანის ტაძარი მეტნაკლებად დაცულია. სოფლის მოსახლეობამ წლების წინ ეკლესიის კედელზე მიშენებული უსახური ნაგებობა მოანგრია. ამდენად, ტაძარს ისტორიული ძეგლის ფუნქცია გარკვეულწილად შენარჩუნებული აქვს.

ვტოვებდით კლარჯეთს და ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ, ქართული ეკლესია-მონასტრების სახით, ადამიანები გვაცილებდნენ, ლამის მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე უიმედო ტკივილითა და მონატრებით რომ გამოჰყურებდნენ ჭოროხს აქეთ დარჩენილ თავიანთ სისხლსა და ხორცს და არც

ალარ დგას, 70 წელიწადი ერთმანეთთან დალაპარაკებას რომ გვიკრძალავდა.

წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ როინ მალაყმაძესა და მის შესანიშნავ გუნდს, რომელიც სახელმწიფოსთვის ასეთ მნიშვნელოვან საქმეებს უძღვება. ქვეყნის მომავალს სწორედ თქვენაირი ადამიანები ქმნიან, ქალბატონებო და ბატონებო!

უღრმესი მადლობა კონფერენციის თითოეულ მონაწილეს საინტერესოდ და შინაარსიანად გატარებული ორი დღისთვის; მადლობა საბაკალანდარიშვილს ფოტომასალის მონოდებისათვის. ასევე პერსონალურად მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნაილე მიქელაძეს; რომ არა ეს ღირსეული ქალბატონი, ჩემთვის უცხოვდ და რჩებოდა ორდღიანი ვოიაჟით გამოწვეული ბედნიერების განცდა.



კონფერენციის მონაწილეთა დაჯილდოვება ტბეთის მონასტრის ეზოში

ერთ მხარეს არ ჰქონდა ერთმანეთთან ურთიერთობის უფლება. ღვთის მადლით, დღეს ეს შესაძლებელია. ჩვენს შორის სხვა სახელმწიფოს მესაზღვრე

მთელი ცხოვრება მემახსოვრება და ჩემი მესხიერებიდან არასდროს წაიშლება კლარჯეთული შთაბეჭდილებანი!



ფასი 3 ლარი